

კაცობრილბა

და

ხალხოსნლბა

ანტონ ფურცელაძესა.

ზასი ერთი აგარები

გამოცემა

ჭ. ჭიჭინაძესა.

თბილისი

ელექტრომშეჭდავი. არ. ქუთათელაძესა, მოსკოვის ქუჩა.

1906

ତେବେ ଦକ୍ଷିଣ ମହାଦେଶ



ମହାଦେଶ

კაცობრიობა

ვა

ხალხოსნობა

37039

ანტონ ფურცელაძისა.

გამოცემა

ჭ. ჭიჭინაძისა.



ტ ფ ი ლ ი ნ ი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.

1906

Дозволено цензурою Тифлисъ, 22 декабря 1905 года.

წერილი პირველი
კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა

I

ეს ორი საგანი გახდა დიდი საბასო მრავალთა დაწინაურებულთა კაცთა შორის. თუმცა მწერლობაში არა, მაგრამ მწერლობის გარეთ ასტერა ამ ორმა კითხვამ ჩვენს ინტელიგენციაშიც შეხირება და უთანხმოება. ერთნი ამტკიცებენ, რომ კოსმოპოლიტობა სასარგებლოა, და პატრიოტობა შავნებელია; მეორენი—რაც არის პატრიოტობაა, და კოსმოპოლიტობა უსაქმო კაცების მოვლილია.

კაცი თუ კარგად დაკვირდა, პნახავს, რომ ხშირად თვით პირველ მეცნიერთა შორისაც-კი ახირება და მოურიგებლობა ხდება ჯერ ერთი აზრისა მტკიცეთ და ნათლათ გამოუთქმებლობით; მეორე—თვისი მოწინააღმდეგის აზრისა და სიტყვის მიუხვედრებლობით; მესამე—თვით საგნისა და საქმის აუწონობით და გამოურკვევლობით.

ესევე დაემართათ კოსმოპოლიტურსა და პატრიოტულს აზრთა და სწავლათაც.

სწავლა კოსმოპოლიტობისა იმ შეურიგებელი სახით, რომლითაც თან და თან და უფრო და უფრო აღიძრა პატრიოტობის წინააღმდეგ, გამოიწვია იმ ურიგო ჭკევამ და მიმართულებამ, რომელთაც აღგა პატრიოტობა აზრ-გამოურკვევლობის მიხეზით და შეუხამებელი კაცებისა და საზოგადოების ხელში. სწავლა პატრიოტობისა იმავე შეურიგებელი ხასიათით წინააღმდეგ კოსმოპოლიტობისა გამოიწვია იმავე ურიგო გზამ, რომელსაც დააღგა კოსმოპოლიტობა აზრ-გამოურკვევლობით და შეუხამებელი კაცების ხელში.

რომ ვიპოვნოთ საძირკველი, რომელზედაც აშენდა

უთანხმოება ამ ორთა საგანთა შორის, საჭიროა გადავავლოთ
თვალი ან ერთი რა ნიაღაგზედ აღმოცენდა და რა ჰქონდა
საფუძვლად ან მეორე.

რა-კი ამას ვნახავთ და გავიცნობთ, მაშინ შეგვეძლება-
ასნა და კამორკვევა, შართლა ეს ორი საქმე ერთი ერთმა-
ნეთის წინააღმდეგნი არიან, თუ ორთავეს ერთი და იგივე
დიდებული საკაცობრიო სამსახური და საქმე უდევთ წინ,
თუ ასწონენ ორივენი ერთმანერთის ნანდვილს მნიშვნელო-
ბას, აწონვით დაადგებიან სწორე გზას და მისცემენ ერთმა-
ნერთს საერთო სამსახურში მხარს. რაკი ამის ასნას შევ-
ლებთ, მაშინ ვნახავთ, რომ ეს ორივე სწავლა ისრე მჭიდ-
როთ არიან ერთმანერთზედ ერთი და იგივე ინტერესებით გა-
დაბმულნი, რომ ძნელი გასარჩევი ხდება ერთი სადა თავდება
და მეორე სად იწყება.

პალრიოტობა ისეთივე ძველთა, როგორც თვით კაცთა
საზოგადოებანი. როგორც პირველ დასაწყისში კაცთა კრებას
ჰქონდა მხეცური ქცევა და სახე, ეგრეთვე პატრიოტობასაც.
კაცი ჯერ ეხლაც ვერ ვამორკვევულა ბევრში პირუტყვული
მდგომარეობიდამ, მრავალნი მეცნიერნი ჩვენი ცხოვრების-
სამაგალითოთ გვიმოძლვრებენ პირუტყვთა ქცევას და ცხოვ-
რებას; ეხლაც კიდევ მხოლოდ მცირე ნაწილია კაცთა საქმე-
თა, რომელიც იყვეს დამყარებული კაცის ცნობასა და გო-
ნებაზედ,—და პირველ ხანად ხომ, ცხადია, უარესი გამოურ-
ჩვევლობა და უაზრობა იქნებოდა ყველა საქმეში. რაკი კაცმა
არ იცოდა მიწის შემუშავება, არ იცოდა ბუნების მოვლა და
პატრიონობა,—ის ირჩენდა თავს მარტო ტაცებით, გლეჯით,
ერთი პატარა საზოგადოება ანუ ოჯახი სცდილობდა თავისავე
მონათესავე საზოგადოებისა, ოჯახების აკლებას, განდევნას,
იმათი ადგილებიდამ. ამას იმიტომ, რომ მათი დამხობით, გან-
დევნით, თვითონ იჭერდნენ იმათს ადგილებს, და ამ ადგი-
ლების ნაყოფით თვითონ სარგებლობდნენ. ერთმანერთის-
ფასი, ერთმანერთის პატივი კაცთ არ იცოდნენ და იმ გდო-

შარეობაში არც შეიძლებოდა ესა. ვინც არ იყო იმათი, ის ბუნებითვე იყო იმათი მტერი. იყო მტერი ჯერ ერთი მითი, რომ ეცილებოდა იმათ იმ ადგილებსა და ნაყოფს, რომელნიც ამათ ეჭირათ და ხმარობდნენ; მეორეც მითი, რომ ისინი ჰსარგებლობდნენ იმ ადგილებითა და საზრდოთი, რომლებიც ამათ უჭირდათ. ამის გამო ეს საზოგადოებანი არა ჸზოგავდნენ ერთმანერთს არც გასაცარცვავათ, არც სასიკვდილოთ, არც ძირიანად აღმოსაფხვრელად, რადგან ამათი სიკვდილ-სიცოცხლე იყო დამოკიდებული იმათს მოსპობაზედ, რმათს აღმოფხვრაზედ. ამ ბრძოლაში, ცხადი საქმეა, საქებური და სათაყვანებელი უფრო ის იყო, ვინც უფრო თავ-გამოდებული და თავ-დადებული იქნებოდა თავისი ოჯახისა ანუ საზოგადოებისათვის, ვინც უფრო სცდილობდა მოესპოდა და ბოლო მოელო ყველა კაცთა კრებათათვის, რომელნიც პრ ეკუთვნოდნენ ამათს ოჯახს, ამათს საზოგადოებას.

აი, აქვე ამ პირველ კაცთა საზოგადოებათა დაწყებითვე ეძლევათ პატრიოტუ ქება, დიდება და პატივი, ხდებიან თავისს საზოგადოებაში საღალადებელნი, იმედნი და სასონი ამ საზოგადოებაებისა.

შემდეგ, რამდენიც ხანი გადის, იმდენი კაცთა პაწაწინა კრებანი იზრდებიან შინაური გამრავლებით, ერთმანერთის დაპყრობითა და დამონავებით, ძალა-უნებური შეერთებით, ერთმანერთთან მორიგებით, რომ დაკავშირდნენ და შეერთებული ძალით შესძლონ პასუხი და ძლევა მეზობელი საზოგადოებაებისა. რამდენიც კაცთა კრებანი, საზოგადოებანი იზრდებოდნენ, იმდენი პატრიოტობასაც სივრცე ეძლეოდა, პატივი ემატებოდა, რადგან პატრიოტო ემართათ ახლა უფრო დიდი და ვრცელი კაცთა კრებათათვის თავის გამოდება, თავის განწირვა, მომატება თავისი სიმხნევისა, გაბედვისა და თავის გამეტებისა. ბოლოს ამ გვართა კაცთა კრებათა და ფაძლივრებულთა საზოგადოებათაგან დაარსდნენ სახელმწიფონი. კაცთა კრება შეიქმნა დიდი და ვრცელი. შესღენენ

ნაციები ანუ ერთ-ერნი. კაცი თანდათან მოდიოდა გონს, ის-წალა ფასი წეს-წყობილებათა, დაიწყო შეძენა ქონებისა, ხარჩისი, საკუთრებისა. ამან გაუტკბო კაცს უფრო სიცო-ცხლე. თქმა არ უნდა, აქ კიდევ უფრო დიღი პატივი უნდა დასდებოდათ პატრიოტთა, ქვეყნის მფარველთა, ძალის მომ-ცემთა. რავდენიც ამათ უფრო ფასი ედებოდათ, იმდენი ისი-ნიც უმატებდნენ თავისს საქმეს, გამბედაობას, ხალხის გაძ-ლიერებას. ამ გვარს კაცებზედ იყო დამოკიდებული სიცო-ცხლე თუ სიკვდილი იმ ხალხისა, რომელსაც ესენი ეკუთ-ვნოდნენ, რაღან, ვიმეორებთ, საქმე ისრე იყო დაყენებუ-ლი, რომ, თუ შენ არ შთანთქავდი, შენ შთაგნთქავდნენ, ანუ როგორც კარლეილი ჰსახავს ამ გვარს კაცთა შორის დამოკიდებულებას: „კაცთა შორის საქმე ასრეა დაყენებული: ვან დაასწრებს მოკვლას: მე შენ, თუ შენ — მე!“ ან ჩვენებურად ქართულად რომ ვუქვათ: ან მე უნდა ვიყვე, ან შე-ნაო.

ამ დროებაში, რა თქმა უნდა, პატრიოტებს არ მოეთხოვებოდათ მართალისა და მტყუანი საქმის გარჩევა და ისე მოქმედება თავისის ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ და სხვათა სამტროდ, რაღან, სწორედ რომ ასწონოს კაცმა, ყველანი მართალი იყვნენ ამ ერთმანერთის შთასანთქმელიდ პირის დაღრენაში: შინაურიცა და გარეულნიც. მართალი იყო ორივე მხარე მიტომ რომ, როგორც ზემოდ ითქვა, არ იყო კაცთა შორის ცოდნა და გამოცდილება, რომ ბუნება ხელოვნებით შეემუშავებინათ და იქიდამ გამოეტანათ თავისი საზრდო. ამის გამო ის იძულებული იყო მტაცებლობით და სხვების ადგილების დაჭერით შეენახა თავი. მაგრამ მას აქეთ, რაც გაჩნდა მიწის მუშაობა, აღებ-მიკემლობა, ხელოვნება, საკუთარი შრომით სარჩოს შეძენა, თქმა არ უნდა, აღარ უნდა ყოფილიყო შოსაწონი ბრმა, უსამართლო პატრიოტობა, რომელიც არ არჩევდა, რა საქმისთვის იყო ეს თავ-გამოცე-ბული — მართლისთვის, თუ მტყუანისთვის. არ იყო მოსაწონი

იმ აზრითა და შეხედულებით, რომელიც სწონიდა საქმეს ხავრთო კაცობრიობის სარგებლობის სასწორით. კაცმა შესძლო ბრძოლა ბუნებასთან, შეუდგა ბუნების ღამორჩილებას: სიმართლე იქითკენ იყო, სადაც კაცმა თავის რჩენა იწყო თვისი შრომით, და არა ძმის სისხლის ღვრით; სარჩოს იდენტულობუნებისაგან, და არა მგძნობარე და გონიერი კაცის ტანჯეისა და წამებისაგან.

* მაგრამ პატრიოტობა არ უქცევდა თავის გზას, პირიქით, რავდენიც ხანი გადიოდა და ძლიერდებოდნენ სახელმწიფონი, კაცთა კრებანი, იმდენი უფრო ფასი ედებოდა ამთას ბრძა პიტრიოტობას, თავისი ხალხისა მართალსა თუ მტკუანს საქმეში სამსახურსა, სწვების ჩაგვრასა და მუსრვასა, დაცყრობასა და დამონაცემებას. უკეთესს ამის მაგალითს წარმოადგენს ბრძოლა რომისა კართალენთან. ორი უძლიერესი და უგანათლებულესი ძველს ისტორიაში ხალხი გახდა ერთმანერთის მოსისხლედ მხოლოდ მიტომ, რომ თანაბრად გაძლიერდნენ და ეტანებოდნენ მთელი ქვეყნის ბატონობას. აქ ასტყდა ბრძოლა, ბრძოლა ჩედგარი, ბრძოლა, ბარბაროსთა შორის-კი არა, დაწინაურებულთა კაცობრიობის თავს მდგომთა ხალხთა. სემიტა თავს მდგომი კართალენი და არიელთა თავთა მდგომი რომი, მის ნაცვლად რომ თავისი ცოდნით გახდომოდნენ კაცობრიობას მოძღვრად, — მისეოდნენ ერთმანერთს. შესამუსრად, ბოლოს მოსალებათ. ვის არ ახსოვს აქ რომაელთა გამოჩენილი პატრიოტის კატონის სიტყვები კართალენის სამუდამოთ აღმოსაფხვრელად, როდესაც ისინი, ძლეულნი რომაელთაგან, თვით თვისი, მძლეველი კეთილშობილი სკიპიონის პირით სთხოვდნენ რომის სენატს შებრალებასა და სიცოცხლეს! რომაელთა სასიქადულო პატრიოტმა, აღიარებულმა უკეთილშობილეს და უპატიოსნეს კაცად რომში, კატონშა, მქუხარე სიტყვით მოითხოვა სამუდამოდ და ძირიანად მოსპობა კორთალენისა. ეს უპატიოსნესი პატრიოტი რომისა გახდა მიზეზი იმგვარ ნიკიერი

დიდებული ხალხის მოსპობისა, როგორც კართალენელნი; რომელთაც თავისი კულტურით, თავისი ხელოვნებით, მეცნიერებით, ტექნიკით გააოცეს უკეთესნი ბერძენი, უკეთესნი რომაელნი, და რომელმანც შეჰქმნა იმგვარი უდიდებულესი მხედართ-მთავარნი და გასაოცარი ქვეყნისათვის თავის გამწირველნი, როგორც ანიბალი, გაზღრუბალი და სხვანგ. ვინ არ იცის, რა რწმუნებაც იყო რომის ხალხში გავრცელებული, რომელიც სწამდა თვით იულიუს კეისარს, ამ მსოფლიო გენიოსს, რომ ყველა ხალხის რომისთვის არიან გაჩენილნი და ყველანი უნდა დაემონენ რომსაო.

ამას ვხედავთ ძეველად.

ვის არ ახსოებ ახალს ისტორიაში, წარსულის საუკუნის დამლევს ინგლისთა სახელოვანი კეთილ-შობილის პატრიოტის პიტის სიტყვები ინგლისის პარლამენტში შესახებ ამერიკელთა, რომელნიც თავისს სიმართლის დასაცველად აშლოდნენ ინგლისელებს. პიტი თხოულობდა შესახებ ამ დიდებული ხალხისა, რომლითაც დღეს კაცობრიობა იწონებს თავს, თითქმის მასვე, რასაც თხოულობდა კატონი შესახებ კართალენისა.

გამოიღიძეს იდეიებმა, აზრებმა, სწავლამ, მეცნიერებამ, პუმანიზმა, ძმობისა და თანასწორობის ქადაგებას, მაგრამ პატრიოტიზმი ადგა თავის გზას, ის არამც თუ იცავდა თავისი ხალხების სიწამედრეს, უმეტრებას,—სცდილობდა ამათ გაურცელებას იქაც, სადაც ამათზედ მაღლა იდგნენ ზნეობით, ცოდნით, კაცობრიობით. მთელი ევროპის პატრიოტობა აღიძრა და ამხედრდა საფრანგეთის შესამუსარად, როდესაც საფრანგეთმა აღიძრა „დეკლარაცია კაცთა უფლებათა“.

ეს კიდევ არაფერი, რომ პატრიოტობა გაჰყოლოდა თავისის ხალხის მართლაცა და გაძლიერების გზას, თუნდა ეს გაძლიერება მომხდარიყო სხვა ხალხთა შევიწროებით და დამონავებით, თუ ეს შესძენდა ამ ხალხს ქონების მხრივ მაინც რასხე. მაგრამ პატრიოტობა არ დასჯერდა ამას. ხშირად,

მხოლოდ ცარიელი თავ-მოყვარეობით, დიდების სურვილით
სკილობში ის სხვა ხალხებისა და ადგილების დაპყრობას,
თავისი სახელმწიფოს გაძლიერებას. აქ, არამც თუ სხვა ხალხთ
არათრად არ აგდებენ, ივიწყებენ თვით თავისი საკუთარი
ხალხის ინტერესებსაც, და თვისს საპატრიოტო საქმეთ ჰქა
დიან მარტო სახელმწიფოს სიდიდეს, მისს გარევან სანახო-
ბას. ამ გვარი პატრიოტული მისწრაფება იყო ბევრში მიზე-
ზი, რომ დღეს იქამდის მიაწია საქმემ, რომ ერთმანეთის პა-
სუხი, მავიერის გადახდა, მორევნა შევძლოთო, თითქმის მოე-
ლი. ევროპა გადაიკუა სალდათებად, მოელი ქვეყნები სამხე-
დრო ბანაკებად. სწავლა-განათლებას ბევრი დღევანდელი გა-
ძლიერებული სახელმწიფო, შინაური ხალხისა და წარმატე-
ბისათვის-კი არ აძლევენ თავისს მცხოვრებთა, აძლევენ თი-
თქმის მარტო სამხედრო გაძლიერებისათვის. და, თუ აქ სწავ-
ლა-განათლება აკეთებს რასმე ხალხისათვის, შინაურის საქმე-
უბისათვის, აკეთებს თითქმის შემთხვევით; აკეთებს იმდენად
რამდენადაც ამას ამ სახელმწიფოთა მთავრობანი ჰედავენ
სამხედრო და საომარი საქმისათვის საჭიროდ.

II

ამ გვარმა გარემოებამ, ამ გვარმა პატრიოტულმა. მიმარ-
თულებამ გამოიწვია რეაქცია. ეს რეაქცია გამოისახა კოსმო-
პოლიტურს სწავლასა და მისწრაფებაში.

თუმცა იმ გამორკვეული სახით, რომლითაც დღეს ჩენა-
ვხედავთ კოსმოპოლიტობას არის საქმე ახალი, მაგრამ ამასაც
ჰორს ისტორიის წინადროებშივე უდევს სათავე. კოსმოპო-
ლიტური აზრი და მისწრაფება იღვიძებს კაცში იქვე, რო-
დესაც კაცი ისწავლის მიწის ხელს, შეოჯახობას, ხელავნე-
ბას, მრეწველობას, აღებ-მიცემობას. ამ გვარს მშრალებუ-
ხალხში, თუ ცხადლივ გამორკვევით არა, ბუნდად, ინსტი-
ტურად მაინც უნდა გაღვიძებულიყო აზრი ერთმანეთის
ინტერესების და ნაშრომის დაცვისა იმ პირთა და ხალხთაგან.

რომელნიც სცხოვრობდნენ ისევ ცარცვით, ტაცებით, გლე-
ჯით, სხვის ნაშრომით. ნიშნებს ამ გვარი აზრებისას ვხე-
ლავთ ჯერ ისევ ინდოთა მანუს წიგნში და შემდგომ ბუთის
(Будда) სწავლაში, რომელნიც ჰქადაგებენ ყველა ხალხთა გა-
თანასწორებას, ყველა კაცთა შორის ერთობას. ამ გვარივე აზრე-
ბი გვესმის ჩინეთის სახელოვანი მეცნიერის და კანონმდებელის
კონფუციის სწავლაში, რომელიც სცხოვრობდა 400—500 წ.
ქრის. წინად. ის ჰქადაგებდა გიყვარდეთ ერთმანეთი და მთე-
ლი კაცობრიობათ. კაცობრიობა არის მთელი და ჩვენ ყვე-
ლანი ცალ-ცალკე ვართ მხოლოდ ნაწილი ამ მთელისათვე.
ნიშნებს ამ გვარი აზრებისას ვხელავთ აგრეთვე ისო ზირაქისა
და სოლომონ ბრძნის წიგნებშიაც. XVI საუკუნეში ხომ
გვესმის ცხადად მოახლოვდა გამორკვევით ამ სწავლისა. რე-
იხლინისა, მუციანისა და მეტადრე ულრიხ-ფონ გუტენის ქა-
დაგებებში ცხადად ისმის ესა. ეტიენ დე ბოეტიმ ხომ ცხა-
დად წამოსთქვა საფრანგეთში შემდეგი სიტყვები: „თუ ბუ-
ნებაში არის რამ ცხადი და დაუფარავი, რომლის წინ თვა-
ლების დახუჭვა ამტკიცებს სიძრმავეს, ეს არის ისა, რომ
ბუნებამ, რომელიც აღსრულებს საქმეთა ღვთისათა და გა-
ნაგებს კაცობრიობას, ყველა კაცნი დაგვბადა ერთი სახით,
ერთი სანახაობით იმიტომ, რომ ამითი დავინახოთ, რომ
ყველანი ტოლნი ვართ, ყველანი ერთნი ვართ, ვართ ამხა-
ნაგნი, ვართ ძმანი და, თუ გააჩინა ვინმე კაცთა შორის
სხვაზედ მეტი ძალითა და გონებით, იმიტომ-კი არა, რომ
იმათ ბოროტად. ისარგებლონ ამ თავისის ნიჭით სხვათა სამ-
ტროდ, და შეიარაღებული ავაზაკივით, რომელიც ტყის ყრუ-
ადგილებში უხვდება უისრალო მგზავრთა და საძარცვამს,—
ესენიც სძარცვილნენ თავისზედ უძლურთა. ეს ძლიერება-
უფრო იმიტომა აქვთ მინიჭებული, რომ ეს თავისი ძალა
მოახმარონ უძლურთა საფარველად, უსამართლოთა და მჩაგ-
რავთა ასალაგმავად... არბეის არ უნდა მოუვიდეს თავში ამ
გვარი მზაკვარი ფიქრი, რომ ბუნებას, რომელმაც დაგვბადა

ერთის სახისა და სანახაობისანი, ერთნი დაებადნოს მონად, მეორენი—მეუფედ. „შემდგომ და შემდგომ, როდესაც ევროპაში იგრძნო მეცნიერებამ თავი ცოტაოდნად მაინც. არის თავისუფლად აუტო-დაფეებისა და ინკვიზიციებისაგან, უფრო ცხადად გაისმა ეს სწავლა. კანტმა თავისის გენიალური ფილოსოფიით, დიდებულმა ლოკმა, რუსომ, ფიზიკურატთა თავმა მოძღვარმა კენემ და ენციკლოპედისტთა ცხადად ამართეს იმისი დროშა. „Encyclopedie metoodiqun“-მა ხომ განაცხადა: „ბედნიერება ყველა ცალკე კაცისა არის დამოკიდებული მთელის კაცობრიობის ბედნიერებაზედ“. და არ გასულა ამის შემდეგ მცირე ხანი, რომ საფრანგეთმა ხალხთა სავალდებულოდ გამოაცხადა „დეკლარაცია კაცთა უფლებათა“, რომლითაც აღიარებდა ყველა ხალხთა და კაცთა შორის თანასწორობას, ძმობას.

კაცთა ალტრუიზმულთა გულის თქმათა რომ თავი დავანებოთ, უბრალო ევროსტურს აზრსაც უნდა დაეყენებინა კაცი ამ გზაზედ. ამ ბრძოლისა და ერთმანერთის შთანთქმაში არავინ იყო განსაცდელს გარე. ყველა თავისი თავით, ცოლით, შვილით, მახლობლით, მეგობრით, სარჩო-საცხოვრებლით, მონაგარით, ნაშრომით ყოველთვის შიშა და საფრთხეში იყო ამ საშინელს წესში. კაცს ხვალა ჰქონდა დაკარგული. ცხადია, უნდა აღძრულიყო კაცთა შორის ზრუნვა, რომ ერთი და ერთი მისცემოდა დასასრული ამგვარს. ცხოვრებას. უკეთესთა მოაზრეთა, ფილოსოფოსთა, საკაცობრით მოძღვართა, იწყეს. მოღვაწეობა ამ საქმეზედ. ჯერ ისევ ძველად შესდგნენ ჩელიგიურნი სწავლანი, რომელთაც ჰსურლათ კაცობრიობის გაერთება რელიგიური ერთობით მაინც არის. შესდგა ფილოსოფიური, ეკონომიკური, სამეცნიერო სწავლა ამაზედ. ლოდიკა, საღი გონი და აზრი ამას შველას უწყობდა ხელს. იწყო გავრცელება. იმ აზრმა, რომ კაცი უცვლენგან კაცია და უცვლენა კაცი კაცია. უცვლენა კაცი კაცს კაცურად უნდა ექცეოდეს, კაცურად უცვლებდეს, კა-

ცურად სცემდეს პატივსა. იწყო წარმოთქმა აშ გვართა აზრთა: იმის მაგიერათ, რომ აშოუენა სწავლა, შეცნიერება, ტე-
ჲნიკა მოაცემოს კაცმა ერთმანეთის ამოსაწყვეტი და გა-
ხამუსრი იარაღებისა და სახსარის მოგონებაზედ; იმოდენა
მუშა ხელისა, მასალისა, სარჩოსი და საცხოვრებელის საო-
მარს საქმეზედ მოხმარებას,—ყველა ერებმა რომ მოიხმარონ
ესები შინაური საქმეების წარსამატებლათ, ხალხის სწავლასა
და გამეცნიერებაზედ,—ვნების მაგიერათ მოიტანდა სარგე-
ბლობას, ხალხები იქნებოდნენ ბელნიერნი და წარმატება
სოფლისა ერთი ასად წინ წავიდოლდა. აქედამ შესდგა აზრი
ჯერობით, რომ ერთა შორის თავისუფალი ვაჭრობა დაწესე-
ბულიყო და შემდგარიყო ფედარაცია კაცობრიობაში ვაჭარ-
თა შორის. ამას იქით შესდგა აზრიცა მთელი საკაცობრიო
ფედარაციასაც, რომ მოჰკვდოდა ბოლო ამგვარს არაკაცურს
ცხოვრებას, რომელსაც წარმოადგენდა კაცთა შორის ბრძო-
ლა, კაცთაგან ერთმანერთის მუსერა, შევიწროება. ამას ცხა-
დია, უნდა მოჰკვდოლოდა ის აზრიცა, რომ ის ძალა, სახსარი,
ცდა, რაცა ჰემარდება ერთმანერთის ულეტას, ჩაგრძას, სი-
სხლის ღვრას,—მოჰემარდებოდა ბუნებასთან ბრძოლას, ბუ-
ნების მოვლენათა და კანონების დამორჩილებას, შესწავლას.
ის საფრთხობელა, რომელიც მაღტუსის შემდგომ გაისმოდა:
ხალხთა გამრავლება სავნებელია კაცობრიობისათვის, რომ
ბუნება დიდი ხალხის სიმრავლეს ვერ გავუძლვებაო, — გამოდ-
გა სრული შეცდომა, დამტკიცადა სულ სხვა. პირიქით დამ-
ტკიცდა, რომ, რაც უფრო ბევრია ხალხი, იმდენი უფრო
ადვილი მოსაარშიებელი და დასამორჩილებელია ბუნება, იმ-
დენი უფრო ადვილია მოვლა და მომზადება ბუნებისაგან
გამოტანილი მასალისა, იმდენი უფრო მოვლა აქვს ბუნებას,
და მის გამო უფრო უხვად იძლევა ნაყოფსა, იმდენი
უფრო უხვად მხადარება კაცის სახმარი სარჩო—
საცხოვრებელი.

შაშასადამე, ხალხი ერთმანერთის ელეტით, ერთმანერთის ტყვევნით, შევიწროვებით, კლებით, რაც ზარალს არა, მოგებას არა ჰნახამენ.

ცხოვრების დაკირვებას აგრეთვე უნდა დაეყენებინა გონება იმ აზრზედ, რომ, ვიდრე არიან უბელურნი, ბეღნიერება სხვათა ან შეუძლებელია, ან არ არის სრული. ვთქვათ ერთს რომელსამე ხალხს უპყრია იმგვარი წესები, წყობილებანი, გარემოებანი, რომ შეუძლიან ბეღნიერად ცხოვრება. ამ ბეღნიერს გარემოებაში მყოფს ხალხს ახვევია გარს უშვერი, უძლური, ცუდი წესებისა და წყობილების მქონე, მშიერი შეუგნებელი ხალხები, — რა წარმოსდგება ამ გვარი მეზობლობილამ? ცხადია ამ ცუდს გარემოებაში მყოფს ხალხს აიძულებს სიმშილი, უშვერობა, შეუგნებლობა შეაწუხონ ეს, ბეღნიერს გარემოებაში მყოფნი ხალხნი. თუ ცხადლივ ვერ შეპატივენ, მალეთ მაინც არ დაიშლიან მათი სარჩო-საცხოვრებლის ტაცებას, პარვას, მათს წახდენას, თვით მათი კულტურის შემუსრვას. ბეღნიერს გარემოებაში მყოფს ხალხს აქ მეტი გზა არა აქვს, უნდა ნიადაგ ამ გვარი ხალხების დარაჯობასა და დევნაში იყვეს. ამაში ის უნდა აცდენდეს მრავალს ხალხს, მრავალს იარაღს, მასალას, შეძლებას. ეს, ცხადი საქმეა, გააჩენს ნაკლებულობას. ნაკლებულობას მოპავება უთანასწორობაც წოდებებში, უშვერებაც და სხვა ათასი კაცთა ღირსებისა და შეძლების დამამცირებელი საქმენიცა

გადავიდეთ სხვა სავნებელს მხარეზედ. ბუნების კანონია, როგორც ქვემოთაც გვექნება ამაზედ ლაპარაკი, რომ კარგი დედმაშისაგან კარგი შთამომავლობა ჩამოდის, ცუდისაგან — ცუდი. თუ კარგს სისხლში შეერია ცუდი, მაშინ კარგი სისხლი მდარდება. კარგს გარემოებაში წყოფი გამოდის გონებითაც, ზნეობითაც, აგებულებითაც კარგი, უფრო სრული; ცუდს გარემოებაში მყოფი გამოდის ნაკლებულებით სავსე. რადგან კარგს გარემოებაში მყოფი ხალხი ვერ. ასცდება ამგვარი ხალხების მეზობლობას, მეგობრობას, ალებ-მიმცემ

მლობას, შისელა-შოსელას, ამის გამო აუცილებელია ამათი ერთმანეთში დამოყვრება, დანათესავება. რა წარმოსდგება აქედამ? ისა, რომ ცუდი და დაბალი თვისების ხალხი ცუდს თესლს შეიტანს კარგსა და მაღალის თვისების ხალხში, მოსწამლავს და დამტრობს მის შთამომავალს. უეჭველია ეს შეაფერხებს კეთილს გარემოებაში მყოფს ხალხს, როგორც ბუნებასთან ბრძოლაში, ეგრეთვე გონებისა და აგებულობის წარმატებაში.

ამ მოკლე სიტყვით მოყვანილი ბუნების კანონის გარდა ათასი სხვა მოვლენანი და კანონებია ბუნებისა, სოციოლოგისა, რომ ერთის უბედურება ჰკარგავს, თუ არა აბრკოლებს მაინცა სხვების ბედნიერებას. ამასთან თუ მეზობელს უშვერს ხალხს თავისს რევნობასთან შესწევს სამხედრო ძალაცა, მაშინ ხომ ამ გვარი უშვერი ხალხის ძლიერება დამამხობელია ცივილიზაციისაც და კაცთა წარმატებისაც, რომლის მაგალითების საპოვნელად შორს წასვლა არა განათლებულს კაცს არ დასჭირდება; ამ გვარი ხალხი თავის ბედნიერებას მარტო სხვა ხალხების ცარცვასა და დაპყრობაში ჰქონდას. ამის გამო, როგორც ზემოთაც ითქვა და ქვემოთაც კიდევ გვექნება ლაპარაკი, ამ გვარს ხალხს ყოველი თვისი ძალა სამხედრო წყობილებაზედა აქვს მიჩნილი და ის ადვილად შექმუსრავს,—თუ არა მაინცა და მაინც ნიაღავ ემუქრის განათლებულთა და დაწინაურებულთა ხალხთა. ამ გვარმა გარემოებამ ათქმევინა ბოკლს ერთს ამ გვარს ხალხზედ, რუსებზე, რომ ოთხი განათლებული სახელმწიფო იძულებული გახდა შეთქმულიყო ამაზედ, რაღვან ამ უშვეურს ხალხს განათლებულნი სახელმწიფონი უყურებდნენ როგორც ჰუნებს, მათს ხელმწიფებს, როგორც ატილას, რომელთაგანაც გამათლებასა და ცივილიზაციას ნიაღავ შიში და საფრთხე ელოდაო.

ეგრეთვე ამ შეიძლებოდა გამოპარვოდა კაცთა გონებას ამ გვარი გარემოება. არა გამარჯვებული და სხვათა მძლეველი ხალხი ვერ გამოიტანდა მას თავისგან ძლეული

ხალხებისაგან, რაც წაუხდა ამათი დამორჩილებით შინა და
მოსკვდა შინაურს საქმეებს. თითქმის ყველა ადგილებს, რო-
გორც აჩვენებდა კიდევ ამაზედ მეცნიერება, შეუძლიანთ
შენახვა, არამც თუ დღევანდელთა მცხოვრებთა, ერთი-ათად,
ერთი ასად ამაზედ შეტაც ჯერ დღევანდელს შეუმუშავებელს
მეცნიერებაზედ რომ იყვეს დამყარებული მიწა-ბუნების შე-
მუშავება და მოვლა. და თუ იმ ნაბიჯებით წავიდა მეცნიე-
რება წინ, რა ნაბიჯითაც შეუძლია წასვლა, რომ არ უცრი-
დეს ამას ხელს ათასი ცრუ მორწმუნეობა და უვარების საქ-
მეზედ ადამიანის დონისა და ხელის მოცდენა, ეგრეთვე
მოცდენა ამავე მეცნიერებისა ათასს სავნებელ საქმეზედ,—
მაშინ ხომ ყველა ქვეყანა დაიტევს და შეინახავს, რაოდენო-
ბაშისაც უნდა მიაღწიოს ხალხთა გამრავლებამ და, თუ ამის
მავივრად, რომ შეუდგეს თავისი ქვეყნის შინაური საქმეების
მოვლა-წარმატებას,—დაადგება სხვათა ხალხთა ძალადობის
გზას, ის გარდება ამ გეარს გარემოებაში. ვთქვაო, ერთმა
ხალხმა დაპყრო მეორე, გადაახლევინა დიდი გადასახალი,
დაიპყრო იმათი აღგილ-მამულები. რა-კი ამ გამარჯვებულს
ხალხს სწავლა არა აქვს, არ არის მომზადებული, არ არის
მიდარაჯებული და მიჩემებული ბუნების შესასწავლად და
მოსახლეობლად, რა უნდა ჰქმნას მაშინ? ბუნება ხომ თავის
თავად არაფერს იძლევა, ან თუ იძლევა ძალიან მცირეს.
ხალხმა, რომელმაც არ იცის ცოტას მოვლა, ვერ მოუვლის
ბევრსაც. მაშასადამე, ეს დაპყრობილი ქვეყანაც არას მის-
ცემს ამასა. რა-კი ეს ხალხი გამოსწოვს ტვინს დაპყრობილს
ქვეყანას, შემოაკლება კიდევ საზრდო, იმატებს უფრო
ნაკლებლობა და სიმშილი: თუ აქამდის მარტო თვითონ ეს
ხალხი იყო დამშეული, ახლა ამას მოემატა დამშევა დამორ-
ჩილებული ხალხისაც. მაშინ შეტი გზა არ არის, უნდა დაიძრას
ისევა, მიესიოს სხვა ხალხს, დაიპყროს მისი აღგილები და
დროებით აქ მოინაცვლოს ხელი. მაგრამ აქაც მისი უმცრე-
ბა თავისი თავის ტვირთათა ჰხდის ამ დაპყრობილს ხალხსაცა-

და ამ გვარ, რაც ხანი გავა, იმდენი უნდა უფრო გაებას დაუცხრომელს ოშებს, პრძოლას, მოსისხარობას, და იმდენი უფრო სამძიმო ხდება, როგორც დამპყრობელთ, ეგრეთვე დაპყრობილთ ხალხთ.

რა ხდება მაშინ ამ ხანებში ამ ხალების თავს, ესე იგი მპყრობელთა ხალხთა თავს? ის, როგორც ითქვა, უნდება, ნიადაგ ომებს, უკეთარ იცლის შინაური საქმეებისათვის. ეს ანდომებს თავისს შეილთ უკეთეს ძალას, უკეთეს მუშა ხელს გრძოლასა და საომარს საქმეებს. ეს კიდევ არაფერი. რავდენიც უფრო მეტს ქვეყნებს იპყრობს ამ გვარი ხალხი, იმდენი უფრო მეტი ძალის გატანა და გაყვანა სჭირდება შინიდამ. *) ეს მიტომ უფრო ხდება, რომ დაპყრობილნი ხალხნი არ ივიწყებენ თავის ქვეყნებს, თავის ჩაგვრას, თავის უფლების დაკარგვას, უცხო თესლთა ბატონობას, და ნიადაგ სცდილობენ, ცხადლივ თუ მალვით დამმონავებელთა დაცემას, განდევნას. რა-კი ამ გვარითა ჰშლის და ჰფანტავს ეს გაძლიერებული ხალხი თავის ძალას, ის უძლურდება. უძლურდება ორგვარად. ჯერ მით, რომ უკეთესნი შუშაკნი, ფიზიკური და გონებრივი ძალა ხალხისა გადის გარეთ საომრათა და დამმონავებულთ ხალხთა ხელში მაგრად დასაჭერად. ესენი ამითი სცდებიან შინ საქმეს, ხდებიან შესანახნი შინ დარჩენილთა, რომელნიც ამაოზე უფრო უძლურნი არიან. ერთის სიტყვით, მის ნაცვლად, რომ ამ უკეთესთა მუშაკთა შინ ეშარომათ, შეეძინათ ქვეყნისათვის მეტი საზრდო, ახლა, არამც თუ უკეთესთა ხალხთა და გონთა ნაშრომი და ნაყოფი, აკლდება ამათ ქვეყანას, თვით ესენიც ხდებიან შესანახისხვათა.

გადავავლოთ თვალი, რა მოსდევს სახლში ამ გვარს ეკონომიურს დაუძლურებას. ეკონომიური უძლურება აუძლურებს კაცს აგებულობითაც, გონითაც, ზნეობითაც. თუ ამ უძლურებამ გასტანა მრავალს თაობაში, ხდება ხალხის სამა-

*) ამის უკეთესს მაგალითს გვიჩვენებს. რუსეთი.

კვიდრო ნიჭად. ხალხი დაბადებით ხდება უძლური, და ეს უძლურება რაც უფრო ბევრი ხანი გასტანს შთამომავლობაში, იმდენი უფრო ძლიერდება ამ შთამომავლობის აგებულობაში.

ეს ზარალი ეკონომიური მხრიდან, ვნახოთ ახლა რა მოსდის ხალხისთვის უკეთესთა აგებულებითა და გონით სამშობლოს მოშორებას, გარეთ მოცდენას.

რა-კი ეს უკეთესნი ქვეყნის შვილნი გასულან გარეთ, და ამ გარეთ ყოფნის დროს ცოლ-შვილობა ამათი შეუძლებელია, ესენი არ იძლევიან,—თავის ქვეყანაში მაინცა და მაინც,—შთამომავლობას. უკეთუ ამ უკეთესთაგან ქვეყანა აღარ შენდება, ცხადია შთამომავლობას აკლდება უკეთესთა ნაშენობა. ამას მოსდევს გაწრიოკება ხალხისა. ხანთა განმავალობაში ეს გაწრიოკება ხდება სამკვიდრო და რაც ხანი გადის უფრო და უფრო ძლიერდება ეს ხალხის აგებულობაში, ამ გვარად, ორ მხრივ შედის ხალხის აგებულებისა და გონში გაწრიოკება: ერთი ეკონომიურის მიზეზით, მეორე ფიზიკურისა და ფიზიოლოგიურის მიზეზებით. რომ კარგად ჩავაკვირდეთ ისტორიას, ვნახავთ რომ უმთავრესი მიზეზი გაძლიერებულთა ხალხთა მოუძლურებისა ყოფილა ეს მხედარობა და მხედართა მოცდენა შთამომმევლობის მოცემაში. არც ერთს ამ გვარს ხალხს, თუ ის არ გაახლებულა სხვა ხალხთა სისხლით, აღარ გამოუჩენია შემდეგში აღარც ის ნიჭი, აღარც ის ძალა და ენერგია, რაც თავისი ძლიერებისა და და კარგული წარსულის დროს ჰქონია. ხალხთ ბუნებაშიც იგივე ეკონომია ძალისა ჰქონებულებს, რაც თვით ბუნებაში: ყველა ხალხს, როგორც თვითეულს კაცს, აქვს თავისი ძალა, რომ ძელისაც თუ მოუმზატებ—მოუმატებს, მოუკლებ—მოუკლებს. თუ ამ ძალის არ გაუფრთხილდით, როგორც ჯიბეს, ის ილევა, იფლანგება, იკარგება, ჰქონება. ყველა გონიერმა ოგრონმება იცის, რომ მიწას აქვს დაუკავშირობელი ზომის ძალა.

თუ ეს ძალა მისი ხმარებით ამოაცალე და აღარ დაუბრუნე, მიწა ჰქარგავს ნაყოფიერებას, უძლურდება, სრულიად იფანტება. თუ იცი მოვლა და ხელი მიწისა, შეგიძლიან უფრო გაკეთო, გაასუქო, ნაყოფიერ ჰყო. ასრეთივეა ხალხთა ძალაცა. თუ იქიდამ ამოგაქვს ამათი უკეთესი შერმადგენელი ნაწილები. და სამაგიეროს აღარ უბრუნებდ, ის უძლურდება, ილევა, მქისდება, ილუპება. თუ იცი მოვლა, იცი ხელი, შეგაქვს ნაყოფიერებაში ხალი ელემენტი, მკვიდრი შთამომავლის მწარმოებელი ძალა, წავა ხალხი წინ, გაძლიერდება როგორც ფიზიკურად, ეგრეთვე გონითა, ზნით. ერთი უმთავრესი მიზეზი ეს ხალხთა უკეთესი ძალის დაუზოგავობა და გაუფრთხილებლობა იყო, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ამ გვარს გაძლიერებულს ხალხს ჰგონებია თავისი თავი უძლეველი, ის დაცემულა ისე მტრის ძლიერებით არა, როგორც ამ გვარი თავისი გონისა და ფიზიკური უძლურებით. დრეპერმა და მისთა მომხრეთა, რომელთაც ისტორიაში ეს გარემოება გამოეპარათ, უძლურება ხალხისა მიაწერეს სიბერეს. დაეკიშუდათ, რომ ხალხის სიბერე შესაძლებელი ყოფილიყო, სხვა მოსპობილ ხალხებთან, აქამდე კაცობრიობაც უნდა მოსპობილიყო, რადგან ყველა ხალხები ერთის წინაპარი დგან მოშავალობენ, და მაშასადამე, ყველანი ერთსა და იმავე ხანში უნდა დაბერებულიყვნენ და მოსპობილიყვნენ. როგორც ერთგანაც („სტ. საქართვ. „მნათობი“ 1872 წ.) მით ქვამს, სიბერე კიცობრიობისა შეიძლება, და, რომ ერთი ხალხი მეორეზედ აღრე დაბერდეს—შეუძლებელია... თქმა არ უნდა მარტო უს მიზეზები არ არიან გაძლიერებულთა ხალხთა მომსპობნი, დამცემნი. აქა აქვს დიდი მნიშვნელობა, მრავალთ სხვა მიზეზთაცა, მაკრამ უმთავრესი მიზეზი მხედრობით გაძლიერებულთა ხალხთა დაცემისა არიან ესენი.

ესა და ამ გვარი მოსაზრებანი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კოსმოპოლიტურთა აზრთა და სწავლათა.

III

შავრიამ თუ პატრიოტობა აღორძინდა ისეთს საძირკველ-ზედ, რომელსაც უნდა მიეცა ამისთვის ამგვარი სახე, კოს-მოპოლიტობამაც, რომელიც აღორძინდა კეთილსა და სა-მართლიანს ნიადაგზედ, აუქცია ბევრში სწორე გზას, თუმცა განგებ და ბოროტის განზრახვით კი არა, შეცდომით, საქ-მისა და გარემოების აუწონრობით. მაგალითად, პრუდონმა და მისთა მრავალთა მიმაღევართა აღიარეს: ნაციონალური, სახალხოსნო ლტოლვილება, მეცადინეობა სავნებელია საერთო საკაცობრიო საქმისათვისო. ამის გამო, გარიბალდის, კო-შუტს, მაძინის და სხვათა ამგვართა კაცთა საქმეებს ჰქიცხა-ვდნენ, ჰხედავდნენ სავნებლად. ამერიკელი მეცნიერი და ამ-რესპუბლიკაში ერთი უპირველესი პირთაგანი, თომა კუპერი ხომ პირდაპირ ამტკიცებდა: ნაცია გრამატიკული ტერმინია, რომელსაც არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს, ეს მხოლოდ მოსჩვენებიათ სხა და სხვა პოლიტიკოსებსათ. ეკო-ნომიკური სწავლა ამ გვარი ხომ, კენედამ და ადამ სმიტიდამ დაწყებული სეიმდის გავრცელებულია მთელს ეგრედ წოდე-ბულს კლასიკურს პოლიტიკო-ეკონომიკურს სწავლაში. სო-ციოლოგიაში ევოლუციონურმა სწავლამ ხომ სულ უარ-ჰყო-ნაციონალური წადილნი. მათთვის იყო აბსოლუტური ევო-ლიუცია, და მას, უნდა ჰნაცვალებოდა ნაციაცა და ნაციის შემადგენელნიც.

მე ზემოთვე ვთქვი, რომ შეხირება, უთანხმოება უფრო ხშირად ხდება ერთმანეთის აზრის მიუხვედრელობით, გამო-ურკვევლობით, გაუგებრობით, აუწონრობით. მართალია, პატრიოტობა აშენდა ისრეთს საფუძველზედ, რომ თუ არ აუქციელა თავის გზას, უნდა გამხდარიყო სავნებელი. მაგრამ, ნუ თუ პატრიოტობას არა აქვს სწორე გზა, სიმართლის სა-ზე დიდი დიდებული გზა მომავლის აშენებისათვის, კაც-

ბრიობის საბოლოოსათვის? წუ თუ გარიბალდისა, ვაშინგტონისა, ფრანკლინისა, კოშუტისა, შტეინისა, გამბეტასი, დავით ალმაშენებლისა და სხვათა ამ გვართა პირთა პატრიოტულს გზას არა აქვთ სიმართლე და არ უჭირავთ დიდი ალაგი საკაცობრიო წარმატების გზაზედ? ასრე, რომ ვუყუროთ საქმეს, — პატრიოტობა ცუდ გზაზედ დადგა, ამიტომ ის სავნებელიაო, მაშინ რა საქმელა დარჩება სასარგებლო? აიღეთ მეცნიერება. რა უნდა იყვეს ამაზე წმინდა და სასარგებლო. მაგრამ, აბა, გადაავლეთ ოვალი, რა სახე მიიღო იმან წამხდარი ზნეობისა და ცუდი გარემოების ხელში. ვინ იგონებს საწამლავსა? — მეცნიერება. ვინ იგონებს ხალხთა შესამუსრს იარაღსა? ვინ იგონებს ხალხთა გასაყვლეფს და გასაღატაკებელს ღოუნეს? მეცნიერება. წამლობაზედ წმინდა და მაღალი რაღაუნდა იყვესო, ამბობს ერთგან მოლიდი კომედიებისა და სცენის გარეუვნის შესახებ, და ცუდთა კაცთა და გარემოებათა ხელში წამლობა საწამლავად გადაიქცა იქამდის, რომ რომიდგან ეს მაღალი საქმე დევნილ იქმნაო. და სხვა ამ გვარები. მაგრამ განა აქ მეცნიერება, მცურნალობა რამე შუაშია თავის თავად?

ყველი სწავლის გარეუვნა და წახდენა შეიძლება, უკეთე კაცნი კარგად ვერ გაიგებენ იმის აზრს, მიზანს, ჩავარდება ის უკეთურთა კაცთა და გარემოებათა ხელში. აქ კაცთ შეაქვთ ამ სწავლაში თავისი ცუდი ხასიათები, ცუდი მიღრეკილებანი. სწავლა ირყვნება, სიკეთის მაგიერად, ხდება სავნებელი. ამის მაგალითს გვიჩვენებს მონუს სწავლა ბრამინთა საკანონმდებლო წიგნში. აქ ეს წიგნი თხოულობს სიბრალულს, საერთო სიყვარულს, გატანას, ერთობას არამც თუ კაცთაგან კაცთა შორის, თვით კაცთაგან ყოველთა სულდეგმულთა; ჰქადაგებს ქალთა და კაცთა თანასწორობას, ბოლოს უკეთურთა ხელში ეს წიგნი შეიცვალა ისრე, რომ მსგავსებაც კი აღარ დარჩა ამ სწავლისა. აქ დედაკაცი ხდება „საკუთრება თავისი ქრისია“, „დედაკაცი უნდა იყვეს“.

სრულს მორჩილებაში მამაკაცისა". "დედაქაცი არაოდგს არ უნდა იქცეოდეს ისრე, როგორც თვითონა პფიქრობს, არ უნდა იქცეოდეს თავის ნებაზედ". ერთის სიტყვით, რა-კი ეს წიგნი გახდა ბრამინთა საშოხელეო წიგნად, მათ ეს ისრე გადახ-ცვალეს, როგორც თვითონ უჯობდათ. აქ ბრამინთა თავის სი თავები თითქოს ღმერთებათ აქციეს, შეჰქმნეს თავისი თა-ვი ღვთაებრივის ზუნებათ, ღვთის შვილებათ, შრბილათ ღვთის (ბრამის) პირიდან. ბრამინი არის ბატონი და გამგებუ-ლი ყველასი. ხალხი დაჲყვეს კასტებათ. ყველა კასტის ბო-ლოს მთაქციეს სუდრანი (მონანი), რომელთაც არავითარი უფლება არა აქვთ არაფერზედ, ყველა იმისი ნაშრომი, თვით ისინიც არიან საკუთრებანი ბრამინთა, და სხვა ამ გვარები. ამ გვარსავე მაგალითს გვიჩვენებს ბევრგან ქრისტესი-ისა ბრძანებს: შეიყვარეთ მტერი თქვენი, როგორათაც თავი თქვენიო. ჩვენ კი, არამც თუ მტერი არ შევიყვარეთ, მოყვა-რენიც მოვიძაგეთ. სახარება გვიწერს: მარჯვენა ყბაში რომ შემოგვრან, მარცხენაც მიუშვირეთ. ჩვენ-კი, ქრისტიანნი, დაკვრასაც არავის ვაკლიდით, და ვისაც არა მგონია, არამც თუ ყბებს ვაღტვრევთ, თოფ-ზარბაზნითა, ცეცხლით, ხა-წამლავით უწყვეტავთ ცოლშვილს, უწვავთ სარჩო სა-ბადებელს. სახარება ბრძანებს: ვდასაც ორი პერანგი აქვს ერ-თი სხვა. უქონელს მისცესო. ჩვენ კი, არამც თუ ორი პერან-გიდამ ერთსა, და ათასიდამ ერთსაც არავის ვაძლევთ, და პი-რიქით ჩვენი ათასი პერანგები არიან შემდგარი სხვათა ტა-ნიდამ გახდილი უკანასკნელი პერანგებიდამ. სახარებავე გვი-ქადაგებს, გაიკითხეთ გლახაკნიო; ჩვენ კი ჩვენი მილიონები შეგვიდგენია გლახაკების ცარცვით, ჩაგვრით, უკანასკნელი ლუკმის წარტაცებით. და სხვა და სხვა.

ცხადია, ვერც პატრიოტობა ასცდებოდა ცუდთა გარე-მოებათა და უკეთურთა კაცთა ხელში კუდს გზას, მით უფ-რო, რომ, როგორც ავხსენით, ის ისრეთს დროსა და საძირ-კველზედ აღეგო, რომ მხოლოდ ძალიან გვიან შეეძლო

აწონეილს მართალს გზაზე დამდგარიყო. ცხადია, შოსაწონი არა და სადევნელიც არის ამგვარი პატრიოტობა, რომელიც სდგას „გზასა წარმართათასა“, ეტანება სხვა ხალხების დამხობას, წახლენას, დამონავებას. მაგრამ, როგორც ზემოთაცა ვთქვით, ნუ თუ პატრიოტობას არა აქვს სწორე და სამართლიანი გზა, გზა საკაცობრიო სასარგებლო? ავილოთ მაგალითი ბიზანტია იყო მოძღვარი კაცობრიობისა. მისმა გონებამ და სწავლამ ჩაუყარა საძირკველი დღევანდელს ტეცნიერებას. იგი დაიპყრა უშვერმა, ველურმა, ნადირმა ხალხმა — ოსმალომ. ოსმალო სჩაგრავს ბერძენთა, რომელნიც იღენენ ბიზანტიის დიდების თავს, სტაცებენ უკანასკნელს, უხუთამენ სწავლას, მეცნიერებას, ეროვნებას, შინაურს წარმოებას. ნუ თუ აქ დიდებული და მართალი საქმე არ არის პატრიოტობა, რომ დაიცუას ჩაგრული ერი მტარვალთა. და მძლავრთა ხელთაგან? ნუ თუ აქ ბერძენთ უნდა დაეკრიფათ გულ-სული და ეთქვათ; პატრიოტობა ცული საქმეა, კოსმოპოლიტობა კარგი: დევ ისმალომ, რაც უნდა დამართოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენ მარტო საკოსმოპოლიტო საქმეს უნდა ვემსხუროთო? — თუმცა, როგორც ვნახავთ ქვემოდ, აქ პატრიოტობა ემსახურება სწორედ საკოსმოპოლიტო საქმეს. ნუ თუ იქ საქმე არა აქვთ პატრიოტთა და პატრიოტობა ყველას ვალი არ არის, სადაც ქვეყანა იჩაგრება სხვათაგან, იჩაგრება გარემოებათაგან, ეცემა ცოდნით, ზნებით, გონებით და ამ ხალხს არა უშველის რა, გარდა თავისის საკუთარის შვილების თავ გადმოდებისა, მხეობისა, ცოდნით სამსახურისა? ნუ თუ იმ გვარი შვილები ქვეყნისა, რომელიც ამ გაჭირვებულს თავისს ხალხს ანებებს თავს; არა სწირავს ამას ყოველს თავის ღონეს და მიღის იმგვარი ხალხის სამსახურში, რომელიც ბევრით უკეთეს მდგომარეობაშია ამის ხალხზედ, ისრეთივე შემცოდე და დამნაშავე არ არის, და უფრო მეტიც, ვიდრე იმ გვარი პატრიოტნი, რომელნიც, თავისი ხალხის გასაძლიერებლად, სჩაგრამენ და იმონავებენ სხვა თაყისუფალთა ერთა?

ქს მოკლე მაგალითიც გვიჩვენებს, რომ პატრიოტობას არ მოსდევს ყოველთვის ცუდი საქმე, რომ გამორკვეული, აწონევილი, მართალს გზაზედ დამდგარი პატრიოტობა არის წმინდა საქმე, არის საქმე მართალი, ზეობრივი საფალდებულო ყოველი პატრიოსანი კაცისა, რომელიც ეკუთვნის დაჩაგრულს, მართალს გზაზედ დამდგარს. ერს.

აქ, გზა აქცეულს კოსმოპოლიტიზმს აქვს ამ გვარი პასუხი.

საჭირო არ არის დაცვა ეროვნებისა შჩაგრავთა და დაძყრობელთაგან, რადგან ეს აშორებს ერებს ერთმანერთს. დაძყრობილნი ერთი, რაც უფრო მალე იცვლიან ფერს, გაიხდიან თავისს საეროვნო ქერქს, შეურთდებიან თავის დაძყრობელთა, მით უფრო ახლოვდება დრო კაცობრიობის გაერთებისა, საკაცობრიო ინტერესების შეერთებისა.

მინამ შეუდგებოდეთ დაწვრილებით ამ პასუხის გარჩევას, საჭიროა მოვიყვანოთ პასუხი, რომელსაც იძლევა ამაზე ჩვენგნით ამ წერილში ხშირად დასახელებული გერმანელების გამოჩენილი მეცნიერი ფრიდრიხ ლისტი. ის ამბობს „კაცობრიობის გაერთება რომ მარტო ერთი რომელიმე ხალხის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალით მოხდეს, ეს ის რქნება, რომ ამ ერთის ერისა დანაშთენი ერნი გახდნენ მონანი, რაიცა დაპლუპავს ამ დანაშთენს ერებს.“ აქ განმეორდებოდა ის, რაც ძველადაც ყოფილა, რაცა სწადდათ რომაელთ შეესრულებინათ ვაჭრობისა და იარაღის ძალით. როგორც ძველად, ისრე ეხლაც ამ გვარს პოლიტიკას მოჰყვებოდა ბარბაროსობა.“

ეს გვესმის იმგვარი მეცნიერისაგან, რომელსაც ამ გვარს საქმეზედ აქვს საკმაო ურცელი გამოკვლევა:

შეუდგეთ დაწვრილებით კოსმოპოლიტთა ამ პასუხის გასინჯვას, რაოდენათაც დრო და გარემოება, გვაძლევს ამის ნებას.

როგორადაც კაცი არის შემდგარი სხვა და სხვა ნაწილებიდამ, ეგრეთვე ცალკე ადამიანებიდამ არის შემდგარი ოჯახი, ოჯახიდამ ერი, ერიდამ კაცობრიობა. როგორადაც ცალკე ადამიანის შერმაღვენელს ნაწილს აქვს თავისი განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი, ეგრეთვე ოჯახში ყველა იმს შემაღვენელს ადამიანს აქვს საკუთარი თქისებაზი და ამ თვისებათა საკუთარი მოთხოვნილებანი, ერში ოჯახს, კაცობრიობაში ერს. თუ ამ განსაკუთრებითი თვისებათა არა აქვთ თავისი საზრდო, არა აქვთ დაკმაყოფილება, ეს ჰმოქმედობს ცუდათ ამ განსაკუთრებითი თვისებაებზედ. ეს ცუდი მოქმედება განსაკუთრებითი თვისებიდამ გადადის მთელი ადამიანის აგებულებაზედ: ორგანიზმი უძლურდება, სნეულდება, სნეული ხდება ტვირთი ოჯახისა, ამასთან იძლევა, შთამომავალსაც უძლურსა, სნეულსა. ამითი შეაქვს ოჯახში უძლურება, სნეულება. ამას მოსდევს ეკონომიური უძლურებაცა, რომელიც უმატებს ფიზიოლოგიურს უძლურებას. რაც ხდება ცალკე ადამიანზედ, ცალკე ადამიანიდამ ოჯახზედ, ის ხდება ოჯახიდამ ერზედ, ერებიდამ კაცობრიობაზედ. თუ ერს არ უსრულდება განსაკუთრებითი თვისებათა მოთხოვნილებანი, არა აქვა! შეჯერებული ეს მოთხოვნილებანი, მას მოსდის ის, რაც ცალკე ადამიანს, ცალკე ადამიანიდამ ოჯახს: ის სნეულდება უძლურდება. ფიზიოლოგიურს უძლურებას ერთვის ეკონომიური უძლურება. ეკონომიური უძლურება აცხოველებს და აძლიერებს ფიზიოლოგიურს უძლურებას. ეს ერის უძლურება, როგორც კაცობრიობის შემაღვენელი ნაწილისა, ჰმოქმედებს დანაშთენს კაცობრიობაზედაც. ესე იგი სხვა ერებზედ. ამის გამო, რაოდენათაც ვალია ყველა ცალკე პირისა, რომ ყოველივე ბუნებითი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული პქონდეს, ეგრეთვე ოჯახის ვალია, ყველა თავისი შემაღვენელი ცალკე პირების განსაკუთრებული თვისებანი დააკმაყოფილოს, რომ ვნება, რომელიც მიეცემა ამ პირს ამ დაუკმაყოფილებლობით არ გადავიდეს მთელს ოჯახზედ.

რავდენადაც ეს არის სავალდებულო თჯახისათვის თჯახის საბეღნიეროდ და სადლეგრძელოდ, იმდენად სავალდებულო ერისაგან თჯახის ყურადღება, და კაცობრიობისაგან— ერებისა, რომ ამათი განსაკუთრებითი თვისებანი არ შეიმუსრვნენ ძალადობით, უყურადღებობით, და ამითი არ მიეცეს ვნება მთელს კაცობრიობასაცა. მხოლოდ მაშინ მიღის ვრცელს და ჯეროვნად წარმატების გზაზედ კაცობრიობა, როდესაც ყველა კაცობრიობის შერჩადგენელი ნაწილი, ცალკე პირიდგან დაწყებული მთელს ხალხებამდის, იქნება თანაბარს ბედნიერებაში, ექმნება დაკმაყოფილებული, გარდა საჯრო თვისებათა, განსაკუთრებითი თვისებანი. და მისნი მოთხოვნილებანი.

აი რა გვესმის ეროვნულს განსაკუთრებულს თვისებაებზედ მცოდნე და ამ საქმის შემსწავლე კაცისაგან. გამოჩენილი ეკონომისტი მიულლერი, როდესაც არჩევდა ადამ სმიტის ეკონომიურს თეორიას, ამბობს შემდეგს: „ყველა ერი ბუნებითვე იმ გვარს გარემოებაში ჩავარდა, რომ ეს ბუნებრივი გარემოებანი ჰგავდებენ მასში ბუნებრივთა განსაკუთრებულობათა თვისებათა, რომელთაც აქვთ თავისი განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი. ყველა სცხოვრობს დიდი ხნის განმავლობაში სულ სხვა რიგს გროგრაფიულს საზღვრებსა და ადგილებში, იყო სხვა რიგთა ბუნებრივთ და პოლიტიკურთ კანონთა და გარემოებათა გავლენის ქვეშ, ვიდრე სხვა ერნი და სახელმწიფონი, ამ გარემოებათ დაჰგადეს ყველა ერში განსაკუთრებითი თვისებანი, განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი“.

ამას მიხვდნენ დღეს თვით განათლებულნი მთავრობანიცა. მოვიგონთ სიტყვა და პროკლამაცია ლორდ ნორჩბრუკისა, რომელიც ინგლისის მთავრობისაგან იყო ინდოეთში დენერალ-გუბერნატორად დანიშნული პირველ ხანებში, როდესაც ინდოეთი გადავიდა ინგლისის მთავრობის ხელთან აღუთქვამდა ინდოთა, რომ ინგლისის მთავრობა უყურებს იმათ, როგორც თვით ინგლისის ხალხს, აძლევს მათ იმავე

უფლებათა, რაც აქვთ ინგლისელთ, მათი ინტერესები, მათი ჩვეულებანი, მათი უფლებანი დარჩებიან ხელშეუხებლები, და როდესაც ისინი მივლენ იმ პოლიტიკურს განვითარებამდის, რომ შეეძლებათ თვითონ თავისი პატრონობა, ინგლისელები ვალად რაცხვენ აღარ გაერივნენ მათს საქმეში და დარჩებიან მათთან როგორც გარეშე მოკავშირენი.

ამ დღეებში დანიშნულმა დიდებული გლასტონის მაგიერად პირველ მინისტრად ინგლისში, ლორდ რაზბერიმ აი რა წარმოასთქვა 1882 წ, წინაშე ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა, რომლისაც რექტორად იყო ეს მაშინ: „თუმცა სასურველია, რომ ყველა იმ ხალხთ, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში ჰქონდეთ საჭირო და სანატორელი ღირსებანი, მაგრამ ჩვენ, როგორც პატრიოტთ არა გვმართებს მოვითხოვოთ, რომ ყველა ეს ერნი იმ თვისებისანი გახდენ, რაც ჩვენა ვართ. ეს ისრევე არ ივარებს, როგორც არ ივარებს, რომ ყველა ჩვენი ფაბრიკების პატრონებს გამოჰყავდეთ ერთი და იგივე გვარი საქონელი, ანუ ჩვენი მეცნიერნი იკვლევლენ ერთსა და იმავე საქმეს, ადგნენ ერთსა და იმავე მეცნიერებას. ასეთი დიდი სახელმწიფო, როგორც არც დიდი ბრიტანია, უნდა წარმოადგენდეს იმ ღიდს ბოლჩას, რომელსაც ოთხივე წვერი მაგრა აქვს ერთმანერთზედ გადაყურომაჯებული და ამ ბოლჩაში არიან მოქალაქულნი ყველა რასის ხალხი, რომელნიც თანაბრად ცდილობენ მაგრა ეჭიროთ ბოლჩის ნასკები, რომ არ გაიშალოს ის და არ გაიფანტნენ ეს ხალხი. ცალ-ცალკე, არ გაშორდნენ ერთმანერთს, ინგლისი არ უნდა დაემსგავსოს ძველს რომს, რომელიც ცდილობდა დამორჩილებულს ერებში, ვისაც მოერეოდა, სულ მოესპო, ვისაც არა და მათვის დაქლო თავისს ფერი და სახე. მუსრის არ მოსდევს მშეიღობა, ერთგვარობას, თავის მსგავსად ქცევას არ მოსდევს მეგობრობა, კავშირი.“

რაც ბოლო აქვთ იმ ერთა, რომელთაც განსაკუთრები-

თი თვისებათა სძალადობენ, უხშობენ, უვიწროებენ, არ უქმაყოფილებენ,—ამას გვიჩვენებენ მრავალნი და აუარებელნი მაგალითნი. სპეციალის თავის თხზულებებში: „საფუძვლელნი ბიოლოგისა“, „გახსნილება პოლიტიკურთა წყობილებათა“, მრავალი მაგალითი, რომ ის ერნი, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში სულ სხვა განვითარების გზაზე იღნენ, ვიდრე სხვა ერები, სულ სხვა თვისებისა და აგებულებისანი შეიქმნენ. და როდესაც ესენი მათთა დამპყრობთა სულ სხვა გზასა და გარემოებაში ჩააყენეს, შეიქმნენ უნაყოფონი, აღიგავენ ქვეყნის პირიღგან. ამასვე ვკითხულობთ ბეჯგოტის წიგნში „ბუნების მეძიებლობა და პოლიტიკა“. ამასვე მოგვითხრონენ მრავალნი ანტროპოლოგნი და სხვა ბუნების მეძიებელნი. გრატიოლე, ბროკა, ჯიბსონი, შაფჰაუზენი, ლებოკი, მარციუსი, სპიქსი, კრაუზორდი და სხვანი მრავალნი ერთ ხმივ ჰმოწმებენ, რომ ერთა განსაკუთრებითი თვისებათა შეუხამებლად მოქცევას და ძალადობას მოსდევს მოუძლიურება და ხშირად ბოლოს მოლებაც ამ ერებისათ. დარენი ამბობს: „როდესაც სულდგმულნი ანუ მცენარენი შორდებიან იმ ბუნებრივთა გარემოებათა, რომლებზედაც თავისის ცხოვრებითა და აგებულებით არიან მიმარჯვებულნი, მათი საშეილოსნოს მოწყობილება ჰყარგავს ძალას, ხშირად სრულიადაც იშლებათ“. მართალია, ასრეთ სასტიკობა მოუძლიურებისა და მოსპობისა, რასაც ეს მეცნიერნი გვიწერენ ველური ხალხების შესახებ, არ არის მალლათ მდგომი ტომთა და ერთა ცხოვრებაში, მაგრამ ეს მაგალითები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ არის ყველა ერთი განსაკუთრებითი თვისებანი, და თუ ამ თვისებათა მოთხოვნილებათა არა აქვთ საკმაო ყურადღება მიქცეული, არა აქვთ ხელი შეწყობილი,—თუმცა ისრე ცხადლივ და სწრაფად არა, როგორც ეს მოუვიდათ თასმანელთა, დამარელთა, ამერიკელთა ინდოთა ტომთა და სხვა ველურთა ხალხთა,—დაემართებათ თვით უმაღლესთა ტომთა ცოტ-ცოტათო, შეუმჩნევლად,

მაგრამ მაინცა და მაინც, უეჭველად, კაცობრივი ბლად.

ყველა ზემოთ მოვვანილიდამ ჩვენ დავინახეთ, რომ ყველა ხალხს აქვს თავისი განსაკუთრებითი თვისებანი, რომელნიც თუ რა დაკმაყოფილა, მოელის ცუდი ბოლო ესეც ხომ ცხადია, რომ კაკოირიობა არის შემდგარე ერებიდამ. ისიც ვნახეთ, რომ ერთი ერის უძლურება ჰმოქმედებს სხვებზედაც, მაშასადამე კაცობრიობაზედაც. და თუ არ მივაქციეთ ყურადღება და არ ვუპატრონეთ ჯეროვნად ყველა ერთი განსაკუთრებითთა თვისებათა, ცხადია ეს კიდევ უფრო ცუდათ იმოქმედებს მთელს კაცობრიობაზედაც: თუ ერთი ნაწილის უძლურება ახდენს მთელს აგებულებას, ცხადია, თუ ყველა აგებულების ნაწილი იქნება მოუძლურებული, მაშინ უარესი დაემართება. აგრეთვე კაცობრიობაში: თუ ერთი ერის ნაკლი ვნებს კაცობრიობას, უეჭველია, დამამხობელი გავლენა ექმნება, თუ ყველა მისი შემაღვენელი ერნი იქნებიან ნაკლით სავსენი.

აი, რა მოსდევს ეროვნების ტყაჭის გახდას უადგილოდ, უდროვოდ, ეროვნების ფერის ცვლას, განსაკუთრებითი თვისებათა დაუცაობას, გაუფრთხოებლობას, ძალადობით სტევის ქერქში შეძრომას.

მაგრამ ამ ჩვენს მსჯელობას მოსდეს კიდევ შემდეგი პასუხი კოსმოპოლიტ-ევოლიუციონისტოა:

ამ შეერთებაში, ამ ძალადობაში დევს საფუძველი კაცობრიობის მომავალი პროგრესისა, ევოლიუციისა, ამ ბრძოლაში იხოცებიან უარესნი, რჩებიან უკეთესნი.. უარესი გადაეგება უძეოდ, უშთამომავლოდ, მაშასადამე უარესობა მოისპობა, დარჩება უკეთესობა. უკეთესობა მოიცემა უკეთესს შთამომავალს. მაშასადამე ამითი კაცობრიობა შესდგება უკეთესთაგან.. სასურველიც მომავალი კაცობრიობის ბეჭნიერებისათვის ეს არისო.

მენამ გადავალოთ განსაკუთრებით ამის პასუხზედ, საჭიროა მოკლეთ გადავავლოთ თვალი იმ გარემოებათა, რომელნიც

აიძღვებენ და მიშყავთ ერნი შესაერთებლად, რომელსაც ჰქალა-
გობენ თვით კოსმოპოლიტ-ევოლუციონისტები და რომელიც
თვით მათვე მიაჩინათ ევოლუციის იდეალად. ამაზედ ლაპარაკი
ზემოთაც გვქონდა ცოტაოდნად, და აქ უფრო ვრცლად
დაგვჭირდება ამაზედ მსჯელობა.

აქ ხშირად ხსნებული მეცნიერი ფრიდრიხ ლისტი აი-
როგორ გვისახავს ამ გარემოებათ, რომელთაც მიშყავთ კა-
ცობრიობა შეერთების გზაზედ მთელი კაცობრიობის, ინტე-
რესების დასაცველად, რომლითაც ისახება თვით წადილი
კოსმოპოლიტთა.

„შეერთება—ასსოციაცია,—იშ ძალისა, რომელიც ცალკე
ადამიანში იმყოფება, არის უძლიერესი, სახსარი საერთო საქ-
მეების შესასრულებლად, ყველა კაცის ბედნიერების მისაწ-
დომათ. ცალკე გამდგარი განზედ კაცი არის უძლური,
უსახსრო. ჩაც უფრო მეტია ეს შეერთებული ძალა, იმდენი
უფრო დიდია და სრული ნაყოფი კაცთა, როგორც გო-
ნებრივი ეგრეთვე ქონებრივი.

„უმაღლესი შეერთებული ძალა არის როდესაც კაცობ-
რიობა მთლად შეერთდება. როგორც სახელმწიფოსა ანუ
ნაციაში კერძო კაცი უფრო მისწვდება თავისს საკუთარს-
წადილს და შეისრულებს საკუთართა მოთხოვნილებათა შე-
ერთებული ძალით და შრომით, ვიდრე მაშინ, რომ ცალკე
გამდგარი ყოფილიყო,—ეგრეთვე ყველა ნაციანი ბევრით უფრო
ადვილად მიწვდებიან თავისთა წადილთა, მოთხოვნილებათა,
დაკაუყოფილებას, რომ ყველა ესენი შეერთდნენ, ერთის-
უფლებით, საკუუნო მშეცილებით, თავისუფალი ურთი ერთთა
შორის კავშირით...

„თვით ბუნებას მოჰყავს ერი ამგვარი შეერთების. გრა-
ზედ. ბუნების სხვა და სხვა რიგობა, ბუნების სხვა და სხვა
გვარი ნაყოფი საჭიროთა ხდის ამათ ერთმანეთისათვის.“

„ფილოსოფია თხოულლბს, განაგრძობს იგივე ლისტი—
—მთელი კაცობრიობის ინტერესების დამცველად, წარსამა-

ტემად, რომ ერნი თან და თან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეერთდნენ, მოიშორონ თბები თავიდგან, დაამკიდრონ ხალხთა შორის თანასწორი უფლებანი, თან და თან შესცვალონ გარემოებანი, რომელნიც ჰყოფენ სახელმწიფოებს ერთმანეთში და აშორებენ ამათ ერთსანეთს, მის მაგიერ დაამკვიდრონ და დააწესონ ფედერალური წყოფილებანი, თავისუფალი ურთი ერთობა ერთა შორის, როგორც ქონებით, ეგრეთვე გონებით. სიტყვით, ფილოსოფია თხოულობს ყველა ხალხები შეერთდენ, შესდგეს, ერთი კანონის ქვეშ, მსოფლიო კავშირი კაცთა შორის.“

გარდა სხვა გარემოებათა, რომლებზედაც ვრცლად ლაპარაკი ჩვენ შორს წაგვიყვანდა, კაცობრიობა თვით იმ გარემოებასაც მიჰყავს შეერთების გზაზედ, რომ ერთა და კაცთა შორის არის ეს საშინელი შუღლი უპირატესობასა და ეკონომიკურათ ერთმანეთის ძლევაზედ. რომ მსოფლიო სავაჭრო და პოლიტიკურს ასპარეზზედ დაიწირონ პირველი ადგილი, სხვები ჰყანდეთ მონებაში, მორჩილებაში, გამოსარჩენად, ყველა ერნი აყენებენ, —რასაკვირველია, ვინც კი შემმია მსოფლიო საქმეთა, —თავის თავს ასრეთს ჯაფა-შრომითა, რომ ეს შრომა სჩაგრავს კაცს როგორც აგებულებით, ეგრეთვე გონებრივ. რომ მოინდომოს რომელმამე ხალხმა დაადგეს ზომიერს შრომას, რომ ამ შრომით არ იჩაგრებოდეს, დაიცვას თავისი ჯანი, ლონე, სხეული, გონი, —გახდება მსხვერპლი მეორე ხალხისა, რომელიც დაატანს თავს ძალას, რომ დიდი შრომით მეტი შეიძინოს სხვებზედ, და აქ გამოაცილის სხვათა ხელიდიმ ბაზარს, მუშტარს, დასძლევს სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზზედ, გაიხდის თვით იქათაც თავის მონათ. ამის გამო, პირველი, რომელიც დაადგება ამ გზას, თუ სხვებიც არ მოჰყენენ ამაში, იქნება თავისი მტერი, თავისი საბოლოვის მკვლელი. მეორეს მხრივ თუ უკელანი აღევანდელს კონკურენციის გზაზედ იდგებიან, უნდა ნიადაგ უმატონ ჯაფას, შრომას, აძალადონ თავისი ბუნება.

ჰეველა ამას მოსდევს მოუძღურება ერებისა, კაცობრიობხსა, კაცთა; მოსდევს ლილიპუტობა, ქოჩდრის კაცობა, სწეულება, საპყრობა. ეს გარემოება ძალა უნებურად სძრავს კაცთა გონში აზრს, რომ მოელოს ამ გვარს ყოფას ბოლოუხადია, რომ ამ გვარი საბოლოვოს მომღები და კაცთა დამამხობელი გარემოება უნდა შეიცვალოს და ბოლო მოელოს. ბოლოს მოღება ხერხდება მხოლოდ საკუობრიო ინტერესების შეერთებით, სადაც კონკურენცია უნდა გაუქმდეს კაცთა ჯანის და გონის შესასვენებლად, მის წარსამატებლად, იშრომოს მხოლოდ იმდენი, რასაც იმის ჯანი, აგებულება, გონი აიტანს, რომელიც კი არ დასჩაგრავს კაცთა ბენებას, პირიქით, ზომიერი ვარჯიშით წაიყვანას სისრულეში, წასწევს წინ.

ამათა და ამ გვართა გარემოებათა მიზყავთ კაცობრიობა გასაერთებლად. აქ კოსმოპოლიტ ევოლიუციონისტთა ან უნდა უარყონ სარგებლობა კაცთა შეერთებისა და კაცობრიობის გაერთებისა, ჩადგან ამას, ცხადია, მოსდევს მოსპობა კონკურენციისა, ბრძოლისა ერთმანეთის ბოლოს მოსალებად, ან უნდა აღიარონ, რომ, თუ ეს შეერთება სასარგებლოა, კონკურენციისა და ერთმანეთის ბრძოლის მოსპობას უნდა მოსევდეს წარმატება კაცთა, როგორც აგებულებით, აგრეთვე გონით, აგრეთვე ზნით.

მაგრამ გადავიდეთ თვით ევოლიუციონისტთა სპეციფიკური აზრის და სწავლის გარჩევაზედ.

მათის სწავლით *) ერთმანეთის ულეტას, სახრდოს ტაცებას, ცალკვას, სიტყვით, ბრძოლას ერთმანეთთან ცხოვრებისთვის მოსდევს ევოლიუცია, პროვენის, ესე იგი კაცთა

*) ამ სწავლამ თავისი მავნე გზაზედ დადგომით იძულებულიჲყო სახელოვანი ბიოლოგი პექსლი, თვითონაც ევოლიუციონისტი, გამოსულიყო და გამელაგებოდა ამას საქევყნოდ თავის თქმითობის სიცეყვაზორომელიც წარმოსთქვა 18 მაისს 1893 წ.

აგებულებისა, ზნეობისა და გონების სისრულეში წასვლა, წარმატებაო, ამ ერთმანეთის ბრძოლაში, ჩაგვრაში, ულეტაში უარესი სწყლებიან, უკეთესი რჩებიან. რაღან უკეთესთაგან უკეთესი ჩამოდიან, ამის გამო უარესთა ულეტით და უკეთესთა დარჩენით—უკეთესობა გამრავლდება, და თან და თან უფრო წარმატებაში წავაო.

დავანებოთ წარსულს თავი და გადავავლოთ თვალი დღევანდელს დღეს, დღევანდელს წეს-წყობილებას, გარემოებას. ვნახოთ, ვინ სწყლება ცხოვრებისათვის ბრძოლაში.. ვინ უნდა წავიდეს ჯარში საომრად? განა სუსტი, უძლური, უგუნური, სნეული, საპყარი, მახინჯი, მოხუცი, ძალიან ყმა-წვილი? არა. არც ერთს სუსტს, არც ერთს მახინჯს, უგუნურს, საპყარს, და სხვათა ამ გვართა. არ წაიყვანენ ჯარში, თუნც თვითონაც რომ მოინდომონ. საომრად არჩევენ უკეთესთა: უნდა იყვეს ჰასაკში მოსული, დამკვიდრებული ჭაბუკი, სწორედ იმ ხნისა, როდესაც ის უნდა იძლეოდეს ჯანიანს შთამომავალს; უნდა იყვეს მოსული, ჯანმრთელი, სრული აგებულებისა, უზადო სიმრთელისა. აი ესენი მიღიან ხალხიდამ და ხდებიან მსხვერპლნი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ესენი ან იხოცებიან ბრძოლაში ან თუ არა და სწორეთ იმ ხანში, როდესაც ისინი უნდა იძლეოდნენ უკეთესთა შთამომავალთა, რჩებიან უშთამავლოთ. ამ გვარათ ესენი ან იხოცებიან და, ვინც არ იხოცებიან არ აძლევენ კაცობრიობას თავისს შთამომავალს. მაშასადამე ბრძოლაში ცხოვრებისათვინ ვინ იხოცებიან: უკეთესი თუ უფარგისნი? ამ ფაქტის წინა აღმდეგი დღეს მაინც ვერავის რა ეთქმის, უეპველია ყველა-სათვის, ვისაც ჭეშმარიტების წინ თვალები არ დაუხუჭავს. რაკი ეს უკეთესი იხოცებიან და უარესი. რჩებიან, მაშასადამე ვინ იმრავლებს. ამ ცხოვრებისთვის ბრძოლაში? უარესთაგან, ევოლიუციონისტთავე თქმით, მოშენდება უარესი. მაშასადამე, თუ უკეთესი იხოტებიან; აქედამ პროგრესი წარ-

მოსდგება თუ რეგრესი, ევოლიუცია თუ დევოლიუცია? აქ
შეონი პასუხიც ცხადია.

ეს ბრძოლა ფიზიკური. გადავიდეთ ეკონომიურს ბრძო-
ლაზედ, როგორც ცალკე პირთა შორის, ეგრეთვე ერთა
შორის ერთმანეთში. რა ჩემი აქვთ აქტუალური: პატიოსნება?
ზეობიანი გონება? ალტრუიზმი? კაცო-მოყვარეობა? არა.
ყველა ამას ალაგი არა აქვს ამ ბრძოლაში. ძლევა ჩემი
უპატიოსნობას, გაიძვერობას, გამცემლობას, მუხანათობას,
მოტყუებას, სიცრუეს. მაშასადამე, რა თვისებანი უნდა წა-
ვიღნენ წინ ამ ცხოვრებისათვის ბრძოლაში? ყოველივე სა-
ზიზლრება, სამარცხვინობა, რაც კი აღელვებს კაცის გაღვი-
ძებულს ალტრუიზმულს და ეთიკურს კაცობრიულს გრძნო-
ბას. აი როგორ გვისახავს ლისტი ამ გვარს ბრძოლას კაცთა
შორის ერთმანერთში. ის ლაპარაკობს ვაჭრობასა და ვაჭ-
რებზედ.

„ვაჭარი თავისი სურვილის მისაწდომად... არ დაინდობს
თვით თავისი ხალხის თავისუფლებასა და არსებობას. იმისთვის
სულ ერთია, რა გვარი მოქმედება აქვს იმის შემოტანილს ან
გატანილს საქონელს ქვეყნის ზეობასა, შეძლებასა და დაუ-
ძლურებაზედ. იმას შემოაქვს როგორც წამალი, ეგრეთვე
საწამლავი. ის მთელს ნაციებს აჯღლურებს და ჰილუპავს მით
რომ შეაქვს იქ ბანგი, აფიანი (მოსაწევი და სასმელი) და
არაყი. დიალუპება თუ აშენდება ამისი შემოტანილი საქო-
ნელით ხალხი, იმისთვის სულ ერთია, ოღონდ თავისი საქო-
ნელი გაანალიზოს და ჰინახოს მოგება. გაიქცევა თავისი ქვეყნი-
დამ ამისი დამშეული ხალხი, ეს აქედამაც მოგებას მომიღებს,
გადიყვანს იმას უცხო ქვეყნებში. ომის დროს ის აძლევს
ჩუმათ თავის ქვეყნის მცენს იარაღს, საგზალს. რომ შესა-
ძლებელი იყვეს ის გაპყიდვა თავისი ქვეყნის მთელს ქონე-
ბას, უკანასკნელს სახნავ-სათესს, და როდესაც გაანალიზებდა
უკანასკნელს თავისი ქვეყნის ნაჭერს მიწასაც და ჩაიჯიბავდა

ამათში ალებულს ფულს, მაშინ თვითონაც ჩაჯდებოდა და თავისი გემით წაიყვანდა თავისს თავს თავისი აღმზრულ მშობელი ქვეყნიდამ გადასახვეწად.“

ადამ სმიტი ამბობს ერთგან: „ვაჭარს არც ერთს ქვეყანასთან არაფერი ინტერესი არ აკავშირებს, იმისთვის სულ ერთია, სადაც არ ივაჭროს. ერთი ბეჭვა უსიამოვნება საკმაოა, რომ, რომელსაც გინდა ქვეყანას თავი დაანებოს და თავისი ფულით, ვაჭრობით, საქონლით, საქმის წარმოებით გადავარდეს სხვა ქვეყანაში“

ზემოთ ხსენებული ლისტი, რომელმაც საოცარი ლოლიკით, შეურყეველი საბუთებით დაურღვია მალტუსს და მისთა მიმადევართა მათი თეორია, რომ თუ კაცთა არ შეამცირეს თავისი გამრავლება, ქეეყანა ვეღარ დაიტევს და ვერ შეინახავსო ამათს შთამომავალს,—ათავებს თავისს ლაპარაკს ამ გვარს საქმეზედ შემდევე სიტყვით:

„თუ მალტუსის თეორია გამოდგა თავისის ტენდენციით ვიწრო მოხაზულებისა,—მისი სახსარნი და ღონის ძებანი, რომელსაც გვიჩვენებს თავისი თეორიის მისაწდომათ, არიან ბუნების გარეგანნი, ბუნების წინააღმდეგნი. არიან დამღუპველნი ზნეობისა და მხნეობისა, არიან საზარელნი... ისა სკლილობს აქციოს კანონად უგულო ეგოიზმი: ისა თხოულობს, დავახშოთ ჩვენს გულში სიბრალული დამშეულთა და გაჭირვებულთა, რადგან ეხლა რომ ისინი გავაძლოთ, ვასვათ—დავუბრუნოთ სიცოცხლე,—შეიძლება ერთი ოცდა ათის წლის უკან იმის მაგიერად სხვა დაიშვესო... ამ დოქტრინას შეუძლიან აქციოს ქვათ კაცთა გული. რას უნდა მოელოდე იმ ქვეყნიდგან, სადაც კაცთ ქვა უდევთ გულის მაგიერად? რას უნდა ელოდეთ აქ, გარდა ზნეობის სრული დაცემისა, მასთან მოელი. ქვეყნის მწარმოებელთა ძალის მოღებისა, მაელის ქონებისა, ცივილიზაციისა და ნაციის დამხობისა?“

აი გზა, რომელსაც ადგია ეკონომიური ბრძოლა ცხოვრებისათვის.

ნუ თუ ვაჭარი, ან სხვა მრეწველი, ანუ მიწის მუშაკი, ან ვინმე სხვა, რომელიც დამდგარა იმ გზაზე, რომ შეიძინოს სხვაზედ მეტი და ამ აზრის მისაწმომად არა ზოგადს არაფერს, არავითარს ღონეს, უთუოდ მაღლა სდგას აგებულებით, გონით ანუ სხვა სიმარჯვით მაზედ, ვინც არა კადრულობს მას, რასაც ესენი კადრულობენ, უყვარს თავისი შეზობელი, ებრალება გაჭირვებული, აწვდის ხელს ობოლთა, ჩაგრულთა, დავრდომილთა, შემთხვევით ცხოვრების ბრძოლის ქვეშ მოტანილთა. რომ გადავავლოთ თვალი დღეს ჩვენსავე თვალ წინ მმოძრავ ცხოვრების და ამ ცხოვრებაში მომქმედ პირთ, ვნახავთ სულ სხვასა. რაც უფრო მაღლა სდგას გონით,— ემბობთ მეტს წილზედ; — იმდენი უფრო მაღლა სდგას ზნეობით, იმდენი უფრო ერიდება შას, რაცა ჰენებს მის გარშემო ღაჩაგრულთა და დევნილთა. კურსელ სენელი, რომელსაც ვაჭრობისა და ბანკების საქმე შესწავლილი აქვს, ამბობს ერთგან, რომ ამ საქმის კაცთაოვის დიდი გონი არ მოის საჭირო, აქ საჭიროა უფრო შუათანა გონიო. საღს გონს უფრო ხშირად შესწევს საღი აგებულებაცა, რადგან გონების სიმრთელე და სისაღე დამოკიდებულია აგებულობის სიმრთელესა და ძალაზედ. და სწორეთ ესრეც უნდა იყვეს.

ევოლიუციონისტები ამბობენ, რომ ეკონომიური ბრძოლა მაინც უნდა დარჩეს, თუ ფიზიკური ბრძოლა დროთა გარეშემოებათავან შესწყდაო. ამ ბრძოლაში ვინც უფრო მკვიდრათ დაიჭერს საქმეს, საშვილიშვილოთ მეტს შეიძნეს, ის გამოლგება აგებულებით, ძალით და გონით ძლიერი, ეს გადადის შთამომავლობაში როგორც სამკვიდრო ნიჭი და ეს მოდგმა ძლიერდებო. ამ პრძოლაში, რა კი ერთნი დიდს ადგილს იჭერენ ცხოვრებაში, სხვანი, რომელნიც ამათ ვერ გაუწევენ შულლს, დგებიან ამათზე უარესნი იმშვივინ, უძლურდებიან, ეს გადადის შთამომავლობაში სამკვიდროთ და

ამითი შთამომავალი იღუპება, ბოლო ეღებაო. ამ გვარად, უარესნი სწყდებიან, უკეთესნი მრავლდებიან, და აქედამ მიღის კაცი აგებულებითა და გონით წარმატებაში, სდგება ევოლიუციაო. ვნახოთ, რაოდენათ ან ეს უნდა იყვეს ასრე.

დავადგეთ თვით ამავე ევოლიუციონისტთა ვარჯიშის ძალას. დარეინმა მთელი თავისი თეორია ააშენა იმაზედ, რომ ვარჯიში აძლევს აგებულებასა და გონს წარმატებასაო. ამასთან ესეც გამოჰყავთ ამასა და ამისთა მიმადევართა სწავლიდამ, რომელსაც აგრეთვე ცხადათაც ვარდავთ ცხოვრების ყოველსნაბიჯზედ, რომ, როგორც გადაჭარბებული ვარჯიში, აგრეთვე ვარჯიშის ნაკლი აუქლურებს სხეულსა. ვარჯიშის ნაკლზედ ხომ დარვინი ამბობს, რომ ის სხეული, რომელსაც ვარჯიში არა აქვს, თან და თან იშრება აგებულებაში, და ბოლოს ბრავალთა უამთა განმავლობაში კიდევ ჰქონებაო. ინ, დავადგეთ ჩვენც ამ მხრივ საქმის გარჩევას. ვნახოთ, რაოდენათ უმართავს ხელს შეძლებულთა კაცთა თავისი შეძლება გონისა და აგებულების წარმატებაში.

კაცი, რომელიც დღეს იძენს ქონებას, ის არის მოქმედებაში გონითაც და ხშირათ აგებულობითაც. მაგრამ გადავავლოთ თვალი მათთა შთამომავალთა. იმაზ დარჩენიათ დიდი შეძლება, შეუძლიანთ უშრომლოდ ცხოვრება. რამ უნდა აიძულოს ისინი, რომ შეიწუხონ თავი ან გონების მუშაობით ანუ აგებულების შრომით? — არაფერმა... ცხადია, რომ თავისი ჯახისა და თაურის დასაცველად კიდევ ავარჯიშოს გონი და აგებულება, იმავენად არ ავარჯიშებს, რავდენათაც საჭიროა მათი ჯეროვანი წარმატება. ეგრეთვე ცხადია, რა კი არა აქვს ზომიერი ვარჯიში, იმის აგებულებისა და გონის წარმატებაც ვერ მიღის ჯეროვანი წარმატების გზაზედ. ეს ერთი მხარე. ამ უმოძრაობას მოსდევს ახლა დამძიმება სხ ულისა უზომო ჭამა-სმით. რაოდენათაც იმას აუქლურებს უშრომლობა, იმდენათ ახლა მისი აგებულებისა და გონის მჩაგრავ ტვართაც ევლინება. მოჭარბებული საჭმელი და სასმელი, კუჭი მისი ნიადაგ და-

ტვირთულია უზომით საქმლით, ცხარე და შავნებელი სასმე-
ლებით, ყური მისი მოქარებებული საკრავებისა და სიმღერე-
ბის სმენით, თვითონ მოქარებებული ეროტიული სიამოვნებით,
თვატრებსა, ბალებსა, თამაშობასა და სხვა ას გვართა შესა-
ქცევართა და დროს გასატარებელთა გასართობებით და დამის.
ტეხით და სხვა და სხვა. ამ გვარად, ერთ მხრივ უვარჯიშო-
ბით, მეორეს მხრივ მეტი ვარჯიშით, ეს უძლურებება, და,
არამც თუ არ იძლევა ძლიერს აგებულებით და გონით შთა-
მომავლობას, პირიქით იძლევა, რასაც ჩვენის საკუთარი
თვალით კიდევა ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ, უჯანოს, უძ-
ლურს, უგონო შთამომავლობას. ასრულ რომ მოელი გვარები-
ისპონიან ამ გვართა შთამომავალთა, თუ არ განაახლეს სის-
ტლის შერევით სხვა საღი გვარებიდამ თავისი სისხლი, რო-
მელზედაც მოელი ტრაქტატებია მეცნიერებაში შედგენილი.
დუბლედ თავის ტრაქტატებში გამჩავლების შესახებ ორგანი-
ულს არსებებში ამტკიცებს, რომ საზრდოს სიჭარბეს მოსდევს
უშვილობაო, უნაყოფობაო. ერთი უმთავრესი ევოლიუციო-
ნისტაგანი, სპეციალისტი თავისს „საფუძველი ბიოლოგიისა“
ამბობს, რომ მოქარებებული საზრდო ჰერებს როგორც მცენა-
რეთა, აგრეთვე სულდგმულთა. საზრდო იმდენი უნდა მიი-
ღოს, რავდენიც საჭიროა თავის შესანახად, გამოსაზოგავად
აგებულობაში იმ მასალისა, რომელიც საჭიროა შთამომავ-
ლობის მოსაშენებლი, და რაც ამის გარედ მიღის აგებულე-
ბაში საზრდო, ვნებს და ჰქადებს უნაყოფობასაო. ესევე მოს-
დევს საზრდოს ნაკლებულობას, რადგან არც თავის შესანახი
და არც გამოსაზოგი საზრდო მასალად შთამომავალის სამრავ-
ლებლიად არ შედის ამ ორგანიზმშიაო.

უკეთა აქედამ ცხადია, რომ ჭანონი, რომელზედაც
ოჩენებიან ევოლიუციონისტები, ვითომც ბრძოლა ცხოვრე-
ბისათვის ემსახურებოდეს უკეთესს პროგრესს, უკეთეს ევო-
ლიუციას, არის შეცდომა. პირიქით, სწორეთ ეს ბრძოლა
არის მიზეზი, რომ პროგრესიცა და ევოლიუციაც კაცობ-

რიობაში მიღის ასე სუსტათ, ასე ნაკლებათ. ქვეყანა შენდება უკეთესთაგან-კი არა, შუათანათაგან. უკეთესნი იხოცებიან, გადაშენდებიან ზრდობან ბრძოლაში, შინ ბრძოლაში გარევნილებასთან, ცრუ-მორწმუნებასთან. უარესნი იქლიტებიან ბუნებით სენისაგან, უძლურებისაგან. რჩებიან შუათანანი, რომელნიც ამ შუალაობასაც ვერა სწევენ, რადგან იმავე ბრძოლაში მეტი ჯაფით, ნაკლებულობით, ხელშეუწყობლობით შუალაობაზედ კიდევ ქვევით მიღიან ამ გვარს შუათანათაგან შენდება ქვეყანა. ეს არის მიზეზი კაცობრიობისა დღემდის შუალაზედ დაბლა დგომა გონით და აგებულებით. შესწყვიტეთ ეს გარემოება, მოსპერ კაცოდა ერთი შორის ეს ბრძოლა პოლიტიკური, ეკონომიკური, ეს ჩაგრა, ულეტა, ძარცვა, მოტიუება და ითასნი საზოგრაფიანი, რომელნიც მოსდევენ კონკურენციას, ბრძოლის ერთმანერთთან ცხოვრებისათვის; და ვნახავთ სულ სხვას. ვნახავთ, რომ უარესნი, ესე იგი ბუნებით სინეულნი, ბუნებით საპყარნო უბრძოლველათაც მოისპობიან, მოისპობიან ჯერ თვით თავისივე ბუნებითი სენით, მერმე მშობელთა შერჩევით; სნეული მოდგმისას მოერიცებიან შესართავად, ან თვითონვე არავის შეირთავენ, მაშასადამე სნეულნი მოდგმანი გადაჯალიგდებიან. ის პატიოსანი, კაცობრიობის მოძღვარნი, რომელნიც დღევანდელს წესში, ბრძოლაში ცხოვრებისთვის არიან დეპნილნი, არიან გაჭირებულნი, არიან ხრავალს იმგვარს გარემოებაში, რომ ეგებიან უშთამამავლოთ, მაშინ მოიცემიან ნაყოფს, მოაშენებენ გონებით თვისთა მგზავსთა. რაც უფრო მეტი გონების ხალხი მოშენდა, იმდენი, გარდა ამისა, რომ საზოგადოება, ერთი, კაცობრიობა მოიგებს ფიზიოლოგიურათ, ამასთან მოიგებს მეორე მხრივაც: მაშინ, რაკი ბევრი გონების მუშაკი იქნება, საჭირო აღარ იქნება, რომ თითო-ორიოლამ, როგორც ეხლა, თავი ჩაკლას უზომო გონებით შრომას, რადგან ამგვარს შრომასაც, როგორც სხვა ყველა უზომო შრომას, მოსდევს გონების უძლურება, უნაყოფობა, რომელ-

ზედაც იჩვენებიან მრავალნი ფიზითლოგნი და ბიოლოგნი. მაგალითად სევორი იჩვენება მის შესახებ შემდეგს საბუთებზე: ტვინი და თესლი ადამიანისა შესდგებიან ბევრში ფოსფორის—აგან. ტვინის დიდი მუშაობის დროს, აგებულებაში შესული ფოსფორი იხარჯება უზომოდ. ამასთან, რაკი ტვინს აკლდება ფოსფორი, ეს იზიდავს მეტს დარჩენილს ფოსფორის ნაწილსაც, რომელიც შედის აგებულებაში. მაშასადამე, თესლის ძალის მოსაცემათ აღარა რჩება საქმაო ფოსფორი აგებულებაში, და ამის გამო ლაყდება თესლი, უძალო ხდება, ნაყოფსა ჰკარგავს, ან, თუ იძლევა—იძლევა უძლურს ნაყოფს. ცხადია, რაკი მრავალი გონებით მუშაკი იქნება, მაშინ ყველას ზომიერი გონების მუშაობა ექნება. აქ, მის მაგიერათ, რომ იღუპებოდეს გონიერთა შთამომავალი, როგორც ეხლა არის, იმრავლებს და იშობება ძალა მოცემული, საღი, ძლიერი შთამომავალი. როგორც გონებით გაუმჯობესება, ეგრეთვე ზნეობით გაუმჯობესება მოპყვება ამგვარს წესს. დღეს ზნეობიანს კაცს ელის სიმშილი, უძლურება. ძლიერდება ზნედაცემული, ნაშუსსზედ ხელალებული. ეს თვისება, ცხადია უნდა მატულობდეს შთამომავალშიც. მაშინ, სულ სხვა იქნება. რაკი ზნეობიანთა კაცთა ექნებათ ბაზარი, ექნებათ ალაგი (კხოვრებაში), ეს მისცემს წარმატებას ამგვარი თვისების შთამომავალთაც. ესევე მოხდება აგებულებით უძლურებში. ისინი, ვინც დღეს იღუპებიან ომებში ანუ საომარს გზაზედ უნაყოფოთ, მაშინ მოიცემიან ნაყოფს. საღი და ძლიერი ადამიანისაგან შთამოვლენ საღნი და ძლიერნი შთამომავალნი. ამითი დატრიალდება კაცობრიობაში ეკონომია აგებულებით, გონებით და ზნეობით ძლიერთა. ცხადია, პროგრესის, ევოლუციის მიიღებენ მაშინ სულ სხვა ხასიათს, წავლენ უფრო სწორე და სწრაფს გზაზედ.

ბრძოლა ცხოვრებისათვის რომ არ იყვეს არც ევოლუცია იქნებოდა, არ ავიღოდა ორგანიული არსება იმ სისრულემდის, რომელსაც დღესა კედავთო,—ისწავლებიან ცვალიუციონისტები.

საიდამ შესდგა ბრძ ალა ცხოვრებისათვის? იქიდამ, რომ სხვანი მეცილებიან მას, რაც ჩემთვის საჭიროა ცხოვრებისათვის, და რაღან მოცილენი მყვანან, თუ მე არ დავასწარ, ისინი დამასწრებენ და მე მომელის ცუდი ბოლო. ამისგამო მეცა და ჩემს გარე მყოფნიც იძულებული ვართ ვგლიჯოთ ერთმანეთს პირიდამ ლუკმა. აქ მწვავდება ბრძოლა, რომელიც იქცევა მუსრვად. ეს ხდება მაშინ, როდესაც კაცმა არ იცის ბუნების ხელი, როდესაც კაცს თავისი გონება არ ჩაუწევდენია ბუნებაში, არ შეჰრძოლებია გონებით ბუნებას, არ შესდგომია ბუნების ბრძოლას იმის დასამორჩილებლად. ვთქვათ, კაცმა ყოველი თავისი ძალა მიაქცია ბუნებას, ბუნების შესწავლას, ბუნების დამორჩილებას, შესწყდა კაცთა შორის ბრძოლა. ცხოვრებისათვის, —განა შესწყდება ამითი ეკოლიურია, პროგრესი, წარმატება? ნუ თუ ევოლიუცია, შემდგარი ბრძოლაზედ ცხოვრებისათვის, იქერს ძველი ტრანსფორმიზმის სწავლის ალაგს, რომელიც პპოვებს ევოლიუციას ცხოვრებისთვის ბრძოლის გარე?.. ან-კი რა სანატრელი ტიპია, რომელიც ისახება დღევანდელს ევოლიუციაში? ნუ თუ საჭიროა და საერთო სასარგებლო, რომ ამ ევოლიუციამ დაჰბალა ვეფხვის კლანჭები; ასპიტის გესლი, აფთარის მძვინვარება, ნიანგის კბილება, კაცის ანგარება, დაუნდობრობა, მუხ-თლობა, გულ-ქვაობა? კაცი თავისის აგებულებითა, გონითა და მოწყობილებით დღეს არის მომარჯვებული კაცთავე სამტროდ, საელეტად, საცარცვად. ამის მაგიერად, ის რომ მომარჯვებოდა ბუნებასთან ბრძოლას, ბუნების შესწავლას, გაეხსნა თავის თავში ძალა გიპნოზისა, ცხადად მხედველობისა, წინასწარ-ხედვისა, თვალის უკეთესათ მჭირეტელობისა, ყურის უკეთ სმენისა, ჰაერში ფრენისა, პირუტყვით ენის შესწავლისა და ათასი ამგვარები, — ნუ თუ არ იქმნებოდა ევოლიუცია და უკეთესი ევოლიუციაცა კაცთათვის, ვიდრე დღევანდელი ბრძა კოსმიური ევოლიუცია? ნუ თუ კაცი უფრო ბეღნიერი არ იქნებოდა, რომ მისი აგებულება ყოფილიყო.

იმგვარად წარმართული და მომარჯვებული, რომ თავის თავში გაეხსნა გრძნობა მომავალის დანაზვისა, აეცდინა თავიდამ მომავალი უბებურება, რომლისაც წინაშე დღეს ბრძა არის და სრული მონა მომავალის უვიკობისა, ვიდრე ეხლა, რო დესაც იმან გაიხსნა თავის-თავში საომარი ნაკვთი, ნიჭი თავისსავე მსგავსთა და ნათესავთა ზუსასპონდელი? ნუ თუ ეს სამხედრო ძალის შეძენა აგებულებაში, ერთმანერთის ბრძოლა ელეტაზედ მიმარჯვებული, არ იყო ევოლიუციისთვის ხავნებელი, იმ ევოლიუციისთვის, რომელიც უამისოდ შესდგებოდა კაცის აგებულებაში? ნუ თუ იმ ევოლიუციას ერქმის სასარგებლო ევოლიუცია, რომელიც შესდგა და აშენდა ძალადობაზედ, ერთმანერთის მუსვრაზედ, ერთმანერთის ჩაგვრაზედ, და ამავე დროს დაახშო ძალა ამ გვარი ევოლიუციის შედგენისა, რომელსაც მოსდევედა სრული ბატონობა და პატრონობა კაცთა შის გარშემო მყოფს ბუნებაზედ?.. რატომ ევოლიუცია არ იქმნებოდა, რომ კაცს არა ჰქონოდა დღევანდელი სანახაობა, დღევანდელი სულისა და აგებულების ძალა, და ამათ ნაცვლად მიეღო სულ სხვა სახე, სხვა შინაგანი თუ გარეგანი მომარჯვებანი, ვთქვათ იმგვარი, რომელიც დაანახვებდა ბუნებაში ყოველს კანონს მოვლენათა, ყოველს ძალას ბუნების მოძრაობისას, დაანახვებდა მაგალითად სნეულებათა მიზეზთა. დღევანდელი კაცის გონი, თვით უპირველესთა გენიოსთა სწავლულთა იქამდის უძლურია, რომ იძახის: ბუნების სათავის აწონვა და გამოკვლევა კაცის ხელთ არ არის, მისი გონი ამას ვერ მისწვდებაო. ეს რატომ? იმიტომ, რომ კაცს არა აქვს ამ მხრივ გონი საქმით ნავარ-ჯიშევი, არა აქვს ამისთვის აგებულება მიმარჯვებული.

ან-კი ევოლიუციისათვის მართლა საჭიროა ბრძოლა ცხოვრებისათვის და ელეტა ერთმანერთისა? ნუ თუ, როგორც ზემოთაც ითქვა, სწავლა ტრანსფორმიზმისა, რომელიც ევო-ლიუციისათვის, ბრძოლას ცხოვრებისათვის არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს, დაარღვია რამე: შესაწყნარებელი სა-

ბუთებით ახალმა. სწავლის ევოლიუციაზედ, რომელიც ევოლიუციას ამყარებს ცხოვრებისთვის ბრძანდაზედ? გადავავლოთ სამყაროს თვალი. ვის ებრძვის ან რა აქვს საბრძოლველი, ვთქვათ მას, როდესაც დგება რომელიმე პლანეტა? იწყება უბრალო ფიზიკური და მეხანიკური კანონიდებან, რომლის ძალითაც ერთი ოტომი იზიდავს მეორეს, ამ გვარად იწყება ზრდა და წარმატება სხეულისა, იწყება ევოლიუცია. რომელიც ცხოვრებისთვის ბრძოლა ჰბადავს ზამთარში ფანჯრების შუშებზედ მშვენიერი ყინულის სახეებს, რომელიც შესდგება გაყინული ორთქლიდამ? იწყება იოტიდამ და რდება მთელი მშვენიერი სახეები, ყვავილები, მხატვრობანი. მიზეზი ამისი არის მდგომარეობა ჰაერისა, სითბოსი და სხვა ბუნების მოვლინებანი. როდესაც ბუნებიდამ ჩნდება ის პირველი უჯრედი რომელიც უბრალო კრისტალიდამ ორც-კი ირჩევა, რომელიც ცხოვრებისთვის ბრძოლა აჩენს ამასა? რომ შესწყდეს ამისა ზრდასა და წარმატებისათვის საჭირო მზის სითბო, ჰაერის სისქე, ჰაერის სიმძირე, ნესტი,— რა მოუვა ამის ევოლიუციას, ათასი ბრძოლაც რომ შეეძლოს ცხოვრებისათვის? რა დაემამათება თვით უმაღლესს ორგანიზმი რომ შესწყდეს ორგანული არსებისათვის საჭირო გარემოებანი ჰაერში, მზის შუქში, დედედამიწის გულის სითბოში, წყალში და სხვა? უშველის რასმე აქ ბრძოლა ცხოვრებისათვის? როგორც ევოლიუცია ორგანიზმში, ეგრეთვე დევოლიუცია, თუ უორგანო არსებაებში არის დამოკიდებული მაზედ, რაოდენათაც ხელს ღწყობს მას ბუნების მდგომარეობა, ნუ თუ ცხოვრებისათვის ბრძოლა რომ არ იყვეს, შესწყდება ან ევოლიუციი ან დევოლიუცია, ან პროგრესი ან რეგრესი? *) ბუნება აწარმოებს ერთს და იმავე.

*) აქ მკითხველს არ უნდა შეეშალოს ბრძოლაც ცოვრებისთვის იმ ფიზიკურსა და მეხანიკურს ძალასთან, რომლისაგანაც სდგება მოძრავი თანაბრობა (подвижное ровновесие), და შეჩერებული ითა ასაბრობა (устоивчивое ровновесие), რომელთა კანონზედაც არის დამყარებული აშენება და დაშლა ორგანიულთა და არა ორგანიულთა სხეულთა. აქ ბრძოლას ცხოვრებისთვის და თვით უბრალო ბრძოლასაც არა აქვს აღაგი; ეს არის უბრალო მოძრაობა.

კანონს როგორც უორგანო ისრე ორგანიულს აგებულებაზედ. იწყობა ფორმა, მიღის სისრულეში. როდესაც რიტმი,—რომლისაც კანონია განმეორება მოვლენისა და ამ განმეორებაში თანდათან კლება,—უძლურდება, პკარგავს განმეორების ძალას,—მაშინ ჩერდება ეს სისრულეში მსვლელობა ფორმისა, იწყება კლება, დაშლა, დახრწნა, მიღება პირველ-სახისა, ხაიდამაც იწყო ფორმის სათავე; იწყება გარდასვლა აქედამ სხვა ფორმაში, სხვა აგებულებაში. სიტყვით ზრდა, ევოლუცია ორგანიზმთა, როგორც უორგანო სხეულთა, არის დამყარებული და დამოკიდებული მაკროკოსმურს ძალაზედ, და არა ბრძოლაზედ ცხოვრებისათვის, რადგან, თუ მაკროკოსმური ძალა არ შესწევს, როგორც ზემოთაც ითქვა, რავდენიც გინდა იბრძოლო, თუ უკან არა, წინ ვერ წახვალ. რომლრმათ ჩავიხედოთ საჭმეში, ბრძოლა ცხოვრებისათვის არ შეარდგენს არავითარს საჭიროებას ევოლუციისათვის. ევოლუცია ხდება ამ ბრძოლის გარე. ბრძოლა არის დამაბრკოლებელი ევოლუციისა. ბრძოლა ცხოვრებისათვის არის გამოწვეული გარემოებათაგან, არის საჭირო თავის დასაცავად, აგებულება, სიცოცხლე ეწყობა ისრე, რომ მოემარჯოს გარემოებათა, რომ ეს გარემოებანი სძლიოს ორგანიზმა, და გარემოებამ არა სძლიოს ორგანიზმი. თუ გარემოება მეტად ძლიერია; თუ ორგანიზმი შეუძლიანთ გაძლოლა გარემოებათა, მაშინ ორგანიზმი სძლევს ამ გარემოებათა, და უმარჯვებს თავს ახლა სხვა გარემოებათა, რომელთანაც უჩნდება ახალი კავშირი. კარგს გარემოებაში სიცოცხლის ძალა კარგათ მიღის, უუდში ცუდათ. ბრძოლა ცხოვრებისათვის, რამდენიც უნდა სთქვან თვით უპირველესთა ავტორიტეტთა, არის სავნო ცხოვრების მოსამარჯვებლად, რადგან წარმატებას აქცევინებს სწორე გზას. მეცნიერნი შეიყვანა შეცდომაში ევოლუციის შესახებ მან, რომ დღევანდელი აგებულიებისა, გონისა, ზნის მოწყობილება არის მიმარჯვებული ერთმანერთან ბრძოლისათვის. რაკი მხოლოდ ას გარემოებაზედ მიმარჯვებულათ.

შედამენ ყოველს ორგანიზმს, ესა პიოვეს მიზეზად ევოლუციისა, წარმატებისა. გაუშვეს სახიდამ ნამდვილი რეგულიატორები ევოლუციისა, რომელზედაც ზემოთ იყო ნათქვამი. ავღოთ მაგალითი. როდის უფრო იზრდება თუნდა ვთქვათ ხე, ესე იგი, როდის უფრო კარგი გარემოება აქვს ევოლუციისათვის: მაშინ, როდესაც იმას თავის დასაცველად უნდა ბრძოლა ყველა გარემოებასთან, რომელნიც იმას უშლიან ნებაზედ ზრდას, საზრდოებას, თუ მაშინ, როდესაც აღარც მებრძოლთ აღარც მჩაგრავი ჰყავს, არა აქვს ის გარემოება, რომ მეტს თავის ძალას ანდომებდეს მათგან თავის დაცვას, მათთან საბრძოლველად მიმარჯვებას. ცხადია, ის ხე, რომელიც ყოველს თვის ძალას ანდომებს, გარეშე ბრძოლას-კი არა, თავის საზრდოვებას, შინაგანს ზრდას, მიმარჯვებას სითბოსა, ჰაერსა, სინათლესა და სინესტესთან და სხვა ამგვარი. ამგვარივე კაცის ზრდაც, ევოლუციიაც. ის, როდესაც თავის ძალას, ლონეს, გონს აღარ ანდომებს ბრძოლას თავის მსგავსებთან, ამ ძალას ანდომებს შინაგანს ზრდას, ბუნებაში შესვლას, ბუნებასთან შეერთებას, ბუნებაზედ გაბატონებას, რომელსაც განარიდა, განაშორა ბრძოლამ ცხოვრებისათვის თვისთა მსგავსებასთან.

უველა ამ საკმაო ვრცელი ლაპარაკიდამ ჩვენა ვნახეთ, რომ ბრძოლას ცხოვრებისთვის, ერთმანეთის დევნას, ჩაგვრას არ მოსდევს წარმატება სოფლისა, არამედ არის დამაბრკოლებელი ევოლუციისა და ყოველგვარი წარმატებისაც. თუ ევოლუცია წარმატებაში მიღის, მიღის ძალით ტრანზორმიშითა და ბრძოლა ცხოვრებისთვის მხოლოდ უშლის ამასა.

ახლა გავსინჯოთ რა მიზდება ამ გვარი ჩაგვრა ულეტით, რომ შეეჩდეს და გაერთდეს კაცობრიობა, როგორც იჩვენება ევოლუციონისტ-კოსმოპლიტობა, ან ისე გზას გადამცდარი კოსმოპლიტობა.

რას შეიტანებ საერთო საკაცობრიო სალაროში დავარდნილი და დახაგრული ერები, რომელნიც როგორც ზემოთა ვნახეთ, ამ ჩაგვრა შევიწროებით ხდებიან ფიზიოლოგიურად უძლურნი, ზეობრივად დაცემულნი, გონებით საპყარნი. როგორც

ზემოთაც გვქონდა ამაზედ ლაპარაკი, ხომ უნდა გახდნენ
ესენი ტყირთნი დაწინაურებულთა ერთა, უნდა გახდნენ
მიზეზნი მათი სისხლის მოწამვლისა, გონების შეფერხებისა.
ეს იქნება ის რაც ხდება ერთი კაცის თავს, რომელსაც
აგებულებაში სნეულება ეპარება ანუ უსნეულდება აგებუ-
ლობის რომელიმე მხარე, და, ცხადია ეს სნეულება უნდა გა-
დავიდეს მთელს აგებულებაზედაც.

ჩაგვრით, ძალადობიუ მოუძღვურებით დაჩაგრული ხალ-
ხების გადასხვაფერების, ბუნების ძალადობას, როგორც ზე-
მოდ იყო ახსნილი, მოსდევს ამათი მოუძღვურება. ეს მო-
უძღვურებული ერები უერთდებიან თავის მძლეველს ერებს.
რას იგებენ ეს მძლეველი ერები ამ წამხდარი, მოუძღვუ-
რებული ერების შეერთებით, მასთან დათვისტომებით? იმას,
რომ, როგორც ზემოთაც გვქონდა ამაზედ ლაპარაკი, ამათს
სისხლსა სწამლავს ისივე ერი, რომელიც თვით ამათვე მოს-
წამლეს, წაუხდინეს ბუნება, დაუკარგეს სისალე. რას იგებს
ამითი კაცობრიობა? მას, რასაც მჩაგრავი ერი. ეს კიდევ
არაფერი. ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ კანონზედ, რომ როგორც
დაჩაგრული ფუჭელება ზნითა, აგებულობით, გონით, ეგრეთვე
მჩაგრავიცა. რაც ხდება ცალკე კაცის თავს, ის ხდება
მთელს ერებზედ, მთელს კაცობრიობაზედაც. მჩაგრავს ერს,
თუ მთელს არა, მაღალს წრეს მაინც შეაქვს დაპყრობილი
და დაჩაგრული ქვეყნებიდამ დიდი საზრდო, ქონება. ეს ამათ
აგდებს უსაქმურობაში, აძლევს მეტი საზრდოს. ხმარების გა-
რემოებას. ჩვენ ვნახეთ, რომ ამას მოსდევს მოუძღვურება
აგებულობისა, ზნისა, გონისა, ფიზიოლოგიური უნაურ-
ფობაც კი.

ამ გვარად, ჩაგვრას, ძალა დობას ერებისაგან ერებისა—
მოსდევს მოუძღვურება როგორც ჩაგრულთა, ისე მჩაგრელთა.
და ვისგან შესდგება კაცობრიობა? ამ ერთაგან. რას იგებს
მაშ კაცობრიობა მითი, რომ შესრულდეს პასუხი ან კოს-
მოპოლიტ გზა აქცეულთ, ან კოსმოპოლიტ— ეკოლიუ-

ციონისტთა? მხოლოდ მას, რომ ოფორტუ ჩვენი ქართული ანდაზა ამბობს: მკვდარი მკვდარს აეკიდა—სამარის კარს მი-მიტანეთ. გაერთდება მოუძღურებული, სნეული კაცობრი-ობა, რომელიც შემდეგ უნდა ათასი საუკუნენი მოუნდეს თავისის შინაგანი თვისების შესწორებას, სნეული გონისა და აგებულობის კურნებას, თუ-კი მოხერხდა კიდევ იმისი შევლა.

ყველა აქედამ ცხადია, რომ არაფერი კარგი არა მოს-დევს რა კაცობრიობის ერთობისა და წარმატებისათვის ერთი ერისაგან მეორე ერის ჩაგვრას, ერთის ერისაგან მეორის ძალადობას, ძალათი გადასხვაგვარებას.

და თუ გზა აქცეულს პატრიოტობას მოსდევს დიდი ვნება კაცობრიობისათვის, ამაზედ ნაკლები ვნება არ მოს-დევს გზა აქცეულს და მეტადრე ევოლიუციონისტთა კოს-მოპოლიტობას. ამ გვარს მათს სწევლას მოსდევს ისა, რომ გაუშვათ მტრის კრიჭაში შესაჭმელად დაძალულნი ერნი, შემადგრენელნი ნაწილნი მთელის კაცობრიობის სხეულისა, და მიცემთ მხარი მჩაგვრელთა და მტარვალთა, მივსცეთ წარმატება კაცობრიობის აგებულებაში უსაზიზღესთა და უსავნებელესთა თვისებათა და მხარეთა, წინააღმდეგ კეთი-ლის ზნისა, თვისებისა და მხარეთა. სიტყვით, წამხდარს პატ-რიოტობასაც და წამხდარს კოსმოპოლიტობასაც, ორთავეს მოსდევს დაღუპვა კაცობრიობის ინტერესებისა: ორთავენი სდგანან უძლურთა ჩაგვრაზედ, მტარვალთა ხელის მომართვა-ზედ, რეგრესისა და არა პროგრესის სამსახურზედ, ევო-ლიუციისა-კი არა, დევოლიუციის წარმატებაზედ.

რომ აღსრულდეს უმაღლესი წადილი კაცობრიობის შეერთებისა თანაბარი უფლებებით, როგორც ამას თხოუ-ლობს წმინდა, გზაგარკვეული კოსმოპოლიტიზმი და თვით კაცობრიობის უმაღლესი ინტერესები; თვით ბუნება, გო-ნება, ლოლიკა,—საჭიროა უთუოდ დაცულ იყვნენ ჩაგრულთა ერთა ინტერესები, მათი განსაკუთრებითი ბუნებითი ღირსი

თვისებანი, მოსპოს სსენებაც კი ბრძოლისა ცხოვრებისათვის ერთმანეთთან, გადვიდეს კაცთავან ეს ბრძოლა ბუნებასთან მის დასამორჩილებლად, მისთა კანონთა შესასწავლად, მისთა ძარღვთა და სახსართა ხელში დასაქერად.

აი, სწორედ აქ, სცილლასა და ხარიბლას შეა გასავლელად, რომ სწორე გზაზედ დადგეს კაცობრიობის პროგრესი, არის ნასკვი, სადაც სწორე გზა-რკვეული პატრიოტობაცა და კოსმოპოლიტობაც არიან ერთმანეთზედ მჭიდროდ გაადატმასნილნი.

რომ წავიდეს სწორე ნაპიჯით კაცობრიობის ბედნიერება და საბოლოვო წინა, უნდა ყოველი ლონე იყვეს მოხმარებული, რომ დაცემულნი ერნი აიწივნენ თანაბარ დაწინაურებულთა ერთა. როგორც ერთი კაცი ვერ ჩავარდება დიდს სიმდიდრეში, თუ არ გამორჩა სხვებსა, არ ისარგებლა მათის ჯანით, ლონით, გონით, შრომით, არა სჩაგრა სხვები, — ჟგრეთვე ვერც ერთი ერი ვერ წავა დიდს ძლიერებაში, თუ არ დასჩაგრა სხვა ერები. და ჩვენ ვნახეთ, რაც მოსდევს კაცობრიობისათვის ერთა ძალმომრეობას ერთმანეთში: ორივე მხარე ზარალობს ფიზიოლოგიურად, გონებით, ზნეობით და მითი ბრკოლდება პროგრესი, ევოლუცია. საკეთილო გზისა, კაცობრიობის საბოლოოოსი.

აი, აქ, ამ გზაზედ აქვთ სამუშაო საკაცობრიო ინტერესებისათვის პატრიოტიზმსაც და კოსმოპოლიტიზმსაც.

სწორე სასარგებლო გზაზედ მავალს კოსმოპოლიტზმს შეუძლიან და უნდა იჩინოს თავი მხოლოდ გაძლიერებულთა ერთა შვილებში, რაღაც ამ ერთა გარეთ არიან ერნი დაჩაგრულნი, დალუპულნი, უძლურნი, რომელნიც თუ ასრე დარჩებიან, აძლევენ ზარალს საკაცობრიო პროგრესს, და საჭიროა დაცემულნი ერნი შეთანასწორდენ დაწინაურებულ ერებთან. აქ კოსმოპოლიტთა ვალია გადუღნენ მჩაგრავთა ერთა, მათს უსამართლო ძალას. ამავე დროს ვალია მათთ მისცენ მხარი დაჩაგრულთა, დავრდომილთა, დაცემულთა

ერთა, დაიცვან ესენი, უსამართლობისაგან, ეცადონ შეათანასწორონ დაცემულნი გაძლიერებულებთან. აქ, გაძლიერებულს ერში პატრიოტობას,—თუ არ ადგია გარედამ უსამართლობა, —არა აქვს ალაგი, პატრიოტობა იქნება სავნებელი საკაცობრიო საქმისათვის. პატრიოტობას აქვს დიდი ალაგი დაჩაგრულს და დავრდომილს ერებში, რადგან ამ ერთა გარემოება თხოულობს საკაცობრიოსავე საქმისთვის მათს დახმარებას. აქ პატრიოტო უნდა იხმარონ ყოველი ღონე და სახსარი, რომ დაჩაგრული ერების ძალა, ღონე, შეძლება, ქონება ალარა ჰემარდებოდეს მხაგრავთა. უნდა იხმარებოდეს ყოველი ღონე ამ ჩაგრულთა ერთა წარსაპატებლად, დაწინაურებულთა ერთა მოსაწევად, მათთან შესათანასწორებლად. აქ კოსმოპოლიტნიცა და პატრიოტნიც ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს—მთელს კაცობრიობის ბედნიერებას, მით რომ სცდილობენ დაცემულთა დაჩაგრულთა ერთა აღდგენას, გაძლიერებულთა სწორე გზაზედ დაყენებას. რომ ალარა ვნებლენენ თავისასაცა და სხვათა წარმატებასაცა.

განა დღეს ამ მდგრადარებაში იქნებოდა მეცნიერება, კაცობრიობის კეთილ დღეობა, რომ, თუ თაობითვე არა, შემდეგ და შემდეგ მაინც შეეგნო კაცობრიობას ნამდვილი თავისი ინტერესები, სცდნოდა ფასი ეროვნებისა, თანასწორობისა, ერთობისა და ძმობისა? ჩვენ რასაკვირველია, განცვითებით ვუცქერით დღევანდელს ტეხნიკისა და მეცნიერების წარმატებას, მაგრამ, განა კაცი რომ ჩააფიქრდეს კაცთა გავლილს ცხოვრებას და იმ დაუსრულებელთა საუკუნეთა რაც კიცს უცხოვრია თითქმის იმავე ფიზიოლოგიურისა და გონებრივის ძალით, რაც დღესა აქვს, დიდი რამ არის ეს სწავლა და მეცნიერება? განა მეცნიერებამ ბევრი რამ იცის კაცის აგებულებისა, კაცის ბუნებისა, კაცის სიცოცხლისა, დღვერდელობისა, ჯანმრთელობისა? ტეხნიკა და მეცნიერება მიღის წინ და ამავე დროს კაცობრიობა წრიოკდება, იგვალება

ხდება დღე მოკლე, იჩაგრება თვით გონებითაც. დღევანდლა-
მდის არ იცის მცუნიერებამ არ უ ერთი სწერლების სათავე,
არც ერთი მცუნიერულად აწონელი წამალი. ესვევ ითქმის
სხვა მრავალს კაცობრიობის დღეგძელობისათვის საჭირო გა-
რემონტაზედ. ამასთან, თუ მასაც მოგიგონებთ, რომ მრავალს
აღმოფხვდის ის ცივრლიზაციაშიაც ვპოვებთ კვალს, რომელიც
გვიჩვენებს, რომ ძეგლი მცუნიერება არ ჩამოუვარდება ბევრში
დღევანდელს მცუნიერებას, მაშინ ვნახავთ, რომ გასაოცარი
დღევანდელი მცუნიერება-კი არ არის, გასაოცარი არის ისა,
რომ ამდენი აუარებელი საუკუნოების განმავლობაში მცუნი-
ერება ისევ ბავშურს მდგომარეობაშია, და მედიცინა, თუ
უკან არა, წინ არ წასული ამ ათასი წლების განმავლობაში.
შეადარეთ დაბადებაში მოსეს მოძღვრებანი წამლობასა და
ჰიგიენურს ღონის ძიებაზედ შესახებ გადამდებთა სნეულე-
ბათა დღევანდელთან, თუ იმათ არ მისცეთ უპირატესობა
წინაშე დღევანდელთა ღონეთა ამავე სნეულებათა მოსავლელად.
შეადარეთ ღიდებული სიფრთხილე მოსესი შესახებ სნეულ-
თა საკულაცია ხორცის ჭამისა დღევანდელი ლეშების
უშიშრად ჭამასთან. მარტო დღეს მიხვდნენ — გამოიკვლიონ
მიზეზი, რატომ ასრუ ძვირია ქლექი ებრაელებში და რად
არის ასრუ ხშირი ქრისტიანობაში, რომელსაც ამ საშინეულმა
სემბა ლამის არის მუსრი გაავლოს, — და მხოლოდ დღესა
ჰპოვებენ, რომ მიზეზი ამისი არის ერთის მხრივ სნეული
საქონლის ჭამა და მეორეს მხრივ კანონი მოსესი, რომელიც
უკრძალავს სნეული საჭონლის ჭამას, რომლიდამაც ედება
ხალხს ეს სნეულება.

მიზეზი ამ გვარად მცუნიერების უსუსურს მდგომარეო-
ბაში ყოფნისა, როგორც ზემოდაც ითქვა, არის გამოურკვე-
ვლობა, აუწონრობა ერებისაგან ერთმანეთისა და ამათი საკა-
ცობრიო ინტერესებისაც. გაძლიერდებოდა ერთი ერი, წავი-
დოდა წარმატებაში, შეადგენდა ძლიერს ხელოვნებას, მეც-

ნიერებას, ტეხნიკას. მის ნაცვლად, რომ აშეგბში დაეხელოვანებინა სხვებიც, ისა სცდილობდა მხოლოდ იმას, რომ ამითი სხვები დაეპურო, სხვები მოესპო. რომა მოსპო კართალენი უფრო მიტომ, რომ ჩვენოდენა რად იცით, ჩვენოდენობას — რათ სჩადიხართო.

ამ გვარად ვერ დამყარდა ძველად სწავლა, რომელსაც ჩვენ ვეძახით დღეს კოსმოპოლიტობას, რომ ამ სწავლით შემდგარიყო საკაცობრიო საერთო ინტერესების შემაერთებელი და წარმმატებელი გზა, დამყარებულიყო ერთა შორის ერთობა, გადაპირდნენ ერები ერთმანერთს, გაეძელნიერებას ნაო და გაეძლიერებინათ ერთმანერთს ერთმანერთი. რაკი ამ გვარი მტრობით და მესისხამიბით, იყვნენ ერნი ერთმანერთზედ აღჭურვილნი, ერთი რომ გაძლიერდებოდა, შეკვენიდა მწიგნობრობას. მეცნიერებას, ხელოვნებას, ტეხნიკას ამ დროს რომელიმე ველური, გაძლიერებული, დამშეულნი ერნი შეკკრავდნენ პირობას, მთადგებოდნენ ამ გაღვიძებულს ერს, და სპობდნენ მასაც და მასთან მისს ცივილიზაციას. შემდგომ ის, რაც მოსპობილს და აღმ. აფხვრილს ცივილიზაციას და კულტურას გაევლო, უნდა დაწყობილიყო სულ ახლადა სხვაგან, სხვა დედამიწის კუთხეზედ. ახლა აქ გაიდგამდა თუ არა პატარა ფესტს, წავიდოულა წარმატებაში, ადგებოდა ამასაც ის დღე, რაც წარსულს და მოსპობილს ცივილიზაციას.

რაც გარდახდა წარსულს ცივილიზაციას, ის დღე მთელის დღევანდელსაც, უკეთუ ერთი ერნი ძლიერ წინ წასულან თავისი სწავლით, განათლებით, მეცნიერებით, ტეხნიკით, ქონებით, და სხვანი ეყოლებათ დაჩაგრულნი, დაყენებულნი იმ გარემოებაში, რომ ვერ მიჰყვებიან ამათს კვალს, არ გახდებიან ამათი თანასწორნი, არ გავრცელდება ერთა შორის აზრი ერთობისა, ძმობისა, თანასწორობისა, არ ექნებათ თანაბარი ცოდნა, სწავლა, განათლება, ქონება.

ამ გვარი გარემოებიდამ ხსნა, როგორც ითქვა, შეუძლი-

ანთ მხოლოდ, აწინდელს, სიმართლის გზაზე დამდგართ კოსმოპოლიტობას და პატრიოტობას.

აქ უველა პატრიოტის კაცს ვალად ადევს უოველი. თავი-
სი ღონე და ძალა მოაქმაროს ამ საკაცობრიო სამსახურს:
მიჰედოს დაჩაგრულთა ხალხთა. პატრიოტთ ადევთ ვალად
სამსახური თავისი დაჩაგრული ხალხისა, კოსმოპოლიტთ დახ-
შარება ამ ხალხებისა, მისაწილიმად საერთო საკაცობრიო
ბელნიერებისა, პროგრესისა, წარსამატებლად სასარგებლო ეჭა-
დაუციისა. უველა კაცი, რომელიც მოარიდებს ამას თავს,
არის დამნაშავე, როგორც წინაშე თავისი ხალხისა, ეგრეთვე
მთელი კაცობრიობისა და მთელი მომავალისა.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ კაცობრიობა ვერ წავა წინ
სწორე ნაბიჯით და ვერ შესრულდება კოსმოპოლიტთა მა-
ღალი აზრები, თუ ზოგი ერნი დარჩებიან მჩაგვრელად, მფ-
ორენი ჩაგრულად; რომ ერთის გაძლიერებას და მეორის
დაცუმას მოსდევს მოუძლეულება ორივე მხარისა: მჩაგრავისიცა
და ჩაგრულისაცა. ვნახეთ, რომ სასარგებლო პატრიოტობა
საკაცობრიო და საერთო წარსამატებლად უნდა აღორ-
ძინოდეს დაჩაგრულს ერებში, რომ ამ დაჩაგრულთ ერთა
წასწიონ წინ და გაპხადონ თანასწორი დაწინაურებულთა
ერთა. ურომლისოდ არ შეიძლება კაცობრიობის ჯეროვნად
წინ წასვლა და ევოლუცია. ვნახეთ აგრეთვე, რომ სასარ-
გებლო საკაცობრიო წარსამატებისათვის კოსმოპოლიტი უნდა
აღორძინდნენ და დამკვიდრდნენ დაწინაურებულს და გაძლი-
ერებულს ერებში, რომ აქ იმოქმედონ დაჩაგრულთა ხალხთა
სასარგებლოდ, შელიაგმინ მძლავრი ხალხებისაგან უძლრთა
ხალხთა ჩაგვრა, თუ არა კაცობრიობის წარსამატება და ევო-
ლუცია არ იქნება ჯეროვანი, სრული, მჩაგრავთაც და და-
ჩაგრულთაც თანასწორ აძლევს ვნებას საბოლოვოთ. ვნახეთ,
რომ თუ ერმა არ დაიცვა თვისი ბუნებრივი განსაკუთრებითი
თვისებანი, იმას მოელის საშინელი ბოლო. ახლა გადა-
ვყვლოთ თვალი, გაკვრით მაინცა, უმთავრესთ სახსართა,

რომელთაც დღევანდელს დღეს უნდა მიშმაროონ უძლურთა ერთა და მასთა პატრიოტთა, რომ დროზედ ეხწივნენ იმ მდგომარეობას, რომ გახდნენ თანაბარნი დაწინაურებულთა ერთა და იმაზედ უკან ჩამორჩინით არ მოისპნენ ქვეყნის პირიდამ, ჩამორც მოსპობილან მრავალნი ერნი, რომელთაც თავის დროზედ და ჯეროვანად არ უგდიათ თავის წარმატებისათვის ყური.

ვველაზედ უწინარეს უნდა დაიხსომოს ყოველმა ერმა და მისთა გულის შემატევართა, რომ, თუ არ დაიცვა ჯერ თავისი საკუთარი საეროვნო ინტერესები, ეროვნული განსაკუთრებითი თვისებანი და დაადგა იმ შემცდარს გზას, რომელსაც ჰქადაგებენ გზა-აქცეულნი კოსმოპოლიტნი, ეგიქნება თავისი ხელით თავის დაკვლა.

„რაც უნდა დიდებული გონივრული იყვეს კაცობრიობის გაერთება, საერთო ფედერაცია,— ამბობს ფრიდრიხ ლისტი, — უგუნურება იქნებოდა იმ ერისა, რომელიც ამის ლოდინში, რომ ესენი ამას ბოლოს დიდს მოგებას მისცემენ, დაიწყებს ეხლავე თავისის საქმეებისა ისრე წარმართვას, როგორც შემცეროდა ეს მაშინ, როდესაც ეს დიდებულნი საქმენი შესრულდებოდნენ“.

იგივე დიდად შესანიშნავი მოაზრე, ლისტი, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება აქამდის თითქმის სრულიად არ იცნობს და რომლისაც გაცნობა დიდათ საჭიროა ჩვენგვარი ხალხისათვის — ამბობს:

„ისტორია გვასწავლის, რა რიგათ ილუპებოდნენ და ბოლო ეღდებოდათ იმ ერთა, რომელიც მრავალი ხნის განმავლობაში არ იცავდნენ თავისის კულტურის ინტერესებს და ძლიერებას“.

ეს ცხადია, ჩვენმა მკითხველმა ისრე არ უნდა გაიგონოს, რომ ერთ უნდა ორივე ხელით ეჭიდებოდეს ყოველს მას, რაც ისტორიულად ამას გასჯდომია ძვალსა და ჩბილში, რასაც შესჩვევია და არაფერი კეთილი საბოლოვო-კი არ-

მოსდევს, რასაც, სამწუხაროდ, გხედავთ ჩვენ თითქმის ყველა დასიგრულს ერებში. სახელოვანი მოაზრე ურანციელთა, მონტენეკიო ამბობს ამაზედ:

„ნაცია ჩავარდნილი მონებაში, უფრო იმასა სცდილობს, დაიცვას ის, რაც შეუძენია, ვიდრე შეიძინოს ახალი. თავისუფალი ერთ-კი უფრო იმასა სცდილობს, შეიძინოს ახალი, ვიდრე დაიცვას ძევლი“.

ამას ისიც უნდა დაემატოსო, ამბობს ლისტი, რომ „რა-კი ის (დამონავებული ერი) სცდილობს მარტო ძველის დაცვას და არა ახლის შეძენას, ამ გვარი ერი მიღის დაცუ-მისა და გაღატაკების გზაზედ. ერი, რომელიც არ მიღის წინ, უნდა წავიდეს უკან და ბოლოს კიდევ უნდა დაემხოს.“

მაშასადამე, ცხადია, რომ თავისი ინტერესების დაცვა მარტო იმას არ ჰნიშნავს, რომ წაეჭიდოს ყველა, თუმცა დამკვიდრებულს, მაგრამ წამხდარს, ანუ უსარგებლო ნიჭს, გარემოებას, წყობილებას, ზნეს. ინტერესების დაცვა უნდა ღსახებოდეს იმაში, რომ ასწონოს ერმა, რაც შეუძენია და რაც შეადგენს შის წარმატების სახსარს და ის დაიცავს, რაც არის სავნო და უვარებისი, ის მოჰკვეთოს და აღმოფხვრის. ამასთან უნდა ყოველის ღონით სცდილობდეს იმ სალ-სართა შეძენას, რომლითაც სხვა ხალხი მიღიან წინ და თვითონაც ცდილობდეს ახალთა სალსართა მოპოვებას, ახა-ლის გზის გაკვლევას თავისს წარსამატებლად, თავისი ევო-ლიუციისათვის. ყველა ამაეპისთვის უმთავრესი ადგილი უჭირავთ შემდეგთა სალსართა,

ერთი უმთავრესი ადგილი იმ საქმეში უჭირავს საერთო-ნო ენას. ენამ უნდა გადასკეს ერს და შესძინოს ყოველი-ვე ნაყოფი გონებისა, ენამ უნდა გამოჰსახოს გონების ძალა, გონების აზროვნება, გონების ნაწარმოები, ბუნების ძალა, ნაყოფი, მოვლენანი და სხვა ათასი ამგვარი, ურომლისოთაც კაცს კაცური ცხოვრება არ შეუძლიან. რომ შესაძლებელი-როგორ კაცობრიობამ გაიღვიძოს ერთს მშვენიერს დილას და

დაიწყოს ლაპარაკი ერთს იმისთანა ენაზედ, რომელაც თავისი სისრულით და გონების ნაყოფით, ნაწარმოებით, ყველა ენებზედ მაღლა სდგას, — ეს იქნებოდა შთელის კაცობრიობი. საც და ცალკე ერებისაც დიდი ბედნიერება. მაგრამ, რადგან ეს ყოვლად შეუძლებელია, ამის გამო საჭიროა, რომელსაც თავისი რაოდენობა შესწევს, ეცადოს მისცეს თავისს ენას წარმატება, შეიმუშაოს, გაამდილროს და მისცეს ამ ენაზედ მოუბარს ხალხს ყოველივე გონების ნაყოფი და საზრდო, რაც ან თვითონ ამ ერს ან სხვა ერთა და უკეთესთა მეცნიერთა და სწავლულთა შეუძენიათ. თუ ხალხი მეტად მცირებონ, რომ მოკლე ხანში შეიძლებოდეს მისგან შეთვისება უცხო ენისა, სადაც ჰქოვებენ ჩხა ლიტერატურის და გონების მასაზრდოვებელს მასალას, ძნელია ამ ხალხებისაგან თავისი ენისა სხვა ენებზე გადაცვლა, რადგან ეს მოკლე ხანში შეუძლებელია, უნდა ასობით წლებმა განვლონ, რომ შეითვისონ უცხო ენა და დაივიწყონ თავისი. და თუ რომელმამე ამგვარმა ერმა განიზრახა ესა, იმის ელის საშინელობოლო. დიახაცა და ჰქვიანმა მოსაზრებ თ. გიორგი მუხრანსკიმ სწორეთ ეს გარემოება გაუშვა მხედველობიდამ თავის წიგნში: „О существе нац. инд. и общ образоват. знако-вении крупн. народ. единицъ.“ იმისი უმთავრესი შეცდო-მილება ამ წიგნში იყო ის, რომ ვერ ასწონა, როგორ მალე შეიძლებოდა ენის დაკარგვა თუნდა იმგვარი ხალხისა, რომ-ლისაც რაოდენობა გადაეჭარბება მილიონს. როგორც რენანი, რომელსაც ალაგ ალაგ ეს მოაზრე დიდი ლოღოკით და მა-ლალი კაცო-მოყვარული აზრით არღვევს სხვა კითხვებში, — ესეც აღიარებს, რომ საერთო საკაცობრიო ენა შეუძლებე-ლიათ, და ამავე დროს კი, რენანივით, ესეც აღიარებს, რომ ყველა ენები უნდა მოისპენენ, გარდა სამი-ოთხი უძლიერესთა ხალხების ენებისა, რომელთან დანაშთენი ენები უნდა შეე-რონენ. დანაშთენი ხალხს ენების დაცვას თხოულობს მხოლოდ დროებით. ამ ენებზედ სწავლებას თხოულობს

მხოლოდ იმდენად, რაოდენათაც საჭირო არის მომზადება მოსწავლეთა შდიდარის ანუ ძლიერი ხალხების ენების მისაღებათ. ეს იყო დიდი და უმთავრესი შეცდომა მაღლად გონება გახსნილი ხსენებული წიგნის ავტორისა. იმ მრავალი ხნის განვალობაში, როდესაც რომელიმე ერთ სცდილობს სხვის ენის შეთვისებას და თავისი ენის დავიწყებას, ის რჩება გონების უსაზრდოვოდ. იმ ხანში, როდესაც ესა სცდილობს, თავისი ენის დავიწყებას, მისი მეზობელი ერები ანუ ის ერი, რომლისაც ენის შეთვისებას ესა სცდილობს, ბედაური ცხენის სისწრაფით მიღის წინ გონების წარმატებაში, მათი გონება, ვარჯიშის გამო, ფიზიკურათაც მიღის სისრულეში. ამ წარმატების გამო ეს ერები ერევიან და სძლევენ მრავალს გონების ნაწარმოებს, ითვისებენ იმათ და ამითი თვითონ კიდევ უფრო ძლიერდებან და ჰბადებენ ახალ-ახალს ნაყოფს. აქ რომ ასეთი, თითქმის გეომეტრიული პროგრესით წინ მიღიან ერნი გონებით, იქ, ხადაც ერნი გადასდგომიან თავის ენას და მხოლოდ სხვისაში ეძებენ საშეცლს, რჩებიან. უკან. რჩებიან უკან რაკი მათკ საკუთარს ენებზედ, რომელნიც მით ესმით და რომლითაც უნდა შეითვისონ ყოველი გონების ნაყოფი, არ შეუძლიანთ ავარჯიშონ თავისი გონება იმ მრავალი ხნის განმავლობაში, მიხამ შესძლებულ ენის გადაგვარებას. რაოდენათაც ეს ერნი რჩებიან გონებით უკან, იმდენათ სხვები, თავის საკუთარს ენაზედ თავის გონების მოვარჯიშენი, მიღიან წინ. ამ ხანში ისრეთი მანძილი იქმება ერთისა და მეორეს გონებათა შორის, ეს გვიერთი ისე წინ მიღის, და მეორე უკანა რჩება, რომ აქ, თუნდა კიდეც რომ შეითვისოს სხვა ენა დავარდნილმა. ერმა, ეს ენის შეთვისება ვეღარას უშველის, იქნება ამაო. დაწინაურებულს ერს დიდი ვარჯიშის გამო ექნება გონება ისე განვითარებული ფიზიოლოგიურათ და ფსიხოლოგიურათ და გონების საზრდო იმდენა შექენილი, რომ დავარდნილმა ერმა, რომელსაც ეს გონების ვარჯიში ამ ხნის განმავლობაში საკმაო არა ჰქონე, თუ

მოინდომა შეთანასწორება დაწინაურებულთა ერთა, გაიჭი-
ლიტება იმ გონების ნაყოფის ტვირთს ქვეშ, რომელიც და-
წინაურებულს ერს შეუძენია და რომლისაც ტვირთება მათს
განვითარებულს ფიჩიოლოგიურათ და ფსიხოლოგიურათ
გონებას შეუძლიან, რომლის მაგალითს გვიჩვენებენ ჩვენ
მრავალნი ანტრიპოლოგნი (პნახე ჩემი სტატია „ჩვენი
კუუის ძალა“ „მნათობში“ 1872 წ.) და თუ არ მოინდომებს
ეს ერი ამ ტვირთის კისრებას, მაშინ იმას გამოსჭიულებავს
თავისი უმეტესობა, უშვერება, გახდება ლუქმა იმ ერთა, რო-
მელიც მაღლა იდგებიან ამათზე გონებით, ცოდნით, მეც-
ნიერებით, ქონებით. ამის გამო, ვალია ყველა იმ ერთა,
მათთა პატრიოტთა, იქონიონ საკუთარი საჭირო ლიტერა-
ტურა, სასწავლებლები, დაიკვან თავისი ენა, გაიმდიდრონ
ეს ენა ნაყოფიერი სწავლით, საჭირო სასარგებლო ცოდ-
ნით.

ამის გარდა ენის დაცვა მიზ უფრო საჭიროა კიდევ,
რომ ენის ცკლის ბევრი კიდევ სხვა ხიფაჲი და ცუდი ბოლო
მოსდევს. ვთქვაო, რომელსამე ერს დღეს მეტობელი ან
შპრინგებელი ერთი რომელიმე ერი ჰყავს, რომლის ენის შე-
თვისებას სცდილობდეს ესა. სწავლობს, ითვისებს ამ ენას,
ივიწყებს თავისას. შეიცვალა ვარემოება, ეს სხვა ენას წამ-
ტოტინჯებელი ერი ჩავარდა ახლა სხვა ძლიერი ერის გავლე-
ნის ქვეშ, წინანდელი ერი დაჭმორდა, მასთან კავშირი შეუ-
ძლებელი გახდა. მაშინ რა უნდა ჰქნას ამ სხვის ენის შემა-
ყურალმა ერთა? ის დრო და ის ძალა, რომელიც მოახმარა
და შეალია სხვის ენის შესწავლას, დაიკარგა, ჩაიარა ამაოდ.
ახლა უნდა შეუდგეს სხვა ენის შეთვისებას. ვარემოებამ აქაც
უმტყუნა. ჩაიარა აქ მოხმარებულმა დრომა და ცდამაც ამა-
ოდ და სხვა. ამ ხანში სხვანი მიღიან წინ, და ხალხი რომე-
ლიც ელის სხვის ენით გაბედნიერებას, თავისის დავიწყებას
და სხვის ენის შეთვისებას, რჩება უკან, ენითაცა და გონე-
ბითაც ხდებიან საპყარნი; რაკი ამ ხნის განმავლობაში სახა-

ლომ გონების სალაროს არა ემატება-რა, და პირიქით ჰკარ-
გავს მასაც, რაც წინათ შეუძენია.

შეიძლება გუიპასუხონ, რომ არც სხვაგანა სწავლობს
მთელი ხალხი თანაბრათ, აქაც მხოლოდ მკირენი იღებენ
მაღალს ანუ ზომიერს სწავლას, დანაშენები უმეტესობა რჩება
შორს მაღალს ან ზომიერს საჭირო სწავლა განათლებაზედაო.
მაშასადამე, სივრცე საკუთარი ენისა მომეტებულს ნაწილს
ჩალენისა არასა ჰშველისო. როგორც დაცემულნი ერნი,
ესიც უშვერებაში რჩებიან. მაშასადამე, ეს ვრცელი ენის
პატრონნი ვერ წავლენ წინ იმ ერებზედ, რომელნიც იგიშ-
ყებენ თავისის და ითვისებენ სხვისასათ. იქაც და აქაც მხო-
ლოდ რჩეულნი მიღიან წინ, დანარჩენნი რჩებიან თანასწორს
უშვერებაშიო. ამიტომ ტყუილი შიშია, რომ ერთმა ერმა
მეორეს ძალიან გაასწროს წინ, რომ ერთისაგან მეორეს მო-
წევნა აღარ შეიძლებოდესო.

ერთის შეხედვით ეს პასუხი თითქო საბუთიანია. მაგრამ,
თუ ლრმად ჩავაკვირდით და ავწონეთ ის მხარეები, რომელ-
ნიც მოსდევენ ლრმად დაუფიქრებლობას და საჭმის დაუკვირ-
ვებლობას, ვნახავთ, რომ ეს პასუხი არის თავიდამ ბოლომ-
დის შემცდარი.

ერთი, რომელსაც აქვს საკუთარი ვრცელი და მდიდარი
ლიტერატურა, სწავლობს საკუთარს ენაზედ, აქვს ამ ენაზედ
სამსჯავრო საქმეების წარმოება,—ყველას ესმის ენა თავისთა
დაწინაურებულთა პირთა. ის, რაც არ უსწავლია სკოლაში,
რაც ვერ შეუგნია წიგნებით, ისმენს სიტყვიერად, თუ ყვე-
ლაფერს არა, ნაწილს მაინცა იმ ცოდნათაგან, რაც შეუძე-
ნიათ დაწინაურებულთა პირთა სასწავლებლებიდამ, წიგნები-
დამ. აქ მცოდნე პირთა ენა ესმის ყველას. ეს მცოდნე პირნი
ხდებიან წყაროთ პირათ სწავლისა და გონების ნაყოფის გა-
ვრცელებისა. ესენი, თუ სულ არა, ბევრში შაინც უწევენ
შკოლისა და წიგნების მაგიერობას ხალხს. ამ გვარათ, თუ
სანატორელი ნაბიჯით არა, რაოდენათმე შაინც მიღის წინ

ხალხის გონებითი განვითარება. ამასთანავე, ამ გვარი ხალხი ისწავლის თუ არა წიგნს, მზათა აქვს მდიდარი ლიტერატურა, მწიგნობრობა, იძენს აქედამ ცოდნას, იხსნის გონებას. მაგრამ უმთავრესად ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ დღეს ყველა ერი, რომელსაც განათლებისა მცირეც არის რამ მოსცებია, შესდგომა ცხარეთ გაჭხადოს ყველა ამ ერის შემადგენელი წევრი მწიგნობრად, მცოდნეთ. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულის შტატებში სანთლით მოსახებნი გახდა უწიგნო კაცი. სხვა განათლებულნი ერნიც ცდილობენ, არ ჩამიტენ ამაში ამ დაწინაურებულთა ერთა. მაშასადამე, ერნი, რომელზიც ეკუთვნიან განათლებულთა და ენა—ლიტერატურა ვრცელთა, ყველა თავისი შემადგერნელი ნაწილით, თუ თანაბრად არა, წავლენ წინ ერთმანერთის მცირე რამ გარჩევით. ამას დაქმარება სისხლის შერევაც გონების განვითარება და სისრულე, რომელიც ხდება ინტელიგენციაში, გადადის სისხლის შერევით, რაგორ სამკვიდრო ნიჭი, მდაბიო ხალხშიაც. მაგრამ ერი, რომელიც ცდილობს სხვის ენის შეძენას, შეთვისებას და არ მისდევს თავისის ენის გამდიდრებას, მოყლებულია ყკელა ამ გარემოებას. ჯერ ერთი იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ ერთ და გაზრდილან უცხო ენაზედ, არა აქვს ცოდნა თავისის ხალხის ენისა, რის გამოც ხალხს ამათი და ამათ თავისის ხალხისა არა მყურებათურა. ცხადია ესენი პირად, სიტყვიერად ვერაფერს ცოდნას ვერ შეიტანენ. ხალხში, მაშასადამე ამ მხრივ ეს ხალხი მოკლებულია ამითი მაინც არის თავისს გონებითს განვითარებას. მეორეც ესა, რაკიამ ნასწავლ პირთ არ იყიან სამშობლო ენა, ვერც შეჰქმნიან ამ ენაზედ ლიტერატურას, მწიგნობრობას. ამის გამო, თუნდა კიდეც ისწავლოს მდაბიო ხალხში წიგნი თავისი ენისა, არ ექმნება ლიტერატურა და მწიგნობრობა ისრეთი, რომ ამ ერმა იქიდამ მაინც შეივსოს თავისი გონებისა და ცოდნის ნაკლი. ამასთან, რაკი არ მციან ენა თავისი ხალხისა, ვერც მოხდება ამათსა და მდაბიო.

ხალხში დაახლოვება, დათვისტომება, სისხლის შერევა, რომ ამითი გავრცელდეს ხალხში გონების განვითარება სამკვიდრო ნიჭად შეძენილი. თუ ყველა ამას ესეც დაუმატეთ, რომ ამ გვარს ხალხს არ ესმის თავისს ენაზედ სამსჯავროებში მსჯელობა, ლაპარაკი მმართველთა, მცოდნეთა, ცხადად დავინახავთ, რაოდენს გარემოებას არის მოკლებული ესა, რომ მიჰყვეს დაწინაურებულთა ერთა მდაბიო ხალხს. მაშასადამე, ცხადია, ამ ვვარნი ერნი უნდა ჩამორჩნენ გონებით იმ ერთა, რომელნიც თავისს საკუთარს ენაზედ სწავლობენ, თავისს ენას ავითარებენ. ამ ჩამორჩნას რაც მოსდევს, ის ჩვენ ვუჩვენეთ ზემოთ. (პნახე ეპრეოვე ჩემი სტატია ენების მნიშვნელობაზედ, სათაურით „ჩვენს ლიტერატურაზედ“ „ცისკარი“ 1867 წ.)

ჭრილი მოღრე

კაცობრიობა და ხალხოსნობა.

I

დიდი ადგილი უქირავს ერს განვითარებასა და წარმატებაში ერისაგან თავის მოვლა-პატრონობას, მისს საზოგადოებრივს მდგომარეობას. ყველა ის ერნი, რომელთაც შეუთვისებიათ თავისით თავისი მოვლა-პატრონობა, თვითმართველობა, მართველობის გამდაბიოება ანუ მართველობისა ერთან მოკლე დაკავშირება, ერისაგან მმართველობის ამორჩვით დაწესება და მისი კონტროლი, ერის შემადგენლობა ურთი-ერთთა პატივი.—ამგვარი ერნი ყოველთვის ყოველგან დაწინაურებულან კაცობრიობაში. ერნი, რომელნიც მართე-

მლობისაგან შორს გამდგარან, სამართველო საქმეში თვითონ არა რეულან, ყოველი თვისი საქმენი მმართველთა და გამგებელთა ხელში ჩაუგდიათ, ამგვარი ერის ბოლო არა ყოფილა ცეთილი და მანობიდამ თავი ვერ დაუხწევიათ. უკეთუ რომელიმე ერი ჩავარდნილა სხვათა ხელში, უნდა ეს ერი ცალილობურ ყველა ის უფლებანი, რომელიც აქვს მბრძანებელს ერსა, შეიძინოს, რასაკვირველია, თუ ის უფლებანი გადემატებიან უფლებათა, რომელნიც ამათ აქვთ მინიჭებული. იქ, სადაც მბრძანებელს ერს აქვს წარმომადგენელობითი მმართველობა, უნდა ეს სხვების ხელთმყოფი ერი ეცადოს ეს უფლება თითონაც შეიძინოს. სადაც არის ბრუნოკრატიული სახელმწიფო წყობილება, იქ უნდა ეცადოს მმართველთა და მოხელეთა შორის იყოლიოს თავისი წარმომადგენელნი ბლომათ, რა-კი მხოლოდ ამათით ხდება შესაძლებელი დაცვას თავისი ინტერესები, თავისი ეროვნობა. ამსათან უნდა ყოველი ღონით ხელს უმართავდეს იმ წალისა და აზრსა მბრძანებელს ერში, რომელიც თხოულობს ბიუროკრატიული წეს-წყობილების შეცვლას. საეროვნო ინტერესების დაცვა იქ უფრო იდვილია, სადაც მბრძანებელს ერს აქვს წარმომადგენელთა მმართველობა. თუ ამასთან მბრძანებელი ერი დაწინაურებულიც არის ცოდნით, გონიბით, კაცობრიული შეხედულობით, ფილოსოფიით, აწონვილი საქმის ცოდნით, — იქ დაპყრობილი ერი პპოებენ მრავლობით თავის მომხრეებს თვით ამ მბრძანებელს ერშივე, და ამითი უფრო უაღვილებათ შეთანასწორება დამპყრობელს ერებთან. ამის მაგალითს გვიჩვენებს დღეს პომრულის საქმე ინგლისში. ამ საქმის მომხრენი ინგლისში ნაკლებნი არ არიან ირლანდიისაგან. თუ აქამდის მიახწია დაპყრობილმა ერმა, იმას შეუძლიან თავის დამპყრობელ ერთან თანაბრაათ წარმართვა თავის საქმეთა, წასვლა სწორე გზაზედ, მხარ-და-მხარ მიყოლა დაწინაურებულთა ერთა.

II

საეროვნო თავის დაცვაში უჭირავს დიდი აღგილი ექო-
ნომიურს ძალას. ვისაც უნდა მიპყვეს დაწინაურებულთა-
ერთა მხარ-და-მხარ, ის უთუოდ ამ ხალხების თანასწორი
უნდა იყოს ეკონომიურათ. სწავლაც, ეროვნების დაცვაც,
პოლიტიკური ძლიერებაც, თავისუფლებაც კაცს უნდა უფრო
ეკონომიური კეთილდღეობისათვის. ამავე დროს ყველა მათი
გაძლიერება, რაც ახლა დავასახელეთ, არის დამოკიდებული-
ერის ეკონომიურს მდგომარეობაზედ.

დავანებოთ თავი, ბოლოს რა გზაზედ დაადგება ეკო-
ნომიური ძლიერება, ეკონომიური მასალის მოპოვება. ჩეენ-
უნდა მხოლოდ მოკლეთაც არის ვუჩვენოთ, რაშია დღევან-
დელი ეკონომიური ძალა, რომ ამას მოჰკიდოს ხალხმა ხე-
ლი, რომ არ გამოიჰყოლიტოს იმ შეუწყალებელს ეკონ-
ომიურს ბრძოლაში, რომელიც ასრე გაცხარებული და გამწვა-
ვებულია ერთა შორის.

საფუძველი ეკონომიური ძლიერებისა, როგორც დიდი
ხანია ღოქტორმა კენემ და მისთა მიმდევართა ფიზიკრატთა-
აგვისნეს, არის მიწათა მოწალმართობა, ანუ როგორც ეხლა-
ვებასით მეურნეობა. ამაზედ ეჭვიც არ არის. მაგრამ დღევან-
დელს წესებში ხალხის უმთავრეს ძლიერებას, როგორც მა-
შინაც უბასუხეს კენეს და ფიზიკრატთა, სოფლის მო-
წალმართობა არ შეაღებს. უმთავრესი ძლიერება დღევან-
დელთა ერთა არის ვაჭრობა, მრეწველობა, მექარენოვა. ამ
ბოლოსა და ბოლოს ხომ ცხადი საბუთებით ამტკიცებენ,
რომ მარტო მეურნეობაზედ, მიწათა მოწალმართობაზედ და-
დგომა ჰლუპავს ხალხს, თუ ხელიდამ გაუშვეს ვაჭრობა,
მრეწველობა, მექარენობათ. ამ საჭირო მკვდევართ სტატი-
კური ციფრებით დაგვიმტკიცეს, რომ, საღაც მრეწველობა,
მექარენობა, ვაჭრობა გაძლიერებულია, იქ სასოფლო მო-

წალმართობაც უფრო მაღლა სდგას, ვიდრე იქ, სადაც ხალხი ან მარტო მეურნეობას მისდევს, ან მეურნეობას უფრო მისდევს, ვიდრე სავაჭრო სამრეწველო საქმესა. მაგრამ იქაც, სადაც ქარხნებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მოწყვალებით მეურნეობა ისრე მაღლაა ასული, იქაც-კი ქარხანა და ვაჭრობა-მრეწველობა უზომოვ მეტს მოგებას აძლევს ხალხს, ვიდრე მეურნეობა. აი დიდათ საყურადღებო სტატისტიკური ციფრები ამისი ინგლისში, სადაც ერთიც და მეორეც უმაღლეს წერტილამდე არიან ასულნი, ვიდრე სხვაგან სადმე. ინგლისთა მყცნიერი მაკენი აი რა ციფრებს გვიჩვენებს ამისას. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ბოლოს ჯამის ციფირთა, რადგან მთელი ცნონებისა და ციფირების მოყვანა შორს წიგვიყვანდა.

ზემოთ მოყვანილი ციფირებიდამა სჩანსო, ამბობს მაკენი, „რომ ინგლისის მიწათა სამოქმედო თავნი (კაპიტალი) შეადგენს $3,311,000,000$. ამ თავნს მოაქვს წელიწადში შემოსავალი $538,000,000$, რომელიც შეადგენს 16% -მდის. საქარხნო, სავაჭრო-სამრეწველო თავნი ანუ კაპიტალი შეადგენს სულ 218 მილიონს, იძლევა შემოსავალს $259,500$, ესე იგი იძლევა 120% “.

„ამას ისიც უნდა დაემატოსო, ამბობს ლისტი, რომელსაც ეს ცნობები მოჰყავს თავის წიგნში, რომ ეს საქარხნო-სამრეწველო კაპიტალი 218 მილი. ყოველ წლიური მოგებით, რომელსაც შეადგენს $259,500,000$, არის უმთავრესი მიზეზი, რომ ეს უმაგალითო მიწათ-სამოქმედო კაპიტალი $3,311$ მილიარდი, 539 მილ. ყოველწლიური შემოსავლათ შესდგა დღეს ინგლისშით“.

„ამ საქარხნო მრეწველობაშ და ვაჭრობაშ ამრავლა ერთი ორათ, ერთი-სამათ ხალხი ინგლისში, მისცა დიდძალი ღონე და შემწეობა გაევრცელებინა ინგლისს თავისს ქვეყნის გარედ თავისი ვაჭრობა, შეეძინა მრავალი კოლონიები, ასარგებლა ამ კოლონიებით, შესძინა უმაგალითო სავაჭრო ფლო.“

ტი. უმატა ამავე პროპორციით საზრდოსა და ხამეულობის (ცეკვე) მოთხოვნილებას, წაახალისა მიწათ-მომქმედი თავისს საქმესა და ხელობაზედ; ასწია მათის ქონებისა და მიწის ნაყოფიერების ფასს, უმატა მიწის რენტას, მაშასადამე ასწია მიწის ფასიც. მოსპეთ ეს 218 მილლ. და ოქვეპნა პნახავთ, რომ გაპერება არამც თუ $259\frac{1}{2}$, მილლ. ამისი მოგება, და გაპერება მეტი წილი 3.311 მილლ. მიწათ-სამოქმედო თავნისა ანუ კაპიტალისა, და მასთან 539 მილლ. მისი მოგებისაცა... ჭავასი მიწისა დაეცემა. ერთი-ათად, ერთი-ოცად ეხლანდელზედ.

„აქედამ გამოდის ისა, რომ თავნი რომელსაც მიწათ-მოწალმართო ერი მოახმარებს საქარხნო და საფაქტო სამრეწველო საქმეს ერთი-ათად პჲატებს ფასსა, ნაყოფიერებას და მოგებას მიწასა... ამის დასამტკიცებელს ციფრებს პნახავთ მრავალგანა“.

ამ მოყვანილი ცნობებისა და მოსაზრებიდამ ცხადათ სჩანს, რა ძალაც უჭირავს მექარხნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას, და რა უძლურიც არის მარტო მიწათა-მოწალმართობა. ტხალია, ასრეც უნდა იყვეს. თუ მიწის მუშაკს მიწაზედ დამყარებულს მოღვაწეს იქვე არა აქვს ქარხანა, არა ჰყავს იქვე მუშტარი, ვაჭარი, უნდა თავისი მიწისა და შრომის ნაყოფი ჰგზავნოს უცხო ქვეყნებში, სადაც ამათი ხამეულის შესამუშავებელი მოწყობილება აქვთ. რავღენიც უფრო შორს არიან ეს ქვეყნები, იმდენი უფრო იაფათ უნდა მისცეს ეს თავისი შრომა და მიწის მოსავალი; რაც უფრო დიდი გზებია, იმდენი კიდევ უფრო ნაკლებათ უნდა მისცენ. ამასთან ის მოგება, რაც უნდა დარჩენოდა შინაურს ვაჭარს, შინ რომ ხამეულის შესამუშავებელი ქარხნები და სხვა მოწყობილებანი ყოფალიყვნენ,—რჩება უცხო ქვეყნებს ვაჭარს და გააქვს თავის ქვეყანაში, თავისი ქვეყნის გასაძლიერებლათ. ეს ზარალი ხამეულის გატანაზედ უცხო ქვეყნებში. მეორე ზარალი მოსდევს ახლა შემუშავებული ხამეულის შემოტა-

ნაზედ უცხო ქვეყნებიდამ. რაც უფრო შორს არის, იმდენა
უფრო მეტს ფასს იდებენ საქონელს; რაც უფრო ცუდი
გზებია, იმდენი უფრო უმატებენ ფასს, რაც უფრო მეტს
ხანს უნდებიან ვაჭარნი გზას, იმდენი უფრო მეტს იღებენ
მოცდენის ფასს. აქაც კიდევ მოგება ამ გადმოტანისა ანუ.
ხარჯის ფასი გადის უცხო ქვეყანაში. ცხადია ამ გვარს გა-
რემოვებაში ის მიწათა მოწალმართე ხალხი, რომელიც მარტო
ამ საქმეზედ არის დამყარებული, ვერ გაუწევს შეღლს იმ
მიწათა მოწალმართე ხალხთ, სადაც გავრცელებულია მე-
ქარხნობა, ვაჭრობა-მრეწველობა, რადგან იმათ მუშარი-
კარწინვე ჰყავთ და ზარალი, რასაც იქ გადატან-გადაოტა-
ნაში ხამეულის პატრონები ჰხედამენ, აქ რჩებათ მოგებათ
ხამეულის პატრონებს. რაკი ეს ასრეა, რაკი ხამეულის მოყ-
ვანა, შემუშავება ხელს არ აძლევს, ის ქვიყნები, სადაც
მარტო ეს საქმე სწარმოებს, მამულების შემოსავალი არ
აძლევს იმოდენა მოგებას, რომ ეს ამ საქმეზედ წაახალისოს,
რადგან მოგება ხარჯათ არა ჰლირს. ამის გამო არცა ჰხმა-
რობენ ლონებს, არ იძენენ საჭირო სწავლას, რომ ასწიონ
მიწის შემოსავალს, მამულების გაუმჯობესობას. მაგრამ
ესეც კიდევ ცოტაა. ვისაც შესწავლია აგრონომია, ყველამ
იცის, რომ თუ მიწის გულიდამ ამოგაქვს მის ნაყოფი და ამ
ნაყოფს უკანვე არ უბრუნებ, მიწა ღატაკდება, მწირდება,
მქისდება, ხდება უნაყოფო. ის ქვეყანა, რომელიც მარტო
ხამეულის შემუშავებას ადგია, ჰგავნის თავის მიწის ნაყოფს
უცხო ქვეყნებში,— ის ველარ დაუბრუნებს მიწას მისგან.
ამოწოვნილს ძალას, მის ნაწილებს. მაშინ მიწა, რავდენიც
უფრო მეტს იხმარება, იმდენი უფრო გაღარიბდება, გამჩატ-
დება, ხდება უნაყოფო. ამგვარ გზაზედ დამდგარს ქვექანას.
მოელის ის, რაც დაემართათ. ძველათ მრავალთა ქვეყანათა,
სადაც მიწის ნაყოფით ჰსარგესლობდნენ და მისგან იმოღე-
ბულს ნაწილებს აღარ უბრუნებდნენ. უკან: ამგვარს ქვეყნებში

მიწა ხდება უნაყოფო, ხალხი ან ისპობა, ან გარბის თავისზე ქვეყნიდამ, ეძებს სხვა ქვეყნებში ნუგეშს.

დიდათ საყურადღებო ცნობები აქვთ მოყვანილი მოულერს, გილდებრანდს, ლისტს და სხვათა იმ ხალხების გონებრივება, პოლიტიკურსა და ზნეობრივს მდგომარეობაზედ, რომელნიც მისდევენ მარტო მ.წათ-მოწალმართობას; რომელნიც მისდევენ ამასაცა და მექარხნობასა, და მრეწველობა, ვაჭრობასაც. მე აქ მოვიყვან ლისტის წერილებიდამ აღგილებს, რადგან იმას სხვებზედ უფრო ვრცლათა აქვს ეს გამორკვეული და უფრო დაწვრილებითა ლაპარაკობს.

„იმ გვარს სახელმწიფოში, სადაც მარტო მიწათა-მოწალმართობას მისდევენ, იქა უფლობს თვით მნებელობა; მონება, უშვერება, ცრუ-მორწმუნება, კულტურის ნაკლებულება, უგზობა, სიღატაკე, პოლიტიკური უძლიურება... ისა პსარგებლობს მხოლოდ მცირე ნაწილით იმ ბუნებრივია ძალისა და სიმღიდრისა, რომელიც არის ამის ხელთა... კაპიტალი ამ ხალხში ან სულ არა რდგება, ან თუ რდგება, ძალიან მცირე... ამ გვარს ხალხში არის გაღვიძებული და მოძრაობაში მოყვანილი მხოლოდ მცირე ნაწილი მაში დაფარული გონებრივისა და ფიზიკური ძალისა... ქარხნები და ფარმაკები არიან მშობელნი და შვილნი მოქალაქობისა, თავისუფლებისა, განათლებისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, ზღვათა მსვლელობისა და ზღვათა მფლობელობისა, გზათა განვითარებისა, ცივილიზაციისა, პოლიტიკური ძლიერებისა. ეს არის უმთავრესი ლონისძიება, რომ გამოიყანოს მიწათა-მოწალმართობა. თავისი ბორკილებიდამ, იმას აპყავს ის მრეწველობამდის, ხელოვნებამდის, მეცნიერებამდის...“

„ისტორია არ იცნობს არც ერთს პირიარს, არც ერთს ვაჭარს მრეწველს ხალხს, რომელიც ამავე დროს თავისუფალი ხალხი არა ყოფილიყვეს“.

„ველური, ღარიბი, უძლიური ქვეყნები გაღიქცნენ ძლიერ სახელმწიფოებათ, გამღიღრდნენ და გახდნენ ძალა-

მოსილნი უმთავრესად უფრო მიტომ, რომ დააწესეს გონივ-
რული კომერციული პოლიტიკა. ამავე დროს ძლიერნი ერნი
და სახელმწიფონი დაეცნენ და სრულიად მოუძლურდნენ
უგუნური სავაჭრო პოლიტიკის მიზეზით.“

„სადაც ვაჭრობა და მრეწველობა იწყებს აღმოცენებას,
იცოდეთ ეს მისი ნიშანია, რომ თავისუფლებაც მოახლოვე-
ბულა. უკეთუ თავისუფლება შლის სადმე თავის დროშას,
იცოდეთ იქ ვაჭრობა—მრეწველობა მალე გაიკვლევს გზას.
მიზეზი ამისი ცხადია. სადაც კაცი ხელთ იგდებს გონებრივსა
და ქონებრივს. ძალას, სცდილობს დაიჭიროს ესენი მკიდრათ
ხელში და გაუსცეს შთამომავლობას. რაკი ხელთ იგდებს
თავისუფლებას, სცდილობს გააუმჯობესოს თავისი ფიზიკური
და ინტელექტუალური ძალა.“

შემდეგ განაგრძობს ლისტი იმგვარს ხალხებზედ, რო-
მელნიც შარტო მიწათა მოწალმართობას დამყარებიან.

„ხალხის ამგვარს ცხოვრებას მოსდევს გონებრივი, ქო-
ნებრივი და პოლიტიკური უძლურება. ამ გვარი ბოლო
უფრო კიდევ მაშინ მოსდევს, თუ ამ გვარს ხალხს შეზობები
ხაჯხი ჸევავს სხვა გზაზედ დამდგარი, ესე იგი საფაჭო-სამრეწვე-
ლო საქმის ხაჯხი. რამდენიც ისინი მიღიან წინ, იმდენათ
ესენი უკან: იქ ხალხს ამნევებს და ხალისებს, უმატებს ძა-
ლას წარმატების გზაზედ მტკიცეთ სვლის ბრწყინვალე იმე-
დები. მომავლისა, რომელიც ამათ ულიმით,—აქ გონება,
მხნეობა, ხალისი ეკარგება ხალხს, რადგანაც მომავალი კარგს
არას უქადის: ეს ულევს ლონეს, უკარგავს სასოებას.“

„ასწონეთ ყველა ეს და დაინახავთ, რომ შედარებით ქა-
ლაქებთან,—ამბობს ლისტი, როდესაც ადარებს ქალაქებს
სოფლებთან,—რომელთაც კეთილდღეობა არის დამყარებული
ქარხნებსა, ფაბრიკებსა და მათზედ დამოკიდებულს ვაჭრო-
ბაზედ, სოფლებს, რომელნიც გაფანტვით არიან სახელმწი-
ფოში, ძალიან მცირე შეძლება აქვთ, რომ დაიცვან და გა-
აუმჯობესონ საზოგადო საქმენი და წყობილებანი... სოფლის

ზალხი იძენს ქალაქებიდან უნერგიას, განათლებას, თავის სუფლებას...“

ამ გვარად გვისახავს ერთი უმთმვრესთ მწერალთაგანი, ერთი ულრმესი მთაზრეთაგანი და მკვლევართაგანი ამგვარს საქმეში ფრიდრიხ ლისტი საქართველოს, სავაჭრო-საქმეთა მნიშვნელობას დღევანდველს ერთა და სახელმწიფოთა წარმატებასა და კეთილ-დღეობაში, და ამავე დროს სამწუხარო მდგომარეობას იმ ერთა, რომელნიც დასდგომიან მარტო მიწათა სამოწალმართო გზას. ის გვეუბნება, რომ უმაღლესი ბეჭნიერება მოელის იმ ერს, რომელიც ამ ორსავე საქმეს ერთმანერთს შეაწონს და თანაბარ კარგათ წაიყვანსო...“

„ერი, რომელიც პირველი შეასრულებს და მისწვდება მას, — ამბობს ისა, — რომ იმგვარათ დააწყოს საქმე რომ ერთსა და იმავე დროს მიწათა მოწალმართეც იყვეს, კომერციულ — მანუფაქტურულიცა, ამ გვარს ერს რჩება პირველობა და დადგება ყველა სახელმწიფოთა თავს.“

ლისტის ამ მოყვანილი სიტყვების ნიმუშს წარმოგვიდგენს ჩვენ საურანგეთი, იმ უმაგალითო დამარცხების და იმ საშინელი ზარალის შემდეგ, რომელიც იმას დაემართა 1870 — 1871 წ. გერმანელებისაგნ და შინაურულ არეულობისაგან. იმან გადიხადა თითქმის თვალის დახამხამებაზედ იმოდენა ფული კონტრიბუციათ, რომლის თქმაც-კი პზარავდა ევროპის ზალხთა და მწერლობას. მაგრამ საფრანგეთშა ეს უცნაური ზარალები და გადასახადები არამცუ არაფრად შეიმჩნია, პირიქით იქვე ისრე უცებ გაიმართა წელში, ისრე მოეწყო, ისრეთი ძალა იჩინა, რომ იმავ მაშინვე გახდა საზარელი იმ მცრისათვის, რომელმაც ეს ისრე უწყალოთ შემცსრა რავდენიმე თვის განმავლობაში. მიზეზი ამისი იყო ისა, რომ ამ ქვეყანაში მანუფაქტურკომერციული მოწალმართობა და მიწათა-მოწალმართობა თანაბრათ წაყვანილი იყო დიდი კოლხებრის პოლიტიკის შემდგომ. ამ გვარსავე შალას ვხედავთ ამერიკის შეერთებულს შტატებში, ინგლისში და ბელგიაში.

III

რომ უფრო წყობისაღ, თანაბრად ძლიერათ, სრული ჯანითა,
ლონით და გონიდ გაუდევს ერთ პროგრესიულს გზას, არის
საჭირო, როგორც ზემოთაც ითქვა, რომ ყველა თანახმორი
ბედნიერი იყვნეს, თქმა, არ უნდა, რაოდენათაც ეს შესძლებ-
ბელია და კაცის ხელი არის. ამის მიწტომა შეიძლება მხო-
ლოდ შეერთებული შრომით, ამხანაგობაებით..

ერის გაძლიერებისათვის თი რა გვესმის სპეციალისაგან. მის წიგნში უგანვითარება პოლიტიკურთა წყობილებათა, “ რა არის საჭირო.

„უბრალო ჯგუფად ყოფნა ცალკე პირთა არა ნიშნავს
საზოგადოების შერღვენის. საზოგადოება შესგება მხოლოდ
მაშინ, როდესაც გარდა ამისა, რომ ცალკე პირნი ხვდებიან
ერთმანეთს, ამასთანავე შეარღვენენ კოოპერაციასც. ერთმა-
ნეთში, მინამ ყველა ცალკე პირნი რომელიმე ჯგუფისა. არ
შეართებენ თავის ძალას თავისი წილილების შესასრულებ-
ლად, მინამდის იმათს ერთათ ყოფნას არაფერი შეიშვნელობა
არა აქვს. ისინი. მხოლოდ მაშინ კავშირდებიან მტკიცეთ
ერთმანეთში, ერთდებიან ერთმანეთის დაშორებას, ცდილო-
ბენ უფრო დახმარებას, როდესაც პერდამენ, რომ მათი

შოთხოვნილებანი და საჭიროებანი შეერთებული ძალით უფრო ადვალად და კარგათ კმაყოფილდებიან, ვიდრემ მაშინ, როდესაც ყველა მათგანი ცალკე ჰმოქმედებს, ცალკე შრომობს.

დღეს ამას დამტკიცება აღარ უნდა, რომ შეერთებული შრომა ერთი ასათ შეტა აკეთებს, ვიდრე მაშინ, რომ ყველას ცალკე ემზუშვინა და ყველა თავისთვის ცალკე ყოფილიყო გამდგარი. და რამდენიც უფრო ხანი გადის, იმდენი უფრო მკიდრდება აზრი და საჭიროება, რომ შრომა უნდა იყვეს შეერთებული, ნაშროვი უნდა ეკუთხნოდეს მშრომელს, თავნი და მოგება უნდა შეარდგენდეს საერთო საკუთრებას. რავდენადაც მრავალნი გარემოებანი უჩევნებენ, რომ შეერთება ეჩებისა საჭიროა კაცობრითობის საბოლოოება და ინტერესებისათვის, საჭიროა მათი უფლებაების შეთანასწორება, — იმ უნად კოველი გზა, კოველი გარემოება, გონივრება, ლოლიკა, თვით ბუნება კაცისა თუ გარე მოვლინებათა უჩევნებენ კაცს, რომ კაცია კრების შერმადგენელნი უნდა იყვნენ თანასწორნი, ურომა იყვეს შეერთებული. რა არის კაცის აგებულება, თუ არ ასსოციაცია მისთა შერმადგენელთა ნაწილთა! რა არიან ცალ-ცალკე კაცის აგებულების შერმადგენელნი ნაწილნი, თუ არ იგივე ასსოციაცია, მსახური ერთმანერთისა! უერთმანერთოდ არც ერთი არ ევარგებოდა. მით უფრო უნდა გაიღვიძოს და იღვიძებს კიდეც დღეს ეს აზრი, რომ მაშინები აგდებენ ცალკე მშრომელთ საშინელს განსაკლელში. ათასს ცარიელს ხელს არ შეუძლიან გააკეთოს ის, რასაც ერთი ხელი გააკეთებს მაშინით. მაშინების მეფობის დროს, როდესაც ათასი კაცის საქმეს ერთი აკეთებს, ცხადია მრავალი მშრომელი ხალხი უნდა დარჩეს უსაქმოდ. მოგება, რომელსაც იძლევა მაშინა, ესე იგი ის, რაც სხვა ათასს მუშას უნდა რგებოდა, რჩება მაშინის პატრონს. ეს კიდევ არაფერი. მაშინა ათასსირებს და დედამიწასთან ასწორებს თვით იმ ბეღნიერს მუშასაც, რომელთაც წილადა

ხედება მაშინაზედ მუშაობა. რაკი მაშინა აკეთებს მრავალი მუშა-ხელის საქმეს, რაკი ამის გამო მრავალი რჩება უსაქმოდ, ულუქმა-ჰუროდ, მაშინ ყველა მშრომელი იძულებულია წა-ელალოს მაშინის პატრონს, რომ იშოვონ საქმე. მიღის ასი, ათასი. მაშინის პატრონს უნდა ხუთი, ათი. აქ თვით გარე-მოება უწყობს მაშინის პატრონს ხელს, რომ ამითი ისარგე-ბლოს და რაც შეიძლება იაფად აიყვანოს მუშა. ის უცხა-დებს, რომ აიყვანს მას, ვინც ნაკლებს დასჯერდება. რაღა თქმა უნდა, გაჭირვებული, უკანასკნელს მდგომარეობაში ჩავარდნილნი მუშავინი სჯერდებიან უკანასკნელს, რომ სიმა-შილით სული არ ამოხდეთ. აქ გამოდის ამ გვარი გარემოება. მრავალნი რჩებიან უმუშაოდ, მაშასადამე ულუქმა ჰუროდაც; მცირენიც, თუმცა შოულობენ საქმეს, მაგრამ ისრე მცირე ფასს იღებენ თავის შრომაში, რომ კუჭსაც ვერ იძლობენ ამითი. მართალია, მაშინა აძლიერებს და ჰმატებს საქმის ნა-ყოფიერებას, მაშასადამე უიაფებს მუშტარს საქონელსა, მაგრამ შედარებით მასთან, რასაც ვნებას აძლევს ხალხის მეტს წილსა, მისი მოგება ვერ გასწევს ამ ზარალის მაგიე-რობას. ამგვარად მაშინა, რომლისაც ბლნება ისრეთია, რომ შეუმსუბუროს კაცს შრომა, მოსცეს მეტი სარჩო, გახდეს საერთო ბედნიერების სახსარი,—დღევანდელს წეს-წყობილე-ბაში ხდება სავნებელი, მაზარალებელი, საბოროტო.

ცხადია, ამგვარმა მდგომარეობამ უნდა აზრუნვინოს კაცს, რომ მაშინამ ის არ შესჭამოს,—ჩაიგდოს ამან მაშინა ხელში. ეს ხდება შესაძლებელი მხოლოდ შეერთებული შრომის შემწეობით. და როდესაც კაცი მივა იმ შეერთე-ბულს შრომამდის, რომ ყველა თავნი და მოგება მის ხელთ იყვეს, მაშინები თავისის მოწყობილებაებით და სხვა ამგვა-რები შეარდგენდნენ მათს საერთო საკუთრებას, მაშინ იმ გარემოებას, რომ კაცს მაშინა შეუმსუბუქებს შრომას, მის-ცემს აღვილათ სარჩოს შეძენის ღონეს,—ამითი კაცობრიობა კპოვებს ისრეთს სახსარს, რომელიც მას გაუსსნის ათასის

გზით წარმატების გზას. ჯერ ერთი ესა, შეისვენებს ჯანი და ლონებ, ექნება ამის სხეულს ზომიერი და არა მჩაგრავი შრომა, ზომიერი შრომა მისცეს ამას სისრულეს, წარმატებას. რაკი შეუმცირებს კაუს შრომას, მაშინ ყველა ადამიანს მიეცემა დრო დაფიქრებისა, ბუნების შესწავლისა, გონების ვარჯიშისა, მეცნიერების კვლევისა, ფილოსოფიის განვითარებისა, საზოგადო წესია უკეთესათ მოწყობისა, ბუნებასთან დაახლოვებისა, მისთა კანონთა აღმოცენებისა, მისი სამართი ძარღვების ხელში ჭრისა. კაცს გაეხსნება გზა უფრო აღვალად ბუნების დამორჩილებისა.

ამგვარად, როგორც ესენი, ეგრეთვე სხვა ათასი გარემოებანი ცხადად უჩვენებენ და უწყობენ კაცობრიობას ხელს შრომის შეერთებისა, ასოციაციების დამყარებისათვის. პირნი შეარდგენენ ჯგუფას, ჯგუფანი საზოგადოებას, საზოგადოებანი ერს, ერნი კაცობრიობას. ყველა გაინაშილებს ზრომას, ყველა მიიღებს თავისი შრომის ფასს, გარუა იმისა, რაც ყველამ უნდა გაიღოს საზოგადო საჭმეთა წყობილებისა და პატრონობისათვის.

სადამდის ამაღლებს კაცს ამგვარი შეერთებული შრომა და სადამდის აძლევს ხელს, ამის მრავალს მაგალითს ვხედავთ ევროპაში. უკეთესს მაგალითს გვიჩვენებს ფამილისტერია. გონებრივისა ქალაქს გიზმში, სადაც გარდა იმისა, რომ ყველა მუშას ჰქონდა საკუთარი ოთახი ყოველრიგი საჭირო მოწყობილებით, ცოლშვილანს ორი და სამი და მეტიც, საზრდო ჰქონდათ საღი, შემრგვა და რაოდენიც ან რაც ჰსურდათ, მოვლა. და აღზრდა მათთა შვილთა ჰქონდათ საერთო და უმაგალითო ქვეყანაზედ. მთელს ქალაქს რომ მოს დებოდა გადამდები სენი და გაემუსრა, ისრე ჰქონდა მოწყობილი გიგინურათ და სანიტარულად შენობა და მიდამონი, რომ ეს სენი, ამათ ახლოსაც ვერ გაივლილა. მუშათა ჰქონდათ საკუთარი სამწიგნობრო, ჩინებულათა და მდიდრულათ მოწყობილი სამკრთხველო; ჰქონდათ საკუთარი თვატრი

სადაც ოვით მუშანივე იყვნენ მსახიობნი. ჰქონდათ საკუთარები ქორი მუსიკა. იმ სიპროექტის მივიღნენ, რომ მუშები კითხულობდნენ ლექციებს და ბევრი მათგანნი არ ჩამორჩებოდნენ კარგს პროფესორებს.

თუ რა ძალა აქვს ამგვარს შეერთებულს შრომას, დღეს მათი რაოდენობით სწონდენ, სახელმწიფოთა ძლიერებას. რავდენათაც დღევანდელს სახელმწიფოებში გავრცელებულია შეერთებული შრომა, ასსოციაციები, კოოპერაციები ანუ როგორც ამ ბოლოს დროს უწოდეს საფრანგეთში, სინდიკატები, იმდენად ეს სახელმწაფო სდგას მაღლა და მიღის სხვებზედ წინ. დღეს კოოპერაციები, სინდიკატები, ასსოციაციები, ამხანაგობანი, არტელები და სხვა ამგვარები, რომელთაც აქვთ სხვა-და სხვა სახელები სხვა-და-სხვა აღკილებში და შეარდგენენ თითქმის ერთსა და იმავე წყაბილელბას, — შეერთებულს შრომას, — მოდებულია მთელს ევროპაში, სად გინდა არ გაიღეს ამათ ფესვი: ქარხნებში, ვაჭრობაში, მრეწველობაში, ზღვაზედ, რვნა-თესვაში, საქონლის მოშენებაში, რუების გაყვანაში, ქაობების აწო როპაში და სხვა ამგვარები, რაკი წნახეს, რომ ცარიელი ხელით და ვაკალკევებულნი ვერ გაუძლებდნენ კაპიტალისტებს, ვერ გაუწევდნენ მათ კონკურენციას ესტატის მა ავტომანი, რომელნიც არიან ბურეუაზელი ანუ უკეთა ვსთქვათ ინდივიდუალური წეს-წყობის წარმომადგენერანი და შვილი, დღეს, იძულებულ არიან, არამც თუ ალარა სდევნონ ესენი, პირიქით შემწევობასაც უწევენ გასავრცელებლათ, რადგან ჰედამენ ამათში მარტო იმ ძალას კიარა, რომელიც მხოლოდ თავის თავს იცავს, ჰედამენ საელმწიფო ძალასაც, ჰედამენ რომ ამათ ასწიეს სახელმწიფოს ძლიერებას როგორც ეკონომიკურათ, ეკრეთვე პოლიტიკურათ. ამგვარად ეს ამხანაგობანი, მთიდამ წამისული პატარა თოვლის გუნდავით, რომელიც რამდენიც ქვეით იწევს, იმდენი იზრდება და იერთებს გზათ მოდებულ თოვლას, — ესენიც ჟან-და-თან იზრდებიან და იტაცებენ ძალა.

უნებურათ ყველა მათ, ვისაც უნდა თავის დაცვა, გადარჩენა სხვის პირით შთანთქმას, პატრონობა დღევანდელი დღისა და მომავლისა. დროშა ამათი „შეერთებული შრომა და მშრომელს თავისი შრომის ფასი“ უქადას ქვეყანას: ვაი იმას, ვინც არ შეეფარება ამ დროშას, ვინც ჩამორჩება იმის გზას. საღაც არ არის ეს, იქ არის მონობა, მტარვალობა. მონათა და მტარვალობა, არა აქვთ კაცურთა კაცთა შორის აღგილი!

აქ კიდევ საჭიროა მოვიყვანო ლისტის სიტყვები: „საეროვნო სული იქ იდგამს ფეხვებს, სადაც აქვს ლრმა საძირკველი საერო კეთილ-დღეობას. მხოლოდ იქ იფურჩქნება და იშლება ეროვნება დიდებულად და იძლევა დიდებულს. ნაყოფსა. მხოლოდ საერთო ქონების ინტერესებიდამ შესდგება ზნეობრივი ერთობა, სახალხოსნო ანუ საეროვნო ძალა.“ „ისტორია გვიჩვენებს, — ამბობს ის მეორედგან, — რომ იქ, სადაც ინდივიდუმნი ანუ ცალკე პირნი მუდამ ერთმანერთის ბრძოლაში არიან, ერის კეთილდღეობა უკანასკნელს მდგრამარეობაში არის, და რავდენიც უფრო ვრცელდება ასსოციაციები, იმდენიც უფრო მაღლა და სისრულეში მიღის ერთა კეთილდღეობა“.

IV

ჩვენ აქ, როგორც ზემოთაც ითქვა, მოკლეთა და გაკვრით ვილაპარაკეთ მაზედ, რაც არის უმთავრესად საჭირო დავარდნილთა ერთათვის, რომ მოკვიდონ ცხარედ ხელი და შეითვისონ, რათა ამითი შესძლონ მხარ-და-მხარ მიყოლა. დაწინაურებულთა ერთა და არ გახდნენ მსხვერპლნი თვისი უშვერებისა, დაუფიქრებლონისა, წინ დაუხედავობისა. გადავიდეთ ახლა იშ ძალაზედ, რომელიც უნდა იყვეს ჩარჩი, მმართველი, ხელის მძღვანელი, ძალის მომცემი ყველა საე-

ნებულთა და მათთა გვართა საქმეთა, აგრეოვე ყველა ერთა კველა საქმეში. გადავიდეთ სწავლა-განათლებაზე.

თუ სწავლა განათლება თვითონ ერის ხელშია, მეტადრე თუ სხვა ერებზედ უკან არის ჩამორჩენილი, უნდა სცდილობდეს ეს ერი მისცეს მოზარდობას სწავლა-განათლება იმგვარი, რომელიც იყვეს მიმართული ბუნების გამოკვლევასა და მის დამორჩილებაზედ. უნდა ბუნებითი მეცნიერებანი შეარდგენ-დნენ უმთავრესს საგანს სწავლისას; უნდა ტეხნიკა, მედიცინა იყოს თითქმის საერთო სიყოველთაო სასწავლებელი მთელი ერის მოზარდობისა. სწავლა უნდა იყვეს ისრე დაყენებული, რომ მოზარდობა არ იჩაგრებოდეს სწავლით, რომელიც, სამ-წუხაროდ, თვით უპირველესთა ევროპის სახელმწიფოებში ისრე ცუდად არის დაყენებული, რომ მოსწავლენი ამ უჯათი სწავლით იჩაგრებიან გონებითაც და აგებულებითაც. ამგვარს ძალადურს სწავლას იქნება დროებით მოპქონდეს ერთათვის სარგებლობა დღევანდელს გარემოებაში, მაგრამ საბოლოოდეს არის დამღუპველი კაცობრიობისა. დღევანდელი წესი სწავლისა, ეს იგი, გაუთავებელი და შეუსვენებელი გონენების შრომა, ჰლუპავს მოზარდობას, ასნეულებს. ეს, არამც თუ უშლის მას, რომ მოსწავლემ სასწავლებლის შემდგომ კიდევ შესძლოს შრომა, რათა შესაფერი ნაყოფი მოუტანოს მეცნიერებას, ცხოვრებას, საქმეს და ამითი კაცობრიობასაც, — ცხოვრებაშიაც ვეღარ იტანენ ვერც ჯანით, ვერც გონით შრომის გავრცელებას. ეს უძლურება გადადის შთამომავლობაზედაც, რადგან ჯანიანს მშობლებს ეძლევათ ჯანიანი. შვილებიც, უჯანოთა და უძლურთა — უჯანონი და რძლურნი, რომელიც უამთა განმავლობაში იქცევა სამკვიდრო ნიჭად. სპეცსერს ერთს თავისს სტატისტიკურს გამოკვლევაში მოპყავს ცნობანი, რომ, რაც ხანი გადის ევროპაში, იმდენი კაცთა სიცოცხლე მოაკლვდება, ხალხი ტანით იგვალება, გონება უუძლურდება. მაგრამ, უკეთუ თვითონ ერზედ არ არის დამოკიდებული თავისი სწავლა-განათლება, უნდა სცდილობდეს

მაშინ არჩიოს იმგვარი სწავლა, რომელიც უხსნის გზას მთავ, რობაში ადგილების დაჭერისას, რომ იქ ჰყავდეს ერს წარმომადგენელი რაც შეიძლებოდეს ბლომად და დიდს ადგილას, რათა ამითი დაიცას თავისი ინტერესები, თავისი ეროვნება, არ გახდეს მსხვერპლი ცხოვრებისათვის ბრძოლისა.

მე ვთქვი არჩიოს იმგვარი სწავლა მეთქი. ეს არჩევა იმას არ ნიშნავს, რომ ერმა სხვა რიგი სწავლა გაუშვის ხელიდამ. იმან უთუოდ და უთუოდ უნდა იქონიოს იმგვარი სასწავლებლები, რომელნიც იძლეოდენ კონტინგენტს იწგვრთა საჭირო პირთა, რომელთაც მთავრობაში ადგილი დაიჭირონ, რადგან თუ ესენი არ ეყოლებიან, სხვა, რაც გინდა საერო საქმე დაიწყონ, ყველას მოელება ბოლო, თუ სათავეში პატრონი და დამცველი არა გყავს. მაგრამ თუ ერმა აშას არ მიაყოლა სხვა რიგი საერო საჭირო სწავლა, მაშინ ისიც ჰყარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან რისთვის-და უნდა ერს დამცველი, თუ კი დასაცველი აღარა ექმნება-რა! ამ გვარი სასწავლებლები, საიდამაც მთავრობის მოხელენი უნდა გამოვიდნენ, შედარებით სხვებთან, ერს არ დასჭირდება ბევრი. სხვა სასწავლებლებმა უნდა აღზარდონ მთელი ერი თავისი ყოველი საჭიროებისათვის, იმგვარი საჭიროებისათვის უფრო, რომელთაც დღევანდელს წესში დიდი ადგილი უჭირავთ, რომ ამ სწავლამ ასწიოს ვაჭრობის, მრეწველობის, მექანიკობის, მაღანეულობის მოვლა-მოპოვებას. უნდა ყოველი ღონე იხმაროს, რომ მთელი ერი გაპხადოს მწიგნობარი, რადგან დღევანდელი ძალა ეკონომიური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, გონებრივი არის დამყარებული მაზედ, თუ რაოდენათ არის ერში გავრცელებული მწიგნობრობა. მართალია, ჩვენში გაისძა ჩვენთა ესრედ წოდებულო განათლებულთა პირთაგან თავად-აზნაურთა სასწავლებლის კრებებზედ არაკაცური აზრი ვიწრო გამოუშუავი გონებისა, რომ „სასწავლებლები ბოლადელნიები არ არიან, რომ მუქთათ ისწავლონ ლარიბთა

და დაცემულთაო“ *). ამ მხეცურმა აზრმა კიდევც სძლია
აზრი, რომელიც თხოულობდა სულ სხვას. მაგრამ, ვაი იმ
ერს, რომელიც უჯერებს ამ გვართა მოძღვართა, და რომე-
ლიც აღზრდის ამ გვართა წინამძღვართა! თუ ერს უნდა თა-
ვისი თავის დაცვა, კაცობრიობაში კაცური ლირსებით დარ-
ჩენა და არ უნდა მოეღოს ბოლო, უნდა სწავლა-განათლება
საყოველთაო და მუქთი გაპხადოს. ეს დიდი ხანია შეიგნეს
დაწინაურებულთა ერთა, რის გამოც მწიგნობრობა გაპხადეს
საერთო სავალდებულო და მეტი წილი მუქთი. იქამდის სა-
ვალდებულო გაპხადეს, რომ მაგალითათ ნემენცები, —არამც
თუ გერმანიაში, თვით რუსეთშიაც გაღმოსახლებულნი, —მი-
ნამ ბავშვი კატებიზმოს არ ისწავლის, ზიარებას არ აღირსე-
ბენ. ეს გაღმოსახლებულთ ნემეცთა რუსეთში რუსის მთავ-
რობას კანონათაც-კი დაადებინეს და ამ გვარათ ყველა თა-
ვისი შოთარულობისათვის სავალდებულო გაპხადეს სწავლა,
(Прилож. къ прод. 1890 г. Св. Зак. ч. I т. XI уст.
иностр. испов. прилож. къ ст. 322, ст. 1—12) და და-
აწესეს სასჯელი კანონით იმ მშობლებზედ, რომელნიც არ
შეასრულებენ ამ მოვალეობას. ერმა უნდა ყოველი შემწირ-
ვნება მიიყენოს, არასფერს ხარჯს არ უნდა მოერიდოს, და
მწიგნობრობა-კი უნდა საყოველთაო სავალდებულო მუქთი
გაპხადოს და გაავრცელოს თავის შორის, ოდგან, გარდა
სხვა რიგი საჭიროებისა, დღევანდელს დახარჯულს მანეთს
სწავლაზედ, ხვალ მოაქვს მოგება ერთი-ორათ, ერთი-ათათ.
გარდა ცოდნისა, რომელსაც მწიგნობრობა სძენს ხალხსა,
მწიგნობრობა უხსნის ხალხს განსა, უჩვენებს და აცნობებს
თავისესა და სხვის კაცობრივთა ღირსებათა, თავის ბუნებრივს
ძალას და უფლებას, კაცთა შორის კაცურათ თავის დაჭერას,
მიხვედრას თავისა და სხვის უფლებათა; აცნობებს: ხადა

*) თუმცა ეს სასწავლებელი არის აგებული ღარიბთა და დაცე-
მულთა ფულიდგან.

თავდებიან მისი უფლებანი და სად იწყობიან სხვებისა, ან სად იწყობა მისი უფლებანი და სადა თავდებიან სხვებისა, რომლისაც გავეგბა შეარდენს უმთავრესს ღირსებას კაცობრიობის გონების გახსნისას, კაცთა შორის ერთობისა, ძმობისა, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის დამყარებას. უმწიგნობრობობრობი ერთ არის მსხვერპლი და ლუქმა, თავიზედ მწიგნობარი მეზობელი გინდა შორეული ერისა. უმწიგნობრობა ერს თუნდა ქვეყნის სარჩო შეძლება ჰქონდეთ დღეს, ხვალ რჩებიან ხელ-ცარიელნი: ამათი მამა-პაპით შეძენილი ქონება, მამული, სარჩო-საცხოვრებელი გადაღის მცოდნე მწიგნობარი ერის ხელში, რომლსაც მაგალითებს ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ. ამასთან სწავლას, მწერლობას, საზოგადოთ მწიგნობრობას ვალად ადევთ აუხსნან ერს ლტოლვილება, გზა დაწინაურებულთა მოაზრეთა განათლებულს ერებში შესახებ მომავალი საზოგადოებრივი და ეკონომიკური წყობილებისა. შეცვლა იმ წეს-წყობილებისა, რომელიც დღეს მკვიდრობს კაცობრიობაში, იმ გვარი წესებათ, როგორც ისწავლებიან დაწინაურებულნი მოაზრენი, სასარგებლო ისრე გაძლიერებული ერებისათვის არ არის, როგორც არის საჭირო და სასარგებლო დაცემული ერებისათვის. საყოველთაო შეთანასწორება აძლევს მოგებას ისრე იმათ არა, ვინც სჩაგრავს, როგორც იმათ, ვინც იჩაგრებიან, რაღაც დაჩაგრული ხდება სწორი მჩაგვრელისა, რაც აკლდება მჩაგვრელს, ემატება ჩაგრულს. ამის გამო მწიგნობრობა დავარდნილი ერებისა უნდა ყოველი ლონით სცდილობდეს ამ გზაზედ გაუხსნას ერს გონება, მოამზადოს ცოდნით და გონებით ამ საქმისთვის.

V

დასასტურებულ წერილისა არ შეიძლება არ ვუჩვენო მკითხველს, ერთს დიდათ საყურადღებო საქმეზედ იმ ერთა შესახებ, რომელნიც იძულებულ არიან მიიღონ მაგალითები და

სწავლა-განათლება დაწინაურებულთა ერთაგან. მე ერთს ჩემს
წერილში, სათაურით „ჩვენი სალტოლგელო“, რომელიც იყო
1872 წ. „მნათობში“ დაბეჭდილი, ვრცლად ვიღაპარაკე ამ
საგანზედ. აქ ვიტყვი მოკლედ.

როგორც კაცი დაკვირდება, დაინახავს, რომ დაწინაურებულთა ერთა შორის, იმ დიდს ლირსებასთან, რომლებითაც, მაგალითად, მეცნიერებით, ტეხნიკით, ხელოვნებით, აზროვნებით სწევენ კაცობრიობას წინ, აქვთ იმდენი ნაკლი, რომ ბევრს დავარღნილს ხალხს არც-კი გაუგონია. და თუ დავარღნილს ხალხს არა ჰყავს კარგათ აზრ-გამორკვეული ხელის-მძღვანელები, სამწუხაროთ, პირველად იმ ნაკლს ითვისებენ დაწინაურებულთა ერთაგან. აიღეთ თუნდა მაგალითად ქალთა მოდები, კორსეტები, კლუბები და კლუბებში ცხოვრება, ბალები მრავლად შეყრილთა ხალხთა შეიწროებული ტანთ-საცელებით დაბულს უჭაერო სახლებში, უკანასკნელს მოქანუვამდის უაზროთ ტლიკინი და აღელვება დამა-კავალერთა ერთმანერთზედ გლასუნით. აიღეთ თუნდა მეტი მოთხოვნილება, სურვილი მდიდრული ცხოვრებისა, ვიღრემ შესრულება შეიძლება. მართალია, არიან ეკონომისტნი, როგორც მაგ. ლასალი, რომელიც ამტკიცებენ, რომ მეტი მოთხოვნილება უძლვის წინ პროგრესსაო, მაგრამ ცხადია ამას ამბობენ ზომიერს და არა მდიდრაჯულს მოთხოვნილებაზედ, და რომ კარგად ჩააკვირდეს კაცი საქმეს, ჰნახავს, რომ ამ გადაქარბებულს, მდიდრაჯულს ცხოვრებას მოაქვს მრავალი უბედურება ევროპაში. რაკი ხალხი დადგა ამ გზაზედ თავისი გაზიადებული სურვილისა და მოთხოვნილების შესასრულებლათ, ის არ მოერიდა არაფერს. ამან, მართალია ზოგში ისიც დაპატადა, რომ ხალხშა თივისი მეტი მოთხოვნილების შესასრულებლათ უმატა მხნეობას, მეცადინეობას, მაგრამ ზომას გადასულმა მოთხოვნილების შესრულებამ დაპატადა ისიც, რომ კაცმა უწყო თავის თავს, თავის ხორცს ვაჭრობა, ამ გვარს ვაჭრობას სუბუქათ ყუ-

რება. ერთი უმთავრესთ მიწეზთაგანი იმ სამარცხვინო მდგო-
მარეობისა, რომელსაც გვიჩვენებენ სტატისტიკური ციფრანი,
რომ დღეს 360000 რისკიში საქვეყნო დედაკაცია ლონ-
დონში, რომელიც სრულიადაც არ ითვლება სხვა ქალა-
ქებზედ გარევნილათ, არის ეს მეტი ზომას გადასული მოთ-
ხოვნილება მდიდრაჯულის ცხოვრებისა. რა მოსდევს ამ გვარს
ცხოვრებას? — სიჭილისი, სხვა ვენერიული ძვათმყოფობანი.
ვისაც წაუკითხავს თვით უბრალო მედიცინური გამოკვლე-
ვანი, იცის რაც მოსდევს შთამომავლობისათვის ამ გვარს
შენის მოდებას და გავრცელებას ხალხში, შთამომავლში.
ზალხი, შთამომავალი ხდება სნეული, უძლური, მჟღექი,
ზრდა, სურავანდიანი და სხვა ათას სენ მოდებული. ეს სენი
უქადის ევროპას დიდათ სამწუხარო საბოლოოს. ეს ერთი
მხარე, რომელიც მოსდევს ამ გვარს გზაზედ დადგომას. არის
მეორე მხარე უარესად კიდევ დამღვანელი შთამომავლობისა.
საროსკიპონი ევროპისა იყენებიან საუკეთესო სალთა და მშვე-
ნიერთა ქალთაგან. ესენი, ჯერ ერთი ისა, რომ თუნდა კი-
დეც იძლეოდნენ შთამომავლობას, მოიცემიან სნეულს შთა-
მომავლობას, რადგან საროსკიპონში სენს არ ასცდებიან,
მაგრამ, აქ შესული ქალი თვით გარემოების გამო უნდა
დარჩეს უშვილოთ. რა ხდება იმ ხალხში, სადაც საუკეთესო
აგებულებისა და ჯანის ქალნი ეგებიან ესრედ უძეოდ? ის,
რომ შვილოსნობს მარტო უარესობა, რის გამოც უკე-
თესთაგან აღარ მოდის შთამომავალი, მრავლდება უარესობა.
წარმოიდგინეთ ჯერ ლონდონისა 360000 რისკიში, მოგლე-
ჯილი ოჯახს, შვილოსნობას: ეს ამოდენა ქალთა მშვენება
უნდა გამოაკლდეს თავისთა მსგავსთა მოშენებას თავის ერში.
ეს ცხადია, რაც ხანი გავა, იმდენი უფრო იკლებს ამ გვარს
ხალხში ჯანიანი და შშვენების ხალხი. და სხვა ამ გვარები.

ამგვარივე უბედურება მოსდევს იქ, ევროპაში შეკლისა და
სწავლის რუტინას, რომელიც დამყარებულია იქა და ისრე სამ-
წუხაროდ მოქმედობს მოხარულობაზედ. დახშული? სახლები,

დახშული ჰაერი, ნორჩი ბავშვი ამ ჰეერში, დღე და ღამ შეუსვენრათ თავჩაკრული წიგნებში, ციფრებში, უცნობს და უსაგნო ზეპირობაში, როგორც ითქვა ზემოთ, პატარაობითვე უძლურდება, სნეულდება შეკლის სკამებზედვე და ცხოვრებაში ხდება გამოუდეგარი შთამომავლობისა მომწყვლელი. და-სხვა-და-სხვა-და-სხვა.

აქ, ამ გადმოლებასა და ბაძვაში დაწინაურებულთა ხალხთა ცხოვრებისა ჰმართებთ სიფრთხილე დაცემულთა ერთა, და ვალათ ადევთ მათთა დაწინაურებულთა პირთ დიდის სიფრთხილით წინ წაძლოლა ერისა ამ საქმეში.

ԱՑԹՂԻՆՏ ՇԵԲՈՒՅՑՆԵՐ.

Ես Ֆյերոլու ոկո Ըամինագեծպյուղու Ըասածեցվատ Սամուլատու Ֆլուեթնո. մացհամ յարտզելմա հյեցայլուցիցիմա, հողորու մյեթո Ֆոլու հյեմո նաֆյերեցիսա, առա ՅՅուզը լուրսադ Ըածեցվատու Ըածեցվատ յլուրսա «ուշերուու» գյուր-պլուեթից մեռլուտ 1895 թ., հունվար աթ ցանչետու տաճամյերեցայլուրեց ոկո միթյուլու Ըածու մոյելածյ.

Ըամինատու Ըածեցվատու Ֆլուար ամ նաֆյերու անրու Ըամասածուցեցելու ծյցըրո համ բահմուրույցա միթյերլունատու Ըած մյեբնոյերեցանո. ամ նաֆյերեցիտ ցուսարցեծլու Ըած Ֆյերոլու, անրու պայլադ Մյուլուլուադ.

ԱՅԺՈՒՐՈ.

ՑԱՅՆԱՑԵՎԱԼՈՒ ԱՅՆԻՒՅՆ.

Ցայնացեվալու անցոն գյուր-պլուածու Մյենունա մարտալու ցախլաւտ. հյենդա սամինեարու, յարտյուլս միթյերլունանո, ծյցըրու նաֆյերու հյցեցու Ֆոլուադ ուսետու եցելու, հասաւ ծ. ան. գյուր-պլուածյ ամենա տազու յրտու Ֆյերոլու Մյեսաեց, հոմյելու ցելա բալու ցամուցու Ֆունադ. յարտյուլս միթյերլունանո. տուքմու 1870 Ֆլուուամ Մյեմուզու հալաւ չալու-յիրուլու Ֆյերու Կայարմանա, հոմյելու 1880 Ֆլուուտու Ֆյերունանա ցարությ սամիթյերլու մոնեցա, անյ ձարմանածաւ մոժկաւու.

Վություու, հոմ յարտյուլ միթյերլունանո; յարտյուլ յիշ-րում մտացարտացան մարտու անցոն գյուր-պլուածու յա յրտու նաֆյերու յո. առ ցմունու, առամեց մտալու մտյունու մինս միթյերլունաւ յո. հոցուրտու սյուլու մակայլուցելոնու սաշարու ցմո-

ბდენ თავის მოწაფეების წინაშე მთლად ამის მწერლობას. ასეთ წუნიაობის დევნის მნახველი ვარ მე, როგორც გა- მომცემელი მისის ნაწერების და მომსწრე ყოველივე ამისი ჩვენს რედაქტირებში.

1880 წლიდამ, ქართული მწერლობა და რედაქტირები ისეთის ცხოვლებით გაიცსო, ისეთის ჩათუქესანის ტუსლანგე- ბით, რომელთაც არც სამწერლო ცოდნა ჰქონდათ, არც მა- მულისა და ერის სიყვარული, არც მორიდება და იგინდ რო- გორც მწერლობის პატრონები და როგორც ყაჩამან ყათა- რან ბაში ბუზუკები ჰგმობდენ და უარს ჰყოფდენ არამც თუ. მარტოდ ასეთ ნაწერებს, არამედ თვით ბევრს გამოიწ- ნილთ უცხოეთის მწერლებთა სამეცნიერო შროვასაც. ვიტყვით, რომ ადრე ქართულ მწერლობას მონური ხა- სიათი. ჰქონდა, ვინც ვისი მეგობარი იყო, ვინც ვის მოს- წონდა, აბა ბურთი და მოედანიც მისი გახლდათ მწერლო- ბის ასპარეზედ და მისი ნაწერებიც იპეჭდებოდა. თვით ბ. ანტონ ფურცელაძეც უნდა დამეთანხმოს, რომ მისი მარტოდ ეს ერთი წერილი კი არ გდებულა დაუბეჭდავი და უყურად- ღებოთ დატოვებული, არამედ ასევე მოექცნენ ბევრს მის სხვა ნაწერებს და თვით XVII საუკ. გამოკვლევას „ბრძოლას სა- ქართველოს მოსპობაზედ“.

ეს გამოკვლევა უყურადღებოთ იყო დატოვებული იმ ღროს, როცა უგვან ქართული დღიური გაზეთებიც კი უნიჭო დრამა-კომედიებით იყსებოდა და იბეჭდებოდა. იქნება ანტონ ფურცელაძეს ესენი აღარ ახსოეს, — შეიძლება, ვინ იცის, მა- გრამ ჩვენ კი არ დავივიწყებთ და ვიტყვით, რომ მარტოდ „ბრძოლა საქართველოს მოსპობის“ დაბეჭვდის და დაწუნების საქმე სწორედ სამასხარო კომედიას წარმოადგენს. ასევე მო- ექცნენ „ავაზაკებს“ მოთხ. „ვაი შაჩთალთ“ „დიდ მოურავს“, „ბანკებს“, „ბაგრატიონთ დიდებას“ და სხვათაც მრავალთა, აქ ყველას ვერ მოესთვლით. ოდესმე ყველა ამაგებს სხვაგან დაზღეჭდავთ, რადგანაც დაწერილი გვაქვს და უეჭველია მით აწინდელი მკითხველნიც გაპკირდებიან. ასე გახლდათ საქმე

მაშინდელს ტირანების და ბაში ბუზუყების; დღესაც არიან კიდევ, მაგრამ იგინი აქეთ იქით გადიქუნენ. მათ თავიანთი ძალა ალარ შესწევათ, ზოგი მაიმუნურად კიდევ სწერს, ზოგი ფოკუსნიკობს ცხოვრების ასპარეზედ. შერჩათ მხოლოთ ის, რომ მათ ერთ დროს იფარფარეს ქართულ მწერლობაში და უურნალ გაზეთები ავსეს თავიანთის ნაჯღაბნებით. მოქალაქურმა ალორძნებამ მათი ძალა დაამხო და ის რაც მათგან ადრე იგმობოდა, დღეს იგი პატივისცემით იბეჭდება და ვრცელდება ხალხში. აი ნახეთ ახალი წიგნიც, წაიკითხეთ და სთქვით, რომ თუ ასეთ ნაწერებს არ ბეჭდავდენ, მაშ სხვა რაღა ეშმაკები უნდა ებეჭდათ. ჰეშმა ჩიტად, რომ ადრინდელ ქართულ რედაქტორებს და ბევრს მათ თანამშრომლებს მეტად დიდი ცოდვები ახვევიათ გარს. იგინი ქართველ ახალგაზღობაში არამც თუ მწერლობას ავრცელებდნენ, არამედ ამხობდენ და მით ბევრს ნიჭიერს, საიმედო პირებსაც უსპობდენ ხალისს წერისა.

როგორც ბრძანებს ბ. ანტონ ფურცელაძე, ერთად ერთი სამაგალითო დარბაისელი და დიდი მამულის შეილობით და მწერლობის სიყვარულით, ქართული მწერლობის ასპარეზედ მხოლოდ ბ. დავით მიქელაძე გამოჩნდა, რომელმაც ძევლს მონურს გზა აუქცია და მის რედაქტორობის დროს წერას შეეჩივნენ მრავალნი და მათ შორის: ევლოშეილი, იაკ. ცინცაძე, მუშებთაგან ნინოწმინდელი, ყ. ახალგორელი (მუშა) ხელოსნები და მუშები მრავლად და ასევე განათლებულთ ყმაწვილ კაცთაც მისცა საფუძველი და ხალისი მწერლობისა, რასაც უეჭველად ასაბუთებს თვით ბ. ანტონ ფურცელაძის ცნობაც, რომ 1995 წ. „ივერია“-ში დაკით მიქელაძის საშუალებით მარტოდ ეს წიგნი კი არ დაიბეჭდა, არამედ მრავალი სხვა ამის წერილებიც, რომელთაც ყველას ცალკეალკე გამოვსცემთ.

გაშობცემელი.

33

03 981

იბეჭდება და მალე გამოვა

ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ი ს

ნაწერების შემდეგი წიგნები:

ჩვენი კუთხის ძალა.

ჩვენი სალტოლველო.

მახვილი თუ ინდუსტრია.

დაბალ ღალას წერილები.

ზ. ჭიჭინაძე.

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი № 82.